საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

შაბათი, 31 ივლისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 173 (1718)

დ ღ ი უ რ ი

- ახლო ხანში განახლებული იქნება კოოპერაციული ურთიერთობა საბჭ. კავშირსა და სა მხრეთ-აფრიკას შორის.
- ბელგიაში უცხოელებზე გა დასახადი შემოიღეს.
- გერმანიის პრესა ადასტურებს ცნობებს პოლონეთის სამხედრო მზადების შესახებ ლიტვ ის საზღვარზე.
- რუმში (საფრანგეთი) გაიფ იცენ მელითონეები.
- მოსკოვში ჩავიდა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩეხო-სლოვაკიაში ამხ. ანტონოვ-ოვსეენკო.
- ინგლისის სამთა-მადნო მუ შების დელეგაცია გაემგზავრა შეერთებულ შტატებში.
- კორეიაში და იაპონიაში დიდი წყალდიდობაა.
- რუმინეთ-ბულგარეთის ურ თიერთობა მწვავდება.

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

კვირას, 1-ლ აგვისტოს
და
ორშაბათს, 2 აგვისტოს
„კომუნისტი“-ს
კანტორა ღია იქნება
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდი
ხელისმოწერის მისაღებათ

ა.-კ. კომუნისტური ორგანიზაციები პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

(პლენუმის რეზოლიუცია)

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ა.-კ. საკონტროლო კომისიის, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების და ცენტრალურ საკონტროლო კომისიების პლენუმების გაფართოებული კრება—დედა ქალაქთა კომიტეტების, რაიკომების, სამაზრო კომიტეტების მდივნების და სამაზრო აღმასკომთა თავმჯდომარეების მონაწილეობით, თბილისის საერთო საქალაქო აქტივთან ერთად, მოისმინა რა მან ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ,—სავსებით და მთლიანად იწონებს ამ პლენუმის გადაწყვეტილებებს და უერთდება მათ.

კრება, რომელიც გამოხატავს ამიერ-კავკასიის ყველა კომუნისტურ ორგანიზაციების აზრს, **ღრმა კმაყოფილების გრძნობით** აღნიშნავს, რომ პარტიამ ცეკას მტკიცე ხელმძღვანელობის ქვეშ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სოციალისტური აღმშენებლობის ყველა დარგებში, მუშათა და გლეხთა მასების მატერიალურ კეთილდღეობის აწევის საქმეში და საბჭოთა ქვეყანა მიუხედავათ დროებით სამეურნეო დაბრკოლებებისა, შეუჩერებლივ მიდის წინ. ჩვენი პარტიის ამ წარმატებათა ძირითად წინასწარ პირობას წარმოადგენდა რკინის დისციპლინა და ჩვენი რიგების ფოლადისებური მთლიანობა, რაც ამ ბოლო დროს დაარღვია ეგრედ წოდებულ „ახალ ოპოზიციის“ გამოსვლამ.

კრებამ **ულრმესი აღშფოთების გრძნობით** გაიგო იმ „ახალი ოპოზიციის“, დეზორგანიზატორულ ნაბიჯების შესახებ, რომელსაც სათავეში უდგა პოლიტბიუროს წევრი ამხ. ზინოვიევი და რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტბიუროს მეორე წევრი, პარტიის მიერ არა ერთხელ გაკიცხული ანტი-ბოლშევიკურ გადახრისათვის, ამხ. ტროცკი და რომელსაც ამჟამად ემხრობიან პარტიის მიერ გაკიცხულ სხვა გადახრების წარმომადგენლები. ეს „ახალი ოპოზიცია“ ანუ ახალი ოპოზიციური ბლოკი არის გაგრძელება ძველი პარტიული სენის, რომლის რეციდივები თავს იჩენენ წლიდან წლამდე. პარტია ჯერ კიდევ ამხ. ლენინის სიცოცხლეში და მისი უშუალო ხელმძღვანელობით სასტიკათ ებრძოდა ფრაქციულ ავადმყოფობას, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ყოველგვარ ანტიპარტიულ გადახრებს და ჯგუფებს, იცავდა რა პარტიის მთლიანობას. დაწყებული მეათე ყრილობიდან თვით მეთოთხმეტე ყრილობამდე პარტია სწავლობდა და გამოიბრძმიდა „მუშათა ოპოზიციის“ ანარქო-სინდიკალისტურ გადახრის და „დემოკრატიულ ცენტრალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამხ. ტროცკისთან გამართულ დისკუსიების დროს. მაგრამ ჩვენი პარტიის მეთოთხმეტე ყრილობაზე თავი იჩინა „ახალმა ოპოზიციამ“, რომლის ხელმძღვანელნი, ამხ. ზინოვიევი და კამენევი, რომელთაც, როგორადაც ეს არ უნდა იყოს განსაცვიფრებელი, უმთავრეს და ძირითად საკითხებში უარყვეს თავისი წინანდელი სწორი შეხედულება ტროცკიზმზე, დაეშვენ ამხ. ტროცკის პოზიციამდე, რომლის წინააღმდეგ ისინი პარტიასთან ერთად თვითონ იბრძოდენ სწორად და გადაჭრით:

ზინოვიევ-ტროცკი-კამენევის ეხლანდელმა ფრაქციულმა ერთად გამოსვლამ ორგანიზაციულად განამტკიცა ეს „პრინციპიალური“ ანუ, უფრო სწორათ, უპრინციპო ბლოკი. „ახალი ოპოზიციის“ ანტილენინური გადახრანი საშინაო და საგარეო ხასიათის საკითხებში უმთავრესად ასეთია: მათ არ აქვთ რწმენა სოციალისტურ აღმშენებლობისა საერთოდ და კერძოდ ჩვენი ქვეყნის საკუთარი ძალებით სოციალისტურ საფუძველზე ინდუსტრიალიზაციისა, მათ ემჩნევათ ტენდენცია საშუალო შეძლების გლეხობისა და პროლეტარიატის გლეხობასთან კავშირის გვერდის ავლისა; ისინი მფარველობას უწევენ უკიდურეს მემარჯვენეებს, რომლებიც პარტიის შიგნით განხრით მენშევიზმამდე დაექანენ (მედვედიევის ჯგუფი). საერთაშორისო მასშტაბში ისინი ხან უკიდურეს მემარჯვენეებს და ხან უკიდურეს მემარცხენეებს უახლოვდებიან; ინგლისის ამბების შესახებ მათ მიღებული აქვთ ანტილენინური ტაქტიკა,—რომელიც გამოიხატება იმაში, რომ „ოპოზიცია“ მოითხოვდა აფეთქებას ან ინგლის-რუსეთის კომიტეტთან კავშირის დემონსტრატიულად გაწყვეტას, რაიც ულტრა-მემარცხენე ფრაზებითა და მემარჯვენე პოზით ჰფარავს აშკარა ოპორტიუნისტულ შინაარსს და რაიც ობიექტიურად ნიშნავს ჩვენი პოზიციების დასუსტებას და მუშათა კლასის მტერთა პოზიციის გაძლიერებას. ეს სერიოზული განხეთქილება „ახალ ოპოზიციისა“ ცეკას უმრავლესობასთან შესაძლოა და ასატანია პარტიაში, რამდენადაც ეს შეხედულებანი დაცულ იქნებიან პარტიის წესდების ფარგლებში—ჩვენი პარტიის შიგნი. მაგრამ „ახალი ოპოზიცია“ არ დაკმაყოფილდა წესდებით მინიჭებულ უფლებებით და თავის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ მიმართა არალეგალური ფრაქციულ ორგანიზაციის შექმნას.

არალეგალური ფრაქციული მუშაობა გამოიხატა არალეგალურ, კონსპირატიულ კრების მოწყობაში, საიდუმლო პარტიულ დოკუმენტების გადაბეჭდვასა და გავრცელებაში, არალეგალურ ფრაქციულ ჯგუფების შექმნის მიზნით აგენტების დაგზავნაში. პარტიის მთლიანობის დარღვევის ეს უმაგალითო ფაქტები მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ ამ ფრაქციული ბრძოლის ძაფები მიდიოდა პოლიტბიუროს წევრ ამხ. ზინოვიევთან, და ამ მუშაობას უშუალოდ მეთაურობდა პარტიის ცეკას წევრობის კანდიდატი ამხ. ლაშევიჩი. ვიწრო ფრაქციული მიზნებისათვის, აყენებდა რა ფრაქციულ დისციპლინას პარტიულზე მაღლა, „ახალი ოპოზიცია“ არ შეჩერდა იმის წინაშეც, რომ აწარმოვა ჩვენი პარტიის მთლიანობის შერყევის ცდა. აი, რატომ სთვლის კრება სრულიად სამართლიანად და მიზანშეწონილად და არ შეუძლია არ დაეთანხმოს ფრაქციული ავადმყოფობის დაძლევისა და პარტიის მთლიანობის ინტერესებისათვის იმ დადგენილებას, რომლის მიხედვით ამხ. ზინოვიევი მოხსნილია პოლიტბიუროს წევრობიდან და ამხ. ლაშევიჩი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას კანდიდატობიდან.

კრება აუცილებლად სთვლის ხაზი გაუსვას, რომ ყოველგვარი საქმიანი წინადადებანი, რომლებიც მიმართული იქნება პარტორგანიზაციების მუშაობაში შენიშნულ ნაკლთა გამოსწორებისაკენ, პარტიის წევრების აქტიურობისა და თვითმოქმედების ასაწევად, შინა-პარტიული დემოკრატიის განსავითარებლად, უნდა იქნას განხილული ყურადღებით და მტკიცედ გატარებული პარტიის ცხოვრებაში, და კერძოდ, ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებში. მაგრამ ამასთან ერთად პარტიის წევრთა ფართო მასების აღზრდა ლენინის პრინციპების მიხედვით და სწორად გაგებული შინა-პარტიული დემოკრატია ნიშნავს და გულისხმობს დაუნდობელ ბრძოლას ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ განხრებისა და განწყობილებათა წინააღმდეგ, რომლებიც ზოგჯერ მემარცხენე ფრაზების სახით იჭრებიან პარტიაში.

კრება, ამიერ-კავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაციების სახელით აცხადებს, რომ იგი მზადაა დადგეს ლენინის პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და იბრძოლოს ლენინიზმის ყოველგვარი გაყალბების წინააღმდეგ და აღუთქვამს ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მას ამ ბრძოლაში.

გაუმარჯოს მთლიან, მონოლიტურ, ყოველგვარ განხრებისა და ჯგუფებისაგან განთავისუფლებულ ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) კოლექტიურ შტაბს—ცეკას, რომელიც უზრუნველყოფილია ლენინის პარტიის სრული დახმარებით!

ლენინური ერთობისა და პროლეტარული დისციპლინისათვის

(„პრავდა“-ს მეთაური)

ც. კ. და ც. საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებებმა ჩვენს პარტიაში გამოიწვიეს სოლიდარობის და მხარის დაჭერის ძლიერი გამოძახილი. ჩვენი კავშირის ყველა კუთხეების ქვედა პარტიულ ორგანიზაციებიდან მოდის რეზოლიუციები, რომელნიც ესალმებიან პლენუმის დადგენილებებს, იწონებენ მთლიანად და სავსებით ჩვენი ლენინური ცეკას ხაზს და სასტიკი ფორმით ჰკიცხავენ ოპოზიციის ფრაქციულ მოქმედებას. ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტია, მებრძოლთა მილიონიანი ძლიერი რაზმი, მთლიანად, როგორც ერთი კაცი დგება ლენინური მთლიანობის სადარაჯოზე, შეუდრეკელ რკინის ზღუდეთ ერტყმის გარს თავის ცენტრალურ კომიტეტს და თავის მძლავრ ხმას იმაღლებს მათ წინააღმდეგ, ვინც გაკადნიერდა დასარღვევად შეხებოდა შემჭიდროებულ ბოლშევიკურ რიგებს; ვინც მოინდომა პარტიის გადაჩეხვა განხეთქილების უფსკრულში. პარტია რჩება ისევ იმ პარტიად, რომელიც მუდამ იყო:

მაგარი, როგორც ფოლადი, ლენინის პარტიად, მტკიცე ძლევამოსილი, მთლიან-მთლიანი და კიდევ მთლიან პარტიად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ახალი ოპოზიციის მრავალრიცხოვანმა მომხრეებმა ასტეხეს ფრაქციული ბრძოლა. მაგრამ ყოველ ფრაქციულ ბრძოლას აქვს თავისი განუყრელი ლოღიკა. ფრაქციული ბრძოლის ეს შინაგანი ლოღიკა მეტად სავალალო გამოდგა ახალი ოპოზიციისათვის და მიიყვანა ეს უკანასკნელი ჯერ არ გაგონილ პოლიტიკურ გაკოტრებამდე.

ჩვენი პარტიის ჯერ კიდევ მე-14 ყრილობაზე ახალი ოპოზიციის ბელადმა ამხ. ზინოვიევმა გადაისროლა „პარტიის ყველა ყოფილ ჯგუფებისა“, ფრაქციებისა და დაჯგუფებებისათვის თავისუფლების მინიჭების ლოზუნგი, პარტიის უმაღლეს ორგანოს—პარტიულ ყრილობის დადგენილების მიუხედავათ, ოპოზიციამ მე-14 ყრილობის შემდეგ არა თუ აიღო ხელი [illegible] ჯგუფების თავისუფლების შესახებ წამოყენებული ანტიბოლშევიკურ ლოზუნგზე, პირიქით—გადამეტებული ენერგიით გააძლიერა ფრაქციული მუშაობა, რომელიც გადაიტანა არალეგალურ ნიადაგზე და ამით წარმოშო განხეთქილების საშიშროება პარტიაში.

თუ ოპოზიციონურ ლოზუნგს ბოლშევიკურ პარტიაში ფრაქციებისა და დაჯგუფების თავისუფლების შესახებ პოლიტიკური თვალსაზრისით განვიხილავთ,—ეს მოასწავებს ახალი ოპოზიციის დაქანებას ტროცკიზმისაკენ.

პარტიის მთლიანობა ფრაქციების,—დაჯგუფების გარეშე—არის ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპი. წინააღმდეგ—ჩვენი პარტიის წარმოდგენა, როგორც ფრაქციების, ჯგუფების, მიმდინარეობის, „ნიუანსების“ „ნაგლეჯების“ და წვრიმალ ჯგუფების ჯამისა არის ტროცკიზმის ორგანიზაციული პრინციპი.

ოპოზიციის წარმომადგენლები პირველი პრინციპიდან მეორე პრინციპზე გადავიდენ. ამით ისინი იდეურად ჩაიძირენ ტროცკიზმის ჭაობში.

ეს კიდევ ცოტაა,—ახალი ოპოზიციის წარმომადგენელთა პირში ფრაქციათა და დაჯგუფებათა თავისუფლების ლოზუნგი წარმოადგენს აღმაშფოთებელ, უმაგალითო პოლიტიკური უპრინციპობის გამოხატულებას.

ჯერ კიდევ სულ ახლო წარსულში—1923, 1924 და 1925 წლებში—დღევანდელი ოპოზიციის ბელადები მთელ პარტიასთან ერთად ტროცკიზმი „ლენინიზმის რევიზიად“ გამოაცხადეს.

ჯერ კიდევ სულ ახლო წარსულში—კამენევმა და ზინოვიევმა ყოვლად დაუნდობლად ამხილეს ტროცკისტული ლოზუნგი ფრაქციების და დაჯგუფებათა თავისუფლების შესახებ და ამ ლოზუნგისათვის გაჰკიცხეს ტროცკიზმი, როგორც „მენშევიზმის ერთ-ერთი სახეობა“.

და ეხლა თვითვე შეეზარდენ მას, რაც მენშევიზმის სახეობად გამოაცხადეს; ეხლა თვით ისინი ტროცკიზმს ხდიან ახალ სახარებად. სახარებად, რომელიც უკვე საკმაოდ გაცვეთილია და სამართლიანად დაწუნებულია ჩვენი პარტიის მიერ.

შეხედულებების გამოცვლის ასეთი განმაცვიფრებელი მაგალითის, უფრო მეტი, პოლიტიკური ქამელეონობის ასეთი მაგალითის გამოძებნა ნეტავ ძნელია ჩვენი პარტიის შინაურ ისტორიაში.

ოპოზიციის „ბრძოლის“ ლოზუნგი არის—ფრაქციების, დაჯგუფებათა თავისუფლება, თავისუფლება „ყველა ყოფილ ჯგუფებისა“. გარდა იმისა, რომ ეს ლოზუნგი ნიშნავს ტროცკიზმის მიერ ახალი ოპოზიციის იდეურ დაპყრობას. იგი აგრეთვე მეტსაც ნიშნავს. პარტიის ყოფილ ჯგუფების თავისუფლების ლოზუნგი, რამდენადაც ამას დაჟინებით მოითხოვს ახალი ოპოზიცია,—წარმოადგენს ოპოზიციის ობიექტიურ ბლოკს შლიაპნიკოვის და მედვედევის „ყოფილ ჯგუფთან“.

ვინ არიან შლიაპნიკოვი და მედვედევი, რომელთანაც ჯერ კიდევ ლენინი აწარმოებდა შეურიგებელ ბრძოლას, პარტიამ კარგათ იცის.

შლიაპნიკოვ - მედვედევის ჯგუფი—ეს არის ჩვენი პარტიის უკიდურესი მემარჯვენე დაჯგუფება,—ეს არის მეორე ინტერნაციონალის, ამსტერდამის ბურჟუაზიულ დემოკრატიის მომხრეების წინაშე წამოჩოქილთა ჯგუფი. აი ასეთს ჯგუფს, რომელსაც ნამდვილ მენშევიზმის მყრალი სუნი უდის, ახალი ოპოზიცია მზად არის გაუწოდოს ხელი ლენინის ცეკას წინააღმდეგ ფრაქციულ ბრძოლის ერთად საწარმოებლად.

ამ იარაღით ბედავს ახალი ოპოზიცია ცეკას ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გალაშქრებას. ასეთი სახე აქვს ახალ ოპოზიციის მიერ მოპოვებულ პოლიტიკური უპრინციპობის რეკორდს.

მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ფრაქციების და დაჯგუფებათა უპრინციპო და უფორმო ოპოზიციონური ბლოკის იერიშები ცეკას წინააღმდეგ სასტიკათ და ერთსულოვნად მოგერიებულ იქნება პარტიის მიერ და ეს ბლოკი მწარე დამარცხებას იგემებს. ჩვენი პარტია საკმაოდ მტკიცეა და იდეურად საკმაოდ ღონიერია. ლენინის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობით რომ მოინელოს ის „თეორეტიული“ და „პოლიტიკური“ დომხალი, რომელსაც პარტიას სთავაზობს ახალი ოპოზიციონური ბლოკი.

ჩვენი პარტია საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ გადაჭრით აღკვეთოს არალეგალურ ფრაქციულობის გზაზე დადგომის ყოველგვარი ცდები; საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ შეასრულოს ლენინის ანდერძი—(„ყოველგვარ ფრაქციულობის მოსპობა“). პარტია ვერ მოითმენს ფრაქციულ თავდასხმას პარტიის ლენინურ მთლიანობაზე და თუ ც. კ. და ც. საკ. კომისიის პლენუმმა მიიღო ზომები ოპოზიციის წინააღმდეგ;—მთელი პარტია, როგორც ერთი კაცი ფეხზე დგება და ეუბნება ცენტრალურ კომიტეტს: სწორეა! ცენტრალური კომიტეტი მოვალეა იყოს პარტიული მთლიანობის და პროლეტარულ დისციპლინის დარაჯი! ცენტრალური კომიტეტი ასრულებს და კვლავაც შეასრულებს თავის ვალდებულებას პარტიის წინაშე.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 30 ივლისი.

ექსპორტის პრობლემა

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ერთერთ მთავარ პირობას წარმოადგენს ექსპორტის საკითხის გადაჭრა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა, რომელიც ჩვენ გვაქვს დასახული, მოითხოვს უცხოეთიდან დიდძალ საწარმოო იარაღების და საშუალებათა შემოზიდვას. ჯერ-ჯერობით აგრეთვე საზღვარგარეთიდან უნდა შემოვიტანოთ ნაწილობრივ ისეთი სამომხმარებლო საქონელიც, რომელსაც ჩვენი ფაბრიკა - ქარხნები კიდევ ვერ ამზადებენ საკმაო რაოდენობით.

კაპიტალისტური მსოფლიო ჩვენ არ გვიხსნის საქონლის და ფულად კრედიტს საჭირო მასშტაბით. საქონლის შეძენა უცხოეთში გვიხდება უმთავრესად ნაღდ ფულზე. ესეც არ იყოს, კრედიტი ჰგულისხმობს პროცენტებს და საქონლის მიღებას უფრო ძვირად და ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში.

უმთავრეს გზას ექსპორტის განვითარებისათვის წარმოადგენს საექსპორტო ოპერაციების გაძლიერება. ჩვენ უნდა გავიტანოთ საზღვარგარეთის ბაზრებზე იმდენი ღირებულების საქონელი, რომ აქედან აღებული თანხებით შევსძლოთ იქ ჩვენთვის აუცილებელ საგნების შესყიდვა. კიდევ მეტი: ჩვენს ამოცანას შეადგენს გავზიდოთ უცხოეთში უფრო მეტი საქონელი, ვინემ იქიდან შემოვზიდავთ, რომ ამ გზით შევქმნათ ვალიუტის ერთგვარი ფონდი სამეურნეო მანევრებისათვის, მივაღწიოთ საგარეო ვაჭრობაში აქტიურ ბალანსს და ამ მხრივ ფინანსიურად დამოუკიდებელი გავხდეთ კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა ჯერ-ჯერობით არ არის განხორციელებული. შარშან ჩვენი კავშირის საგარეო ვაჭრობის ბალანსის პასიურობა გამოიხატა 160 მილ. მანეთში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ევროპიდან ჩვენ შემოვიტანეთ 67,5 მილიონ მან. მეტი ღირებულების საქონელი, ვინემ გავზიდეთ.

ეს გარემოება საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა მაღალი ფასებით, დამზადებითი ოპერაციების მოუგვარებლობით, მსოფლიო ბაზრის არახელსაყრელ კონიუნქტურით და სხ.

ბოლო დროს მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება ჩვენდა სასარგებლოდ. მაგ., ივნისში გაზიდვა უდრიდა 51 მილიონ მან. მაისის 38,2 მილ. მ. შედარებით, ხოლო შემოზიდვა — 50,7 მილ. მან. მაისის 41,5 მილ. მან. შედარებით; ამგვარად, შემოზიდვა გაიზარდა 35,6 პროც., გაზიდვა — 22,1 პროც. ამავე დროს ივნისში ჩვენ გვაქვს აქტიური სავაჭრო ბალანსი 1,1 მილ. მან., მაშინ როცა მაისში სავაჭრო ბალანსის პასივი შეადგენდა 3,3 მილ. მანეთს.

არის ყველა ნიშნები, რომ შემდეგში უფრო გაიზრდება ექსპორტ - იმპორტი და რომ პირველი გადააჭარბებს მეორეს. ამაში გვარწმუნებს პირველ ყოვლისა და უმთავრესად პურეულის და ტეხნიკურ კულტურათა კარგი მოსავალი, ერთი მხრივ, და სასოფლო - სამეურნეო პროდუქციაზე ფასების დაკლება—მეორე მხრივ. შარშან და მიმდინარე წლის პირველ სამ კვარტალში (მეოთხედში) საგარეო ვაჭრობის პასიური ბალანსი გამოიწვია მეტ წილად მაღალმა სასოფლო - სამეურნეო ფასებმა, რამაც ექსპორტის მომგებიანობა შეუძლებელი გახადა. ამავე დროს განვიცდიდით სამრეწველო საქონლის ნაკლებობას; იგი გლეხობას თავის დროზე და იაფად ვერ მივაწოდეთ, მისი პროდუქციის სანაცვლოდ, რამაც უკანასკნელის გამოტანა ბაზარზე შეაფერხა და მისი ფასებიც გაზარდა. ამ მხრივაც ეხლა უკეთესი მდგომარეობა იქმნება: სამრეწველო საქონლის მასსა დიდდება და მისი ფასებიც კლებულობს.

ეს პროცესი უნდა დავაჩქაროთ და გავაღრმავოთ. საცალო ფასების დაკლება და იაფი საქონლის დროზე მიწოდება გლეხობისათვის მთავარი საშუალებაა მისგან სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის ხელსაყრელ პირობებში შეძენისა და ამ გზით საექსპორტო ოპერაციების განვითარებისათვის.

შემდეგ: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამზადებითი აპარატის და საექსპორტო საქონლის შეძენის მოწყობას. გამორკვეულია, რომ არაჩვეულებრივად დიდია დამზადების საორგანიზაციო ხარჯები. მაგ., ა.-წ. პირველ ნახევარში ერთ ფუთ ხორბლის დამზადებითი ფასი მთელ საბჭოთა კავშირში საშუალოდ უდრიდა 1 მ. 28 კ., ზედნართი ხარჯები კი 67 კ., სიმინდის—49 და 65 კ., შვრიასი — 90 და 64 კ., ქერის 57 და 58 კ. ტყავეულის 23,5 და 27,5% კ., ერთ ფუთ კვერცხის — 28 მ. 30 კ. და 27 მ. 40 კ. როგორც ვხედავთ, ბევრ შემთხვევაში ზედნართი ხარჯები იმდენად მაღალია, რომ აღემატება დამზადებითი ფასებსაც კი.

დამაფიქრებელი ფაქტია, რომელიც მოწმობს, თუ ჯერ კიდევ როგორ ცუდათაა მოწყობილი და როგორ ცუდათ მუშაობს ჩვენი დამამზადებელი აპარატი. საჭიროა მისი მაქსიმალურად გამარტივება პარალელურ, ერთმანეთის მოქიშპე სავაჭრო ორგანიზაციების მოსპობა, საორგანიზაციო ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა, როგორც აქ, ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარედ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ზარალი ავიცდინოთ და ჩვენი საექსპორტო ოპერაციები მომგებიანი გავხადოთ.

ეს ცოტაა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საექსპორტო საქონლის თვისების გაუმჯობესებას. ასეთი საქონლის შეძენა უნდა ხდებოდეს განსაკუთრებული შერჩევით. საზღვარგარეთი ამ მხრივ მეტად მაღალ მოთხოვნებს გვიყენებს. იგი ყოველ ხრიკს მიმართავს, რათა ჩვენი საქონელი დაიწუნოს და იაფად ჩაიგდოს ხელთ. უცხოეთის ბაზარს ამის საშუალება უნდა მოუსპოთ იქ საუკეთესო ღირსების საქონლის გაგზავნით.

ამ მხრივ დაუშვებელ დაუდევრობას ჰქონდა ადგილი. იყო შემთხვევა, როცა ნიუ-იორკში ამერიკელების თანდასწრებით გახსნეს ოდესიდან გაგზავნილი თევზეულით სავსე ყუთები და თევზი დამპალი აღმოჩნდა. არავის მოუვიდა აზრად მისი დროზე შემოწმება. კიდევ მაგალითი: თბილისიდან ოსმალეთის ერთ-ერთ ქალაქში გაგზავნილი ავეჯეული და შუშეული ნახევრად დამტვრეული და გაფუჭებული ნახეს. მსგავსი შემთხვევები ბევრია, რაც სახელს უტეხს ჩვენს საქონელს უცხოეთში.

ვიმეორებთ, საექსპორტო საქონლის თვისებას, მის რიგიანად ჩალაგებას და ექსპორტს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი ჩვენ მიერ უცხოეთის ბაზრის დაპყრობაზე.

დაბოლოს, ჩვენი საექსპორტო გეგმის შედგენის დროს ერთ მომენტს უნდა გაესვას ხაზი. საბჭოთა კავშირის მთავარი საექსპორტო საქონელი წინედაც იყო და ეხლაც რჩება პურეული. მაგრამ ამავე დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მესაქონლეობის პროდუქტების და ტეხნიკურ კულტურათა ექსპორტს. ეს დარგები ბოლო დროს სწრაფად ვითარდება ხშირად პურეულის ხარჯზე. კერძოდ ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც პურეულის ექსპორტი ვერ ითამაშებს თვალსაჩინო როლს, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენში ბლომად მოიპოვება სხვადასხვა საექსპორტო საქონელი: მესაქონლეობის პროდუქცია, აბრეშუმის პარკი, ხე-ტყე და სხ., რომელთა დამზადებას და უცხოეთის ბაზარზე გატანას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ჩვენმა სახალხო მეურნეობის საბჭომ უკვე შეიმუშავა ამ მხრივ სათანადო გეგმა. მტკიცე საექსპორტო - საიმპორტო გეგმა უნდა იქნას შედგენილი რესპუბლიკანურ მასშტაბით.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარებას უნდა შეუდგეთ დაუყოვნებლივ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ექსპორტის პრობლემის წარმატებით გადაჭრაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობის აწევა, ჩვენი ეკონომიური და, მაშასადამე პოლიტიკური ხვედრითი ნაწილის გაზრდა მსოფლიოში და ჩვენი სამეურნეო დამოუკიდებლობის განმტკიცება.

მ. ლ—ძე.

კანტონის რევოლიუციონური ჯარები შეტევაზე გადავიდენ

სამხრეთ-ჩინეთის დიდი ნაწილი კანტონის ჯარებმა დაიკავეს.--უ-პეი-ფუ იძულებულია დასტოვოს შანხაი

მღელვარება მუკდენში.—მუკდენის პოლიციელები გაიფიცენ.—პეკინის სავაჭრო პალატა ბრძოლის შეწყვეტას მოითხოვს

სამთა-მადნო მუშების ფედერაციის აღმასკომმა გადასწყვიტა განაგრძოს ბრძოლა

განზრახულია საფრანგეთში მცხოვრებ უცხოელების დაბეგვრა სპეციალური გადასახადით

კანტონის არმიის შეტევა

კანტონის ჯარები წინ მიიწევენ

ლონდონი, 30 ივლისი. „დეილი მეილის“ შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, **რომ საექსპედიციო ძალები კანტონიდან სწრაფად მიდიან წინ ჩრდილოეთისაკენ და უკვე დაიჭირეს სამხრეთ ჩინეთის დიდი ნაწილი.**

კანტონის ჯარები დაჩქარებით აწარმოებენ შეტევას ხანკოუს წინააღმდეგ. შესაძლოა, რომ შანხაი განთავისუფლდება უ-პეი-ფუს მარშალის წყალობით, რომელიც ამჟამად ჩრდილოეთ ჩინეთში იმყოფება და ისწრაფვის ხანკოუსაკენ, რათა შეაჩეროს სამხრეთის ძალები.

სავაჭრო პალატების მოთხოვნილება

პეკინი, 29 ივლისი. პეკინის გაერთიანებულ სავაჭრო პალატის სპეციალურმა კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩინეთში შექმნილ მძიმე მდგომარეობის გამო, 23 პროვინციის და ოლქის წარმომადგენლები მიმართავენ თავის სავაჭრო პალატებს თხოვნით მოითხოვენ, სამხედრო ხელისუფლებათაგან საომარ მოქმედებათა შეწყვეტა, სახელმწიფოში მშვიდობიანობის ჩამოგდება და სამხედრო ხელისუფლების რეორგანიზაცია.

ამ რეზოლიუციის მიღებასთან დაკავშირებით, პეკინის გაერთიანებულ სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ გადასწყვიტა პირადათ ინახულოს უ-პეი-ფუ, ჩჟან-ძო-ლინი, ჩჟან-სუე-ლიანი (ჩჟან-ძო-ლინის შვილი) და სხვა სამხედრო ბელადები.

სუნ-ჩჟან-ფანი მხარს უჭერს შერეულ სასამართლოს რეორგანიზაციას

პეკინი, 29 ივლისი. შანხაიდან მიღებული ცნობით, სუნ-ჩჟან-ფანმა არაოფიციალურად მოიწონა პროექტი შეთანხმებისა შერეულ სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ. სუნ-ჩჟან-ფანმა განაცხადა, რომ თუ საკონსულო კორპუსი წამოაყენებს წინადადებას შეთანხმების პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ, ჩინეთის ხელისუფლებაც მოისურვებს ზოგიერთ შესწორებების შეტანას.

თავის გამოკვების თვალსაზრისით

პეკინი, 29 ივლისი. შანხაის უცხოელ იურისტების ასოციაციის დელეგაცია ჩავიდა პეკინში. დელეგაციამ დიპლომატიურ კორპუსს მიმართა განცხადებით, სადაც აღნიშნავს, რომ ასოციაციას, რომელიც პირველად მოითხოვდა შერეულ სასამართლოს რეორგანიზაციის უარყოფას, ეხლა გადაწყვეტილი აქვს მოითხოვოს მხოლოდ ზოგიერთი პირობების შეცვლა.

დელეგაცია აღნიშნავს, რომ უცხოელმა იურისტებმა შანხაიში მრავალ წლების განმავლობაში შექმნეს თავისი პრაქტიკა და მას თავის უდავო უფლებათ სთვლიან.

შანხაის ჩინელ იურისტების ასოციაციამ თავის მხრივ დიპლომატიური კორპუსს მიმართა დეპეშით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ უცხოელი იურისტები შეთანხმებას შერეულ სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ უყურებენ თავის გამოკვების თვალსაზრისით და ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტს, რომ შერეულ სასამართლოს შემდგომი არსებობა ძლიერ აფერხებს ურთი-ერთობის გაუმჯობესებას ჩინეთსა და უცხოელ სახელმწიფოებს შორის.

ეროვნული რევოლიუციისათვის

პეკინი, 29 ივლისი. ჩინეთის მუშათა გენერალურ კავშირის მიმართვის საპასუხოდ კანტონის მთავრობამ გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვამს იმედს, რომ ყველა **მუშები, განსაკუთრებით რკინისგზელები, მხარს დაუჭერენ ჩრდილოეთის ექსპედიციას ხუნანში, რომლის მიზანია მილიტარისტების დამარცხება და ეროვნული რევოლიუციის დაჩქარებით განხორციელება ჩინეთში.**

მდგომარეობა ფრონტებზე

პეკინი, 29 ივლისი უკანასკნელი ცნობებით, მდგომარეობა ჩრდილოეთ ფრონტზე ასეთია:

ჩჟან-ძო-ლინის მომხრე, ხეი-ლუნძიანის პროვინციის სამხედრო გუბერნატორი იუწყება, რომ მან დაიკავა დოლო-ნო, რომელიც 350 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ჩრდილოეთ პეკინიდან და 210 კილომეტრის მანძილზე ჩრდ.-აღმოს. კალგანიდან, რომელიც ადმინისტრატიული ცენტრია სახალხო არმიის მიერ დაჭერილი ტერიტორიისაა.

მუკდენელების მოძრაობა დოლონოროდან სამხრეთ - დასავლეთით უმზადებს საფრთხეს სახალხო არმიის მემარცხენე ფრთას.

ხანკოუს ფრონტიდან ახალი ცნობები არ არის. როგორც იუწყებოდინ, ჩჟანძო-ლინის და უ-პეი-ფუს ჯარებმა დაიჭირეს სადგური ხანკოუ. ხანკოუს მთის უღელტეხილის ბედი არაა გამორკვეული.



ჩენ-კაი-ში
კანტონის რევოლიუციონური ჯარების მთავარ-სარდალი

უ-პეი-ფუმ გადასდო თავის დაბრუნება ხან-კოუში და განზრახული აქვს თვითონ უხელმძღვანელოს ოპერაციებს ხანკოუს ფრონტზე.

ჩჟან-ძო-ლინმა უბრძანა თავის შვილს ჩჟან-სიუ-ლიანს და გენერალ ჩჟანძუნ-ჩანს, რომ მთელი თავისი ყურადღება სახალხო არმიის საწინააღმდეგო ოპერაციებს მიაქციონ.

„ერთსულოვნების უქონლობა“

პეკინი, 29 ივლისი. გამოქვეყნდა შეერთებულ შტატების ელჩის მაკ-მერეის პასუხი კანტონის გარეშე საქმეთა მინისტრის ევგენი ჩენის ნოტაზე, რომელშიაც უკანასკნელი პროტესტს უცხადებდა პეკინის დიპლომატიურ კორპუსს საბაჟო კონფერენციის მუშაობაში პეკინის ეხლანდელი მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობის გამო.

„თქვენი ენერგიული პროტესტი საბაჟო კონფერენციის მუშაობის განახლების წინააღმდეგ — სწერს მაკ-მერეი —ავსებს ანალოგიურ პროტესტებს ჩინეთის სხვა ოლქების წარმომადგენლების მხრივ, რაც მოწმობს ჩინეთის ხალხის არა საკმაო ერთსულოვნებას უცხო სახელმწიფოების იმ მისწრაფების მიმართ, რომლის მიზანია ზოგიერთ ღონისძიებათა გატარება არსებულ ხელშეკრულებების განსახორციელებლად.

ეს ერთსულოვნობის უქონლობა განსაკუთრებით სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს იმ დროს, როცა ჩინეთში არ არსებობს ცენტრალური მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერდეს ქვეყნის ყველა ნაწილები და სცნობდენ დაინტერესებული სახელმწიფოები“.

ჩინეთის პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ მაკ მარეის პასუხს, რომლითაგანაც აშკარად სჩანს. რომ უცხო სახელმწიფოები არ სცნობენ ჩინეთის ეხლანდელ მთავრობას.

სტუდენტთა კონგრესი

პეკინი, 29 ივლისი. კანტონში მოწვეულია სტუდენტთა ეროვნული კონგრესი. კონგრესის ჩატარების ხარჯებისათვის კანტონის მთავრობამ გადასდო 2.900 დოლარი, გომინდანის აღმასკომმა—3.000 დოლარი.

სესხი კანტონის მთავრობას

პეკინი, 29 ივლისი. კანტონის სავაჭრო პალატამ იკისრა, კანტონის მთავრობას 500.000 ჩინური დოლარის სესხი მისცეს იმ ხარჯების გასაწევად, რომლებიც საჭიროა ჩრდილოეთის ექსპედიციისათვის პროვინცია ხუ-ნანში სენ-კაი-სანის წინააღმდეგ.

პალატამ გადასცა მთავრობას 150.000 დოლარი, ხოლო დანარჩენს 350.000 დოლარს ამ მოკლე ხანში გადასცემს.

საგაფიცვო მოძრაობა შანხაიში

პეკინი, 29 ივლისი. **საგაფიცვო მოძრაობა შანხაიში ფართოვდება. საფეიქრო ფაბრიკებში გაიფიცა 3.000 მუშ. გაიფიცა 10 საქონლის საწყობის 1.500 მუშა. მოსალოდნელია გაფიცვა ნანიანის თამბაქოს ქარხანაში, რომლის ადმინისტრაციამ უარყო მუშათა მოთხოვნილება, ბრინჯის ულუფის გადიდება.**

სუნ-ჩუან-ფანის განცხადება

პეკინი, 29 ივლისი. სუნ-ჩუან-ფანმა (შანხაისთან ახლო მდებარე ხუთი პროვინციის გუბერნატორი) შუამდგომლობა აღძრა პეკინის მთავრობისა და სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების წინაშე, სახალხო არმიასთან დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ; მანვე იკისრა შუამდგომლობა საზაო მოლაპარაკების დროს.

სუნ-ჩუან-ფანი აცხადებს, რომ ქვეყანას არ შეუძლია არსებობა განუწყვეტელი სამოქალაქო ომის პირობებში. დეპეშას ხელს აწერენ აგრეთვე ცენტრალური ჩინეთის სხვა გენერლებიც.

სუნ-ჩუან-ფანის მეორე უ-პეი-ფუსა და ჩან-კაი-შისადმი (კანტონის შეიარაღებული ძალების უფროსი) გაგზავნილი დეპეშა მოუწოდებს მათ მშვიდობიანობისაკენ.

ამ დეპეშაში სუნ-ჩუან-ფანი აცხადებს, რომ თუ უ-პეი-ფუ დათანხმდება, ის სთხოვს ჩან-კაი-შის შესწყვიტოს საომარი მოქმედება.

კანტონის არმიის შეტევა

ბერლინი, 30 ივლისი. **კანტონის არმია შეტევას აწარმოებს ხანკოუს მხრით. „დეილი მეილი“ იუწყება, რომ ამის გამო შანხაიში პანიკაა; ეშინიათ, რომ შანხაის ჩაითრევენ ბრძოლაში.**

მემაღაროელები მტკიცედ არიან

მუშები მტკიცედ არიან

ლონდონი, 29 ივლისი. **სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომმა ყველა რაიონებიდან მიიღო ცნობები გაფიცვის მდგომარეობის შესახებ. ცენტრალური ინგლისის ორი მაღაროს გამონაკლისით, სამთამადნო მუშები ყველგან მტკიცედ არიან.**

ინგლისის კომპარტიის მოწოდება

ლონდონი, 29 ივლისი. ინგლისის კომპარტიამ სამთამადნო მუშათა გაფიცვის შესახებ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც მოითხოვს, რომ ინგლისის სამთამადნო მუშათა სადელეგატო კონფერენციამ, რომელიც 30 ივლისს უნდა გაიხსნას, მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები: სთხოვს გენერალურ საბჭოს, რომ მან მოთხოვნილებით მიმართოს ამსტერდამის ინტერნაციონალს, რათა მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ ინგლისის სამთამადნო მუშებს ფულების გამოგზავნით, სხვა ქვეყნებში ქვანახშირის ამოღების შემცირებით და ინგლისში ქვანახშირის შეტანის აკრძალვით; შევიდეს კონტაქტში მუშათა პარტიასთან, კომპარტიასთან და დამოუკიდებელ მუშათა პარტიასთან იმ მიზნით, რომ გააძლიეროს კამპანია უორკშირსა და სხვა რაიონებში, სადაც მწარმოებლები სცდილობენ, რომ მუშები დაუბრუნდნენ სამუშაოს; მოხსნილ იქნან მუშაობიდან ყველა მემაღაროეები, რომლებიც მაღაროების უშიშროებას ადევნებენ თვალყურს.

გაფიცვის გაგრძელების სასარგებლოთ

ბერლინი, 30 ივლისი. **ლონდონიდან მიღებულ ცნობით, სამთამადნო მუშათა პროფკავშირის ახალი აღმასკომი მხარს უჭერს გაფიცვის გაგრძელებას.**

სადელეგატო კონფერენცია

ლონდონი, 30 ივლისი. დღეს ლონდონში შეიკრიბება სამთამადნო მუშათა სადელეგატო კონფერენცია, რომელსაც წინადადება მიეცემა მიიღოს მემორანდუმი სანახშირო დავის მოწესრიგების შესახებ. ეს მემორანდუმი გადაეცა მთავრობას სამრეწველო — ქრისტიანულ ამხანაგობის შუამავლობით.

მემორანდუმი, რომელიც მოწონებულია სამთამადნო მუშათა აღმასკომის მიერ, შეიცავს 6 მუხლს. მისი ძირითადი დებულებაა — სამუშაოზე დაბრუნება გაფიცვამდე არსებულ პირობებში სანამ მთავრობის დახმარებით მოკლე ხნის განმავლობაში წარმოებულ იქნება მოლაპარაკება ახალ ნაციონალურ შეთანხმების შესახებ. თუ მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდა საკითხს არბიტრაჟი სწყვეტს. მემორანდუმში მოხსენიებულია აგრეთვე მრეწველობის რეორგანიზაცია.

კუკმა გუშინ არბიტრაჟის შესახებ განაცხადა, რომ უკანასკნელ მიმართავენ მხოლოდ სამუშაო ხელფასის და არა სამუშაო დღის საკითხში. აღმასკომი წინადადებას შეიტანს არ იქნეს განხილული ვარიანტები სამუშაო საათების შესახებ. კუკმა დასძინა, რომ აღმასკომი კონფერენციას სხვა წინადადებებს აღარ მისცემს.

ამ განცხადების გამო ნაკლები იმედი აქვთ რაიმე მნიშვნელოვან წინსვლისა ან შეთანხმების მიღწევისა, რადგან მთავრობამ ამასწინად გარკვევით განაცხადა, რომ ის არც განიხილავს და არც თვითონ მისცემს წინადედებებს მაღაროს პატრონებს, სანამ უკანასკნელნი მოითხოვენ სუბსიდიას მუშაობის ძველ პირობებში განახლებისათვის.

მიუხედავათ ამისა აღნიშნავენ, რომ თუ მემორანდუმი მოწონებულ იქნა კონფერენციის მიერ, ის დადებით წინადადებებით შესცვლის მემაღაროების უარყოფითი განცხადებებს, რომლითაც ისინი გამოდიოდენ მოლაპარაკების დროს. ეს მოქმედების თავისუფლებას მისცემს აღმასკომს.

მაკდონალდი და სამთამადნო მუშები

ლონდონი, 29 ივლისი. დადის ხმები, რომ მუშათა საპარლამენტო ფრაქციამ მიანდო მაკდონალდს და ჰენდერსონს, რომ კონტაქტი დაიჭიროს ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომთან.

დადგენილების მოტივად მოყვანილია თანამშრომლობის აუცილებლობა, ან უკიდურეს შემთხვევაში, კონსულტაცია სამთამადნო მუშათა და მუშათა პარტიის შორის.

მაკდონალდისა და ჰენდერსონის განცხადება

ლონდონი, 29 ივლისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მიერ წარდგენილ წინადადებაზე აღმასკომის და ფრაქციის გაერთიანებულ თათბირის მოწვევის შესახებ, აღმასკომმა უპასუხა, რომ ის მოხარული იქნება ფრაქციის წევრებს შეხვდეს სადელეგატო კონფერენციის შემდეგ. მაკდონალდმა და ჰენდერსონმა განაცხადეს, **რომ ეს მათთვის ხელსაყრელი არ არის,** რადგან მათ ევალებათ ამასთან დაკავშირებით გამოვიდენ მიტინგებზე სხვადასხვა რაიონებში. ჯერ ჯერობით საკითხი თათბირის შესახებ არ არის გადაწყვეტილი. საპარლამენტო ფრაქციის წევრები უაღრესად უკმაყოფილო არიან მემაღაროელთა ფედერაციის აღმასკომის განცხადებით.

ხიკსის გულის მოსაგებათ

ლონდონი, 29 ივლისი მუშათა პარტიის აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა: გამორიცხოს მუშათა პარტიიდან ხუთი ადგილობრივი ორგანიზაცია ლივერპულის კონფერენციის დადგენილებათა არ შესრულების გამო, მუშათა პარტიიდან კომუნისტების გარიცხვის შესახებ.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის პასუხი

ლონდონი, 29 ივლისი. დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა პასუხი ინგლისის კომპარტიის წინადადებაზე სამთამადნო მუშების დასახმარებლად საერთო კამპანიის მოწყობისა და კერძოდ, ქვანახშირის გადატანის აკრძალვისათვის აგიტაციის შესახებ. დამოუკიდებელი მუშათა პარტია უარყოფს კომპარტიის წინადადებას და აღნიშნავს, რომ რამდენადაც პროფკავშირებმა გადასწყვიტეს, არ გაატარონ ქვანახშირის გადაზიდვის გადაწყვეტილება, კომპარტიის მიერ წამოყენებული პროპაგანდა განცალკევებული გამოსვლის პროვოკაცია იქნება, რომელიც არ მიგვიყვანს დადებით შედეგებამდე და „ხელს შეუწყობს პროფკავშირებში განხეთქილების გამოწვევას და მუშათა ტანჯვას“.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მდივანი დასძენს, რომ კომინტერნი ინსტრუქციებს აძლევდა ინგლისის კომპარტიას, რომ მას „ეწარმოებინა აქტიური აგიტაცია დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წინააღმდეგ“ და აღნიშნავს რომ ამის გამო ძნელი დასაჯერებელია კომპარტიის წინადადების გულწრფელობა.

კუკის მგზავრობის შედეგი

ლონდონი, 29 ივლისი. კუკის სააგიტაციო მგზავრობის შედეგები უორკშირის ქვა-ნახშირის რაიონებში თანდათანობით ძლიერდება.

ის მემაღაროელები, რომელნიც სამუშაოს დაუბრუნდენ, დღითი-დღე უერთდებიან გაფიცულებს. მემაღაროელები ამტკიცებენ, რომ გაფიცულთა მთლიანი ფრონტი აღდგენილია და ეხლა მუშაობა სწარმოებს მხოლოთ ერთ მაღაროში.

ბოლდუინი და კუკი

ლონდონი, 29 ივლისი. კუკმა წინადადება მისცა ბოლდუინს, რომ ერთათ იმოგზაურონ ქვა-ნახშირის რაიონებში.

ნახევრათ ოფიციაულრ პასუხში ბოლდუინის სახელით, კუკს აღნიშნეს, რომ ასეთ მგზავრობას ჯერ პრეცედენტი არ ჰქონია და ზედმეტიაო.

მემაღაროელების დელეგაცია შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 29 ივლისი. 31 ივლისს შეერთებულ შტატებში მიემგზავრება ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის დელეგაცია. საბჭოთა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს კუკმა განუცხადა: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეერთებულ შტატებში უამრავი ხალხი მზად არის დაეხმაროს ინგლისის სამთამადნო მუშებს, რათა მიღწეულ იქნას გამარჯვება.

თათბირი ეკლესიის წარმომადგენლებთან

ლონდონი, 29 ივლისი. სამთამადნო მუშების ფედერაციის წარმომადგენლებს კიდევ ჰქონდათ თათბირი ეკლესიის წარმომადგენლებთან, მაგრამ თათბირის შინაარსი გამოქვეყნებული არ არის.

დღეს, ა.-წ. 31 ივლისს, საღამოს სრულ 5 საათზე რუსთველის თეატრში

შესდგება

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის

გაფართოებული პლენუმი

საკავშირო ლენინურ კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის, საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცეკას, თბილისის რაიკომების და საუჯრედო ბიუროების წევრებთან ერთად.

დღის წესრიგში სდგას: მამია ორახელაშვილის მოხსენება

საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ.

საკავშირო ლენინურ კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის, საქართველოს ლენინურ კომკავშირის ცეკას და თბილისის კომიტეტის წევრები შედიან მანდატებით.

დანარჩენები ბილეთებს მიიღებენ საორგანიზაციო განყოფილებაში.

კომკავშირის თბ. კომიტ. მდივანი **სალუქვაძე.**

მემაღაროეთა კონფერენცია

ლონდონი, 30 ივლისი. 30 ივლისს ლონდონში გაიხსნა მემაღაროეთა დელეგატების კონფერენცია.

ლონდონი, 30 ივლისი. მემაღაროეთა ფედერაციის თავმჯდომარემ **ჰერბერტ სმიტმა,** დღეს მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციაზე, წინადადება მისცა დელეგატებს წარმოადგინონ ანგარიშები თავის რაიონების მდგომარეობისა და სამუშაოზე დაბრუნებულ მემაღაროეთა რაიონების შესახებ. დელეგატებმა განაცხადეს, რომ სამუშაოზე დაბრუნდა საერთოდ ყველა რაიონებში 6.100 კაცი.

შემდეგ გაიმართა კამათი საერთო მდგომარეობისა და შეთანხმების პირობის მიღების შესახებ, რომელიც შეიმუშავა მემაღაროეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა ეპისკოპოსებისა და „თავისუფალ ეკლესიის“ წარმომადგენლებთან ერთად. კამათმა გაცხარებული ხასიათი მიიღო. აღმასრულებელმა კომიტეტმა წარუდგინა განსახილველათ სადელეგატო კონფერენციას საკითხი არბიტრაჟის შესახებ, რომელიც ეხება მაღაროებში სამუშაო დროის სიდიდეს, მაგრამ მსხვილი რაიონების წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს სამუშაო ხელფასის დაკლების არბიტრაჟის წინააღმდეგ. კრების დახურვისას განაცხადეს, რომ ხმის დიდი უმრავლესობით გადაწყვეტილია გაიგზავნოს მუშათა რაიონებში შეთანხმების წარმოდგენილი **პირობები** კენჭის საყრელად.

როგორიც არ უნდა იქნეს კენჭის ყრის შედეგი რაიონებში, ფაქტია—რომ თავდაპირველი წინადადებაა განაახლონ მუშაობა ოთხი თვის ვადით ძველი სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით და ამ ხნის განმავლობაში გაგრძელდეს მოლაპარაკება. ამ დროს განმავლობაში მთავრობამ უნდა აღმოუჩინოს ფინანსიური დახმარება მაღაროს მეპატრონეებს. მთავრობამ გადაჭრით განაცხადა, რომ არავითარი სუბსიდიები და არც სესხი არ იქნება გაღებული მის მიერ. თუ კი კენჭის ყრის შედეგები დადებითი იქნება—ეს ნიშნავს, რომ მემაღაროელთა ხელმძღვანელების უარყოფითი განცხადებები, რომლებიც მოლაპარაკებას ხელს უშლიდენ, შეიცვლება დადებით წინადადებათ.

მდგომარეობა საფრანგეთში

საფრანგეთი და ამერიკა

ლონდონი, 30 ივლისი. გაზეთ „დეილი მეილის“ ცნობით, პარიზში დიდი აღშფოთება გამოიწვია იმ განცხადებამ, რომელსაც კულიჯს მიაწერენ: სამხედრო ვალების გაუქმებისათვის მოძრაობა ევროპაში შეუძლებლად გახდის, რომ შეერთებულმა შტატებმა რატიფიკაცია მოუხდინოს შეთანხმებას საფრანგეთ-გერმანიის სესხის კონსოლიდაციის შესახებ.

პარიზის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ პრეზიდენტ კულიჯის განცხადება სისწორით არაა გადმოცემული. ფართო საზოგადოებრივი წრეების დამოკიდებულება გამოთქმულია „ტანის“ მოწინავეში, რომელშიაც ნათქვამია:

„თუ პრეზიდენტ კულიჯის სიტყვები სისწორით არის გადმოცემული, მაშინ ეს იქნება დიადი ერის, ჩვენი ტრადიციული მეგობრისა და თანამებრძოლის მხრივ ცდა, რომ აღმოფხვრას ჩვენში საკუთარი ღირსებისადმი ელემენტარული პატივისცემის გრძნობა“.

„ტანი“ დასძენს, რომ საფრანგეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და საჭირო აღარაა რაიმე დასაბუთება მისი გულწრფელობისა. საფრანგეთი თავის სიტყვებზე არას დროს არ ამბობს უარს; რაც შეეხება ზოგიერთი მისი მოქალაქის მოქმედებას, რომელთა შეხედულება არ მოსწონთ ამერიკელებს ან სხვა ვინმეს, საფრანგეთი, როგორც „ტანი“ აცხადებს, არასოდეს არ მიაქცევს ყურადღებას ამგვარ მოთხოვნილებას.

ხორბლეულის მომარაგება

პარიზი, 30 ივლ. მინისტრთა საბჭომ დაადასტურა მიწადმოქმედების სამინისტროს კანონპროექტი, რომელიც აადვილებს მარცვლეულის მომარაგების შესახებ.

გაფიცვა რუბეში

ბერლინი, 30 ივლისი. რუბეში (ჩრდილო საფრანგეთი) 2.450 მელითონე გაიფიცა.

საფრანგეთის ფინანსები

პარიზი, 29 ივლისი. პალატის საფინანსო კომისიაში პუანკარემ განაცხადა, რომ შეთანხმება საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან სესხის მოწესრიგების შესახებ პალატას წარედგინება განსახილველად მხოლოდ მომავალ სესიის დასაწყისში. კომისიამ 20 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 12-ისა დაადგინა, გადავიდეს ფინანსიურ პროექტის განხილვაზე.

პროექტის განხილვის შეჩერებამ, რომელიც გამოწვეული იყო ოპოზიციის ობსტრუქციით, მაშინვე გავლენა მოახდინა ფრანკის კურსზე; დღის დასასრულს გირვ. სტერლინგი 195-დან 203 ფრანკი გახდა.

პუანკარეს მოთხოვნილება

პარიზი, 29 ივლისი. დეპუტატთა პალატის ფინანსიურ კომისიას პუანკარემ მოსთხოვა თავისი პროექტის შეუსწორებლათ მიღება.

ფინანსიურ კომისიამ გადასდო სოციალისტების ფინანსიური პროექტი, რომელთაც უარი სთქვეს კაპიტალის დაბეგვრაზე და ითხოვენ დოუესის გეგმის მიხედვით შემოსულ თანხების გადადებას გარეშე ვალების დასაფარავათ.

კომისიამ მიიღო მთავრობის საფინანსო კანონ-პროექტი.

სასწრაფო წესით

პარიზი, 30 ივლისი. დღეს დეპუტატთა პალატა შეიმუშავებს სასწრაფო დღის წესრიგს, რომელიც მას მისცემს საშუალებას, რომ კამათი ფინანსიური საკითხის შესახებ დაიწყოს შაბათს და დამთავრდეს ღამითვე.

ბრიანი, ვანდერველდე და ფრანკლინი დღეს განიხილავენ ფულის ტრიალის საერთო საკითხებს.

უცხოელები საფრანგეთში

ლონდონი, 30 ივლისი. პუანკარეს მიერ საფინანსო კანონ-პროექტის წარდგენის დროს დეპუტატთა პალატაში, შეტანილი იქნება წინადადება საფრანგეთში შემსვლელ უცხოელებზე გადასახადის დაწესების შესახებ.

პურის ფასი

პარიზი, 30 ივლისი. პურის ფასი შემცირებულია 5 სანტიმეტრით.

საბჭოთა კავშირი და სამხრეთ-აფრიკა

ბერლინი, 30 ივლისი. იოჰანესბურგიდან მიღებულ ცნობით, ამ მოკლე ხანში, იოჰანესბურგის **ბანკირის შლეზიგერის მიერ მოსკოვში წარმოებულ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირსა და სამხრეთ აფრიკას შორის კომერციული ურთიერთობა განახლდება.**

ახალი სალაყბო

ბერლინი, 29 ივლისი. ამ დღეებში გერმანიაში დაარსდა ევროპის ხალხთა ურთი-ერთის ინტერესთა გაგების ხელისშემწყობი კავშირი.

კავშირის მოწოდება აღნიშნავს, რომ ლოკარნოს შემდეგ ევროპის ხალხთა შერიგება დაიწყო და ხაზს უსვამს იმას, რომ გერმანიის ხალხი მზადაა, მომავალშიც ხელი შეუწყოს ევროპის ხალხთა ურთი-ერთს ინტერესთა გაგებას.

მოწოდებას ხელი მოაწერეს მთავრობის ბევრმა წარმომადგენლებმა, მათ რიცხვში კანცლერმა მარქსმა, შტრეზემანმა, თავდაცვის მინისტრმა გესლერმა, ფინანსთა მინისტრმა რეინგოლდმა რეიხსტაგის თავმჯდომარემ ლებემ, ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩმა ბერნსდორფმა, აგრეთვე მრეწველობის, ვაჭრობის, ფინანსების, მეცნიერების, (მათ შორის პროფესორი ეინშტეინიც არის), სასოფლო-მეურნეობის, სამღვდელოების და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლებმა.

პარიზი, 29 ივლისი. პარიზში დაარსდა „ევროპის ხალხთა ურთი-ერთის ინტერესთა გაგების ხელის შემწყობი კავშირი“.

კავშირი დაარსებულია საინიციატივო კომიტეტის მიერ, რომლის თავმჯდომარეა პენლევე. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან საფრანგეთის სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკური მოღვაწეები.

კომიტეტმა დაადგინა, აგვისტოს დასასრულს მოიწვიოს ჟენევაში კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილნი იქნებიან ევროპის ყველა სახელმწიფოები.

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა

გერმანიის პრესა პოლონეთის მზადების შესახებ ლიტვის საზღვარზე

ბერლინი, 29 ივლისი. გერმანიის **გაზეთების უმრავლესობა დიდის ყურადღებით ადევნებს თვალყურს პოლონეთის სამხედრო მზადებებს ლიტვის წინააღმდეგ. გაზეთების ნაწილი სავსებით იზიარებს საბჭოთა კავშირის მოსაზრებებს პილსუდსკის აგრესიულ ზრახვების შესახებ. მემარჯვენე გაზეთები დაწვრილებითი ცნობებს იძლევიან პოლონეთის სამხედრო მზადების შესახებ.**

„ლოკალ ანცეიგერ“ აცხადებს, რომ იმ პოლონურ გაზეთების კონფისკაცია, რომელთაც გამოაქვეყნეს დაწვრილებითი ცნობები სამხედრო მზადების შესახებ, ამ ცნობების სისწორის საუკეთესო დამამტკიცებელია. აშკარა ხდება, რომ **პოლონეთი ემზადება ლიტვაზე თავდასასხმელად, ხოლო შემდეგ ამას უნდა მოელოდენ ბალტიის სხვა სახელმწიფოებიც.**

გერმანიის კომპარტიის ორგანო „ფოლკსფახტი“ (გამოდის ბერლინში გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს „როტე ფანეს“ მაგიერ, რომელიც დროებით აკრძალულია) მოუწოდებს მუშებს ფხიზლად ადევნონ თვალყური ინგლისის ანტი-საბჭოთა გეგმებს და მოითხოვს, რათა გერმანიის მთავრობამ გამოსთქვას თავისი აზრი ამ პროექტების შესახებ.

რაკოშის პროცესი

დამცველთა სიტყვები

ვენა, 29 ივლისი. 29 ივლისს ჰუნგრეთის რევოლიუციონერთა პროცესის მე-30 დღეს, გრძელდებოდა დამცველთა სიტყვების მოსმენა.

ყველა დამცველები აღნიშნავდენ, **რომ მთელი ბრალდება ჯაშუშების მოხსენებებსა და სახელმწიფოებრივი დაცვის კანონის თვითნებურ განმარტებაზე არის დამყარებული. დამცველმა ვოლმანმა აღნიშნა,** რომ პროლეტარულ დიქტატურის პროპაგანდა არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს, ვინაიდან ჰუნგრეთის ფაშისტები სრულიად დაუსჯელად ეწევიან აგიტაციას მემარჯვენეთა დიქტატურის სასარგებლოდ, რომელთა მომხრენი არიან ზოგიერთი მოსამართლენიც კი. ყველა დამცველები მოითხოვდენ ბრალდებულთა გამართლებას.

ბულგარეთ-რუმინეთის უთანხმოება

ვენა, 29 ივლისი. გამოქვეყნებულია რუმინეთის ოფიციალური ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ რუმინეთის მთავრობა არა დამაკმაყოფილებლად სთვლის ბულგარეთის მთავრობის პასუხს დობრუჯაში პარტიზანული რაზმების თავდასხმის შესახებ. რუმინეთის პრესა იუწყება, რომ მთავრობაინერგიულ ნაბიჯებს გადადგამს დობრუჯაში საზღვრების უზრუნველსაყოფად.

ლატვია და ლიტვა

კოვნო, 29 ივლისი. 28 ივლისს კოვნოში ჩამოვიდა ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრი ულმანისი, ლიტვის მთავრობასთან სათათბიროთ იმ საკითხების გარშემო, რომელნიც ამ ორი სახელმწიფოს დამოკიდებულებას შეეხება.

პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს ულმანისმა კატეგორიულათ უარყო პოლონეთის პრესის ცნობები, თითქოს აგვისტოს დასაწყისში რიგაში მოწვეული იყოს ბალტიის სანაპირო ქვეყნების გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენცია.

წყალდიდობა იაპონიაში და კორეაში

ტოკიო, 29 ივლისი. ნინგატის გუბერნიაში ნიაღვრების გამო მრავალი სახლი დაიფარა წყლით. რამდენიმე კაცი დაიხრჩო.

ქალაქ ტოკამში 600 სახლია წყლით დაფარული.

წყალდიდობამ კორეაშიაც დიდი ზარალი გამოიწვია. მდინარის ნაპირებიდან გადმოსულმა წყალმა სამი სოფელი წალეკა. დაიხრჩო 36 კაცი, 170 კაცი დარჩა უბინაოდ.

ერთა ლიგაში

პარიზი, 30 ივლისი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ესპანეთმა რატიფიკაცია მოახდინა ერთა ლიგის საბჭოს ხელშეკრულობის მე-4 მუხლის დამატებისა, რომლის მიხედვით, საბჭოს არა მუდმივ წევრთა არჩევა ორი მესამედი ხმის უმრავლესობით უნდა მოხდეს.

ინკოგნიტო

პარიზი, 30 ივლისი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ბულგარეთის მთავრობამ ინკოგნიტო ინახულა ერთა ლიგის საბჭოს სამდივნო. ნახვის მიზანი გამოურკვეველია.

უკანასკნელი ცნობები

მღელვარება მუკდენში

ხარბინი, 29 ივლისი. იაპონიის ტელეგრაფის სააგენტო ტოხო იუწყება, რომ მუკდენის ფულის კურსის დაცემის გამო მუკდენში დიდი მღელვარებაა, **სამხედრო არსენალის 10.000 მუშას შორის, რომელთაც 1000 პოლიციელი მიემხრო.**

22 ივლისს მუშებმა და პოლიციელებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ხელისუფლებას ჯამაგირის დაუყოვნებლივ მომატების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით იმუქრებიან. გუბერნატორმა წინადადება მისცა, დაიცადონ სანამ ჩჟან-ძო-ლინი დაირიდან მუკდენში ჩამოვა.

ქალთა მოძრაობა

პეკინი, 29 ივლისი. თანახმად გომინდანის აღმასკომის დადგენილებისა ქალთა მოძრაობის შესახებ, კანტონის მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანება სხვადასხვა მთავრობის დაწესებულებათა მიმართ, რომ ამ დაწესებულებებმა ქალები მიიღონ სამსახურში.

ინგლისელ მასწავლებელთა დელეგაცია

ლენინგრადი, 30 ივლისი. ლენინგრადში ჩავიდა ინგლისის განათლების მუშაკთა და ლონდონის პროვინციის სკოლების მასწავლებელთა დელეგაცია.

კვირეული ომის წინააღმდეგ

ბერლინი, 30 ივლისი. ამ დღეებში სრულდება მსოფლიო ომის გამოცხადების 12 წლის თავი. გერმანიის კომპარტიამ დაადგინა 1—8 აგვისტომდე ჩაატაროს ომის საწინააღმდეგო კვირეული. ამ დღეებში იწარმოებს შემოწირულებათა შეგროვება ინგლისის გაფიცულ მემაღაროელების სასარგებლოდ.

გაზეთების დახურვა

ბერლინი, 30 ივლისი. ჰინდენბურგის საწინააღმდეგო ლექსის გამოქვეყნებისათვის ერთი კვირით დახურულ იქნა კიდევ შემდეგი გაზეთები: „ბერგიშე ფოლკსშტიმე“ ზოლინგენში და „არბაიტერ ცაიტუნგ“ აახენში.

ბამბის შესყიდვა ეგვიპტეში

ბერლინი, 30 ივლისი. რიგიდან მიღებული ცნობის თანახმათ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლები, რომლებიც ეხლახან დაბრუნდენ ეგვიპტიდან მოსკოვში, მომხრე არიან ბამბა შეისყიდონ უშუალოთ ეგვიპტეში და არა ლივერპულში, როგორც დღემდე იყო.

ომი გრძელდება

ბერლინი, 30 ივლისი. ტანჟერიდან იტყობინებიან, რომ ისპანიის ჯარი უახლოვდება ტეტუანს, სადაც თავმოყრილი არიან რიფების დარჩენილი ტომები.

ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის სხდომა

ლონდონი, 29 ივლისი. გენერალურ საბჭოს წევრები პიუ, პერსელი, ფინდლეი, ხიქსი და სიტრინი გაემგზავრენ პარიზში ტეხნიკური მიზეზების გამო გადადებულ ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის სხდომაზე დასასწრებლად.

ხელშეკრულების დარღვევისათვის

ლონდონი, 29 ივლისი. ლონდონის სასამართლოში გაირჩა საქმე ბრეტფორდის სამღებრო ფაბრიკების მეპატრონეთა ასოციაციის საპროფკავშირთან 1914 წელში დადებული კოლექტიური ხელშეკრულების დარღვევის გამო. სასამართლომ მიუსაჯა ერთ მათგანს 100 გირვანქა სტერლინგი და ორ დანარჩენს ათ-ათი გირ. სტერ. მეპატრონეთა სასარგებლოდ. გენდერსონმა (ცნობილ ჰენდერსონის შვილია) განაცხადა, რომ ის სავსებით ეთანხმება მწარმოებლების დამცველთა მიერ წამოყენებულ საბუთებს.

პატიმრებს სიმშილით ხოცავენ

ვარშავა, 30 ივლისი. გრაუდენცის საპყრობილის პოლიტიკურმა პატიმრებმა დაამსხვრიეს სატუსაღო კამერების მოწყობილობა. არეულობა გამოწვეულია, მით რომ პატიმრებს არ აძლევდენ საყოფ პურს.

გემის დაზიანება

ვლადივოსტოკი, 30 ივლისი. ვლადივოსტოკიდან საგანგებო რეისით გასულ გემს, სახალინის ნაპირებთან სასტიკმა ქარიშხალმა მოუსწრო. კაპიტანი იძულებული შეიქნა გადაეყარა მთელი ტვირთი. ცარიელი გემი გაემართა ნაპირისაკენ. ზარალი დიდია. გემის დაზიანებისა და ავარიის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ირკვევა.

რუმინეთის პოლიცია მუშაობს

ვენა, 30 ივლისი. პლეშტში (რუმინია) პოლიცია თავს დაესხა მელითონეთა კრებას და კრების ყველა მონაწილენი, 700 კაცი დააპატიმრა 300 კაცი პოლიციაში 3 დღეს გააჩერეს. გამგეობის სამი წევრი გადაგზავნილია ოხრანკაში.

პილსუდსკის „ვაჟკაცები“

ვარშავა, 30 ივლისი. 7 8 აგვისტოს პოლიციაში შესდგება პოლონეთის ყოფილ ლეგიონების წლიური ყრილობა, რომელზედაც გამოვა პილსუდსკი.

ბეტლენის განცხადება

ვენა, 29 ივლისი. უნგრეთის პრემიერმა ბეტლენმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: **უნგრეთი წინააღმდეგი არ არის ამიერიდან რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებაზე.** დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები და განსაკუთრებით ინგლისი, დარწმუნდნენ, იმაში, რომ საბჭოთა კავშირის გარეშე საერთაშორისო ვაჭრობა შეუძლებელია. უნგრეთიც იძულებულია გადასინჯოს თავისი პოზიცია ამ საკითხში.

პოლონეთი უარს აცხადებს

ვარშავა, 29 ივლისი. პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომლითაც კატეგორიულად უარყოფს რუსეთისა და გერმანიის პრესის ცნობებს პოლონეთის სამხედრო განზრახვების შესახებ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სრულ-უფლებიან წარმომადგენლის ჩამოსვლა

მოსკოვი, 30 ივლისი. 29 ივლისს მოსკოვში პრაგიდან ჩამოვიდა ს. ს. რ. კ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩეხო-სლოვაკიაში ანტონოვ-ოვსეენკო.

რუსულ თხზულებათა გამოცემა გერმანულ ენაზე

მოსკოვი, 30 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო გამომცემლობის ხელმძღვანელი ვერნერი. ის მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანულ ენაზე რუსული ავტორების თხზულებათა გამოცემის შესახებ. გერმანულად გამოცემული იქნება წიგნები უმთავრესად ეკონომიურ და სოციალურ საკითხებზე.

საბჭოთა მქერავების დელეგატები

მოსკოვი, 30 ივლისი. ინგლისის მქერავთა მიპატიჟებით, ინგლისში გაემგზავრენ საბჭოთა მქერავები—სოკოლინსკი და სილინი სრულიად ინგლისის მქერავთა ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებათ. ყრილობა ლიდსში უნდა გაიხსნას 1-ლ აგვისტოს; ამ ყრილობაზე გარჩეული იქნება მქერავთა პროფკავშირების ინტერნაციონალის საკითხი.

გერმანიის პროლეტარულ თავისუფალ მოაზროვნეთა დელეგაცია

მოსკოვი, 30 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა „გერმანიის პროლეტარულ თავისუფალ მოაზროვნეთა ასოციაციის“ მდივანი კელიცი.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს კელიცმა განაცხადა, რომ ის ჩამოვიდა ანტირელიგიურ ორგანიზაციების მუშაობის გასაცნობათ და მათთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ.

კელიცმა სთქვა, რომ „პროლეტარულ თავისუფალ მოაზროვნეთა ასოციაციაში“ ითვლება 120.000-ზე მეტი წევრი: ის მიზნად ისახავს, მარქსისტული გაშუქების გზით ანტირელიგიური პროპაგანდა აწარმოოს.

ასოციაციის წევრები იდევნებიან სახელმწიფოს მიერ. მაგალითად, მასწავლებელს: რომელიც ორგანიზაციაში მუშაობს სამსახურიდან ითხოვენ. გერმანიის სამხედრო სამინისტრომ ეხლახან გამოსცა ბრძანება, რომელიც ჯარისკაცებს უკრძალავს ასოციაციაში ყოფნას.

ამერიკის სტუდენტთა დელეგაცია თბილისში

კოჯორის დათვალიერება

გუშინ დღის 12 საათზე ამერიკის სტუდენტთა დელეგაცია ადგილობრივი ამხანაგების თანხლებით გაემგზავრა კოჯორში საბავშვო კოლონიის დასათვალიერებლად.

პირველად დელეგაცია ესტუმრა უმცროს ბავშთა კოლონიას. დელეგატების მისვლისას სკოლის წინ თავი მოეყარა აუარებელ ბავშვებს, რომლებიც ყვავილებით და სიმღერით შეხვდენ ამერიკელ სტუმრებს.

დელეგატებმა დაათვალიერეს სკოლა და ბავშვების ნამუშევარი. სტუმრები გაეცნენ აგრეთვე სწავლების მეთოდს და ბავშთა თვითმმართველობას.

სკოლიდან გამოსვლისას ეზოში თავი მოიყარეს მრავალმა ბავშვებმა, რომლებმაც დელეგატების თხოვნის თანახმად გამართეს სიმღერა და ცეკვა.

ბავშვების სალმა გამომეტყველებამ და მათმა მხიარულმა თამაშმა დელეგატებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

შემდეგ დელეგატები გაემგზავრენ უფროს ბავშთა კოლონიაში. აქაც დაათვალიერეს სკოლა და ბავშვების ნამუშევარი, რითაც მეტად კმაყოფილი დარჩენ.

დელეგატებმა კოჯორში გაატარეს ორ საათზე მეტი.

წამოსვლისას დელეგატების ავტომობილებს სიმღერა-თამაშით გარს შემოეხვივენ ბავშვები, რომლებმაც სთხოვეს სტუმრებს გადაეცათ ამერიკის ბავშვებისათვის საქართველოს ბავშვების სალამი.

ბოტანიკურ ბაღში

თბილისში დაბრუნებისას დელეგაცია გაიყო ორ ჯგუფად: ერთი წავიდა ბოტანიკური ბაღის დასათვალიერებლად, მეორე კი დარჩა ქალაქში მთავარი ქუჩების და ღირსშესანიშნავ ადგილების გასაცნობათ.

ორივე ჯგუფს ახსნა-განმარტებას აძლევდენ ადგილობრივი ამხანაგები.

საუბარი დელეგაციის წევრ-სტეიბლერთან

კოჯორიდან დაბრუნებისას ჩვენმა თანამშრომელმა მიმართა დელეგაციის წევრ—სტეიბლერს, მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტს, თხოვნით გაეზიარებია მისთვის კოჯორის დათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილებები.

— საბავშვო კოლონიამ,—განაცხადა სტეიბლერმა,—ჩვენზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მთავარი, რამაც აქ ჩვენი ყურადღება მიიპყრო—ეს არის კოლექტივიზმი, რომელიც ჩაქსოვილია ბავშვების ყოველ მოქმედებაში.

კოლექტივიზმი ჩვენთვის უცნობია. მართალია, ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ კოლექტივიზმზე, მაგრამ მისი პრაქტიკულად გატარება არ ხერხდება.

თქვენი საბავშვო სახლები და კოლონიები საუკეთესო სკოლაა კოლექტიური ფსიქოლოგიის და ნებისყოფის გამოსამუშავებლად. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ თქვენ დიდი შედეგებისათვის მიგიღწევიათ.

კოჯორში ჩვენ ვნახეთ პიონერთა ჯგუფი, რომელმაც ჩვენზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ბავშთა აღზრდის საქმეში სამაგალითო გახდება სხვა ქვეყნებისათვის. ექსპერიმენტები, რომელსაც თქვენ ახდენთ ახალი მოქალაქეების მოსამზადებლად, დაანახვებს ყველას, რომ თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები საუკეთესო საშუალებაა ბავშვების აღსაზრდელად.

ბავშთა სახლები და ბაღები ჩვენ დავათვალიერეთ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც და უნდა აღვნიშნოთ,რომ ბავშთა აღზრდის საქმე ყველგან სამაგალითოდაა დაყენებული.

დასასრულ სტეიბლერმა მწუხარება გამოსთქვა, რომ უდროობის გამო მათ საშუალება არ აქვთ დაათვალიერონ საქართველოს სხვა კულტურული დაწესებულებები.

დელეგაციის გამგზავრება

გუშინ, ღამის 12 საათზე ამერიკელ სტუდენტთა დელეგაცია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ბათომში, საიდანაც პირველივე გემით გაემგზავრება სევასტოპოლში.

სხვადასხვა

ეროვნული პოლიტიკისათვის. მექსიკიდან მიღებული ცნობით, შრომის კონფერენციამ გადასწყვიტა, მოაწყოს კამპანია მთავრობის ეროვნულ პოლიტიკის სასარგებლოდ.

იბნ-საუდის მოკვლის განზრახვა. პიკაში აღმოაჩინეს იბნ-საუდის მოკვლის განზრახვის გეგმა. როგორც ბასრიდან იუწყებიან, ამ გეგმის ორგანიზატორი ნათესავია იმ პირების, რომლებიც იბნ-საუდმა დაიჭირა და სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

გადასახადი უცხოელებზე ბელგიაში. ბელგიის მთავრობამ დაადგინა, წარუდგინოს მეფეს უცხოელებზე ახალი გადასახადის დაწესების პროექტი. გადასახადი გადიდებულ იქნება 10—20%-ით. ის უცხოელები, რომლებსაც ავტომობილები აქვთ, ყოველდღიურად გადაიხდიან 10 ფრანკს.

ეპისკოპოსის მოგზაურობა. ლონდონის ეპისკოპოსი ვინინგტონ ინგრამი დღეს გაემგზავრა ლონდონიდან დედა-მიწის ირგვლივ შემოსავლელად. ის ინახულებს შეერთებულ შტატებს, კანადას, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, იაპონიას, მალაის სახელმწიფოებსა და ჩინეთს. შეერთებულ შტატებში სადაც მას ოფიციალურად მთელი ამერიკის სამღვდელოება მიესალმება, ის სიტყვით მიმართავს სტუდენტობას. კანადაში, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში იგი ილაპარაკებს საიმპერიო მმართველობის შესახებ.

პოლონეთში. ვარშავიდან მიღებული ცნობით, ეროვნულმა ეკონომიურმა ბანკმა, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის, გადასწყვიტა, რომ ბანკში შეტანილი ფული დოლარებით მიიღოს.

მოსავალი ჩეხო-სლოვაკიაში. მოსავლის პერსპექტივა ჩეხო-სლოვაკიაში ცუდია. მოსავლის წინასწარი შეფასება, წვიმიანი ამინდების გამო, უნდა შემცირდეს ხორბლეულისათვის—15%-ით და ქერისათვის კი 30%-ით.

ფაშიზმის წინააღმდეგ. სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც სლოვაკიისათვის მოითხოვს თვით-გამორკვევის უფლებას და მოუწოდებს ბრძოლისაკენ ფაშიზმის წინააღმდეგ.

მექსიკაში. მექსიკიდან მიღებული ცნობით, მექსიკელი კათოლიკების მიერ დაწყებული ბოიკოტი საგრძნობი ხდება. ვაჭრობა მექსიკაში 50%-ით დაეცა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

„კონკორდიას“ საქმე

ბაქო, 30 ივლისი. სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე დაკითხეს მთავარი სამმართველოს მოლარე ფრიდრიხ ფრიკე. მან უჩვენა, რომ მთავარი გამგეობის მინდობილობით მოსკოვისა და თბილისის რწმუნებულები დამოუკიდებლად აგზავნიდენ საზღვარგარეთ ვალიუტას საკონსულოს შიკრიკის საშუალებით. მეორე მოწმე ერნესტი სად. განჯის კოოპერატივის ექსპედიტორი აცხადებს, რომ ის გამგეობის ნებადაურთველად რკინისგზელებს ქრთამს აძლევდა.

პროკურორის, შუამდგომლობით მოწმე ერნესტი პასუხისგებაში მისცეს.

30 ივლისის საღამოს სხდომაზე პროკურორმა ილაპარაკა სამი საათი. მან დაახასიათა საერთოდ „კონკორდია“ და შეეხო მის დაარსების ისტორიას. მან სთქვა „კონკორდია“ კოოპერატივის სახელით წარმოადგენდა ფორრერისა და გუმელის ფირმასო.

ფორრერი და გუმელი კონკორდიის სახელით—რამოდენიმე ათასი მანეთის კერძო ქონებას ატრიალებდენ. კოოპერატივი „კონკორდია“ გახდა გლეხების მყვლეფელი ორგანიზაცია. **1921 წელში საბჭოთა ხელისუფლების დროს მესაკუთრენი თავისი ინვენტარისათვის იღებდენ ოქროს და ეზიდებოდენ საზღვარგარეთ. შემდეგ პროკურორი აღნიშნავს მესაკუთრეთა ძალადობას არა მარტო „კონკორდიის“ საქმეში, არამედ ნემეცთა კოლონიის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. „კონკორდია“-ს კავშირი ჰქონდა საკონსულოსთან და სარგებლობდა ოქროს გადასაზიდათ დიპლომატიური ფოსტით, კავშირი ჰქონდა გერმანელ უმცირესობის ცენტრალურ საბჭოსთან საქართველოში და მათი ინსტრუქციების თანახმად ახდენდა სოფლის საბჭოებში თავის კანდიდატების გაყვანას. ყველაფერი ეს იყო ბეკების, გუმელებისა და ფორრერის საქმე. პროკურორი ეყრდნობა სასამართლოს გამოძიებას და ბრალდებას დამტკიცებულად თვლის. გადაგზავნილი აღმოჩნდა 108.000 მანეთი, თუმცა ამაზე მეტი იყო გადაგზავნილი. მაგრამ ეს დამტკიცებული არ არის. დიპლომატიური ფოსტით გაგზავნის მეთაურობას ასრულებდა გიორგი ბეკი.**

დასასრულ პროკურორი მოითხოვს: ვინაიდან წაყენებული ბრალდება გოტლიბ გუმელისა, გიორგი ბეკისა, კუნისა და ერნესტ გუმელის წინააღმდეგ დამტკიცებულია—პირველ ორს მიესაჯოს დახვრეტა, ერნესტ გუმელს 8 წლის ციხე და კუნს 2 წლით. დანარჩენ ბრალდებულთა დანაშაულობაც დამტკიცებულია; ამიტომ პროკურორი მოითხოვს ვილგელმ ბეკისათვის—ორი წლით თავისუფლების აღკვეთას, ფაკენგუბისათვის—2 წლით, იურჩენკოსათვის—1 წლით, ბეირგს და ვაშემირსკისათვის—5 წლით, სამოხიისთვის—4 წ. ოფიციალური დოკუმენტების მოსპობისათვის რეიდენბახს—3 წლით, ცეიზერუს და იონგემანს 5 წლით დატუსაღება; მამედ ბეკს, ყოფილ საგადასახადო ინსპექტორს, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კინო-ფილმა „26“

ბაქო, 30 ივლისი. კინო-ფილმის „26“-ის გადასაღებად ბაქოს საბჭომ აზერბეიჯანის სახელმწიფო კინო-მრეწველობას მისცა 25.000 მანეთი.

წყლის ამომღების აშენება

ბაქო, 30 ივლისი. დამთავრდა ბაქოს წყალსადენის ახალი დიდი აუზის აგება, რომლის მოსათავებლად ბაქოს საბჭომ დამატებითათ გაიღო 552.000 მანეთი.

ქუჩის მოკირწვლა

ბაქო, 30 ივლისი. ბაქოს საბჭოს კეთილმოწყობის განყოფილებას ახალ საოპერაციო წლისთვის გადაწყვეტილი აქვს ქუჩებზე ქვაფენილის დაგება 12.900 კვადრ. საჟენის რაოდენობით და ასფალტის 13.200 საჟენის რაოდენობით.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებული პლენუმის რეზოლიუციები

საბინაო აღმშენებლობის შესახებ

საბინაო საკითხი მუშათა ყოფა-ცხოვრებაში ხდება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად, რომლის დადებითად გადაჭრის გარეშე შეუძლებელია მუშების მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. გარდა ამისა გაძლიერებული საბინაო კრიზისი აფერხებს მრეწველობის შემდგომ გაფართოებას და მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს მუშა ძალის წარმოებაში ჩაბმის საქმეში. ის უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. თუმცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ღონისძიებები საბინაო აღმშენებლობის საქმეში (ქალაქის მიწების ნაციონალიზაცია; მუშებისათვის მნიშვნელოვან საბინაო ფონდის გადაცემა წარმოებათა უმაღლეს მოსამსახურეების ბინების და ქალაქის ბურჟუაზიულ ბინების ხარჯზე; სახელმწიფოს, სამეურნეო ორგანოების და აღმასკომების მიერ უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში 850 მილ. მანეთის გადადება მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის, შეღავათები, რომელიც მიეცა მუშების საბინაო აღმშენებლობას საკავშირო ცაკის დეკრეტით 1924 წლ. 16 მაისიდან და სხვ.) მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ არ შეუძლიათ საბინაო კრიზისის შენელება და შეჩერება.

მუშათა ბინების საქმის კატასტროფიულ მდგომარეობის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ წარსულში ფაბრიკანტი და მექარხნე გულგრილათ უყურებდა მუშების მინიმალურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ბინების საკითხში (წარმოებებთან მუშებისთვის აშენებდენ უმთავრესად ყაზარმის ტიპის შენობებს, რომლებშიაც სივიწროვე, წარმოების თანდათანობით განვითარების გამო აუტანელი შეიქნა) და აგრეთვე ის, რომ იმპერიალისტური ომის დაწყების პირველ დღიდანვე სრულებით შეწყდა მუშების ბინების აღმშენებლობა, მაშინ როცა მუშების რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

საბინაო კრიზისის შემდგომი გაძლიერების მიზეზებია: ბინების ნგრევის პროგრესიული ზრდა დაბალ საბინაო ქირის მეოხებით; საბინაო აღმშენებლობის საქმის მოუწესრიგებლობა და საბინაო აღმშენებლობის ფონდის დასაარსებლათ მუდმივი წყაროების უქონლობა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს მთელი რიგი მეორე ხარისხოვან ნაკლულოვანებათა, რომელნიც აფერხებდენ საბინაო აღმშენებლობის განვითარებას. ასეთ ნაკლულოვანებათა რიცხვს ეკუთვნის: სააღმშენებლო მასალების დამზადების საქმის მოუწესრიგებლობა, სწორად მომუშავე სააღმშენებლო ორგანიზაციების უქონლობა, მუშათა ბინების იაფ და რაციონალურ ტიპის უქონლობა, სააღმშენებლო საშუალებათა არა საკმაოდ გეგმიანი განწილება უმნიშვნელოვანეს სამრეწველო რაიონებისა და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით.

აძლევს რა პირველ ხარისხოვან მნიშვნელობას მუშათა ბინების აღმშენებლობის საქმეს, რომლის განხორციელებისათვის საჭიროა მთელი რიგი წლებისა, ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი საბინაო აღმშენებლობის საქმეში მეტი გეგმიანობის და სიმტკიცის შესატანად და აგრეთვე წარსულის ნაკლულოვანებათა თავიდან ასაცილებლათ აუცილებლად სთვლის:

1. მუშათა საბინაო აღმშენებლობის მუდმივი ფონდის შექმნას. ფონდი უნდა შესდგებოდეს:

ა) საბიუჯეტო ასიგნობებიდან.

ბ) წარმოებების მოგებათა ანარიცხებიდან (მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი).

გ) სახელმწიფო დაზღვევის წმინდა მოგების ანარიცხებიდან, და

დ) საამორტიზაციო თანხების პროცენტის ანარიცხებიდან და

ე) საბინაო კრედიტის უკან დაბრუნებულ თანხების ანარიცხებიდან.

2. მტკიცე საბინაო ფონდის შექმნასთან ერთად და საბინაო აღმშენებლობის შემდგომი მოწესრიგების მიზნით აუცილებლად ჩაითვალოს, რათა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ სახელმწიფო მრეწველობის განვითარების 5 წლიან გეგმის შედგენის დროს მხედველობაში მიიღოს აგრეთვე მუშათა საბინაო აღმშენებლობის საპერსპექტივო გეგმა ამავე პერიოდის განმავლობაში, ისე, რომ საბინაო აღმშენებლობა შეფარდებულ იქნეს უმსხვილეს სამრეწველო ცენტრებში და რაიონებში მრეწველობის აღდგენის გეგმასთან და რომ საბინაო სივრცე ამ რაიონებში უფრო თანაბრად იქნეს განაწილებული.

საბინაო აღმშენებლობის საპერსპექტივო გეგმის შედგენის დროს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის უფროს შემადგენლობის მოთხოვნილება ბინებზე.

3. საბინაო აღმშენებლობის გეგმის შედგენის დროს უნდა წარმოებულ იქნეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავსძლიოთ წარსული და მიმდინარე სააღმშენებლო სეზონის ნაკლულოვანებანი, რისთვისაც აუცილებელია:

ა) აღებულ იქნეს ხაზი მუშათა ბინების უფრო დიდი საზომით აღმშენებლობისათვის.

ბ) აღმშენებლობის გასაიაფებლად და სახელმწიფო სააღმშენებლო კანტორების მუშობის მოსაწესრიგებლათ მიღებულ იქნეს ზომები სააღმშენებლო მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის და სააღმშენებლო მასალების ბაზრის მოსაწესრიგებლათ.

გ) საბინაო აღმშენებლობის კრედიტის გასაიაფებლად კრედიტის ვადის გადიდების და საბინაო კრედიტის პროცენტის შემცირების გზით, და

დ) საბინაო კრედიტის სახელშეკრულებო პრაქტიკის გამარტივებისა და დეცენტრალიზაციისათვის და საბინაო აღმშენებლობაზე მიღებულ კრედიტების დროულად და გეგმიანად განაწილებისათვის.

4. მუშათა ბინების აღმშენებლობის საქმეში უფრო მეტი ერთფეროვანობის დაცვის მიზნით დაევალოს ხელშემწყობ კომიტეტს, აღმშენებლობის მომწესრიგებელ სხვა ორგანიზაციებთან ერთად, მიიღოს ყოველივე ზომები ისეთი ბინების ტიპის შესამუშავებლათ ,რომელიც რაც შეიძლება იაფი დაჯდება და შეფარდებული იქნება მუშების მოთხოვნილებებთან. ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი თავისებურებანი და ადგილობრივ სააღმშენებლო მასალების გამოყენების შესაძლებლობა.

5. საჭიროდ ჩაითვალოს პროფკავშირების მხრივ მეთვალყურეობის გაძლიერება შენობათა ტიპის თვისების და მუშათა ბინების მუშათა ყოფა-ცხოვრებასთან შეფარდებით საქმისადმი.

6. რადგან საბინაო აღმშენებლობა, უმთავრესად, მიდის სამეურნეო ორგანოების და აღმასკომების ხაზით, საჭიროა, რომ აღმშენებლობის გეგმის შედგენის დროს ეს ორგანოები მომავალშიაც ჩაითვალონ მუშათა ბინების მთავარ მშენებლებათ. დედა-ქალაქებში და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში სამეურნეო ორგანოების და აღმასკომების ხაზით წარმოებული აღმშენებლობა შეთანხმებულათ უნდა მიმდინარეობდეს.

7. საბინაო აღმშენებლობის საქმის ინტენსიურ განვითარებისათვის და აგრეთვე ამ საქმეში თვით მშენებელთა საშუალებების ჩაბმის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს საბინაო-კოოპერატიულ აღმშენებლობის გაძლიერება და სავსებით მიზანშეწონილად და დროულად იქნეს ცნობილი კერძო მშენებელთა წახალისება ბინების აღმშენებლობაში.

8. ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი სთვლის, რომ ის სამუშაო ხელფასი, რომელიც არსებობს ამჟამად, ხშირად სახლების მიმდინარე რემონტის გარანტიასაც კი ვერ იძლევა, რის გამო ირღვევა არსებული საბინაო ფონდი და კიდევ უფრო მწვავდება საბინაო კრიზისი. ამიტომ საბინაო ხელფასის პოლიტიკა უნდა მიმართულ იქნეს იმგვარათ, რომ ბინების ქირა უზრუნველყოფდეს როგორც სახლის ექსპლოატაციას და რემონტს, ისე მის აღდგენასაც. მაგრამ, ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების აუცილებელი პირობა უნდა იქნეს საბინაო ქირის გადიდების ტემპის შეთანხმება მუშების და მოსამსახურეების რეალურ სამუშაო ხელფასის საერთო ზრდის ტემპთან.

პურის დამზადების კამპანიის შესახებ

I

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან არსებული ექსპერტთა საბჭო პურეულის საერთო მოსავალს წინასწარი ვარაუდით 15 ივნისისათვის განსაზღვრავს 4 მილიარდი 700 მილიონით, წინააღმდეგ წარსული წლის 4 მილიარდი 300 მილიონისა, ე. ი. 400 მილ. მეტით წარსულ წელთან შედარებით.

პურის მოსავლის მომატებამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს გასასყიდი პურის მასის რაოდენობის გადიდება. მაგრამ აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში იმას, რომ გლეხობის მოსახლეობის ზრდა, პურის მოხმარების ზრდა გლეხის მეურნეობაში და ის გარემოება, რომ სახელმწიფო მრეწველობას არ შეუძლია მოსავლის ზრდას დაუპირდაპიროს სამრეწველო პროდუქციის საქონლის მასის სათანადო რაოდენობა და ამით დააკმაყოფილოს გლეხობის სხვა მოთხოვნილებანი, გამოიწვევს იმას, რომ გასავლის მომატების მნიშვნელოვან ნაწილს გლეხობა მოანდომებს პურის საკუთარ მოხმარების და პურის მარაგის ზრდას (ცენტ. სტატ. სამმართველოს პურის წინასწარი ბალანსისა და იმ წინასწარი ცნობებით, რომელსაც შეიცავს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, ამხ. ოსინსკის მოხსენება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გლეხობის მეურნეობაში პურის მოხმარებისა და პურის მარაგის გადიდებისათვის საჭირო იქნება 300 მილიონი ფუთი).

ვითვალისწინებთ რა მოსავლის ასეთ აღრიცხვას, უნდა ვიფიქროთ, რომ პურის მასა, რომელიც შეიძლება გლეხის მიერ გარეშე ბაზარზე იქმნას გატანილი და რომელიც უნდა მოიხსნას ბაზრიდან იმისათვის, რომ არ გამოვიწვიოთ ნათესების შემცირება მომავალში, დაახლოებით 900 მილიონიდან 1 მილიარდ ფუთამდე მიაღწევს.

მაგრამ ეს ცნობები ჯერ-ჯერობით მხოლოდ წინასწარი ვარაუდით გათვალისწინებული ცნობებია და მათი საფუძვლის მიხედვით პურის დამზადების წლიური მტკიცე გეგმის შედგენა შეუძლებელია ამჟამად. მხოლოდ შეიძლება იმის გათვალისწინება, რომ პურის საერთო მასამ, რომელიც შეუძლიათ მოხსნან ბაზრიდან და რომელიც უნდა მოხსნან გეგმის მიხედვით დამმზადებლებმა (თუ ამაშივე შევა სახელმწ. ბანკის მიერ წისქვილის ტრესტებისაგან, კერძო პირებისაგან, კოოპერაციისაგან და სხ. ნაყიდი პური) შეიძლება მიაღწიოს 700 მილ. ფუთამდე (მარცვლეულის კულტურა და ზეთის მარცვალი) წინააღმდეგ წარსული წლის 585 ფუთისა.

ამასთან ერთად ეს ნიშნავს, იმას, რომ ზემოთხსენებულ გლეხობის მარაგის გადიდების გარდა რჩება ძალიან ბევრი პური, დაახლოებით 300 მილიონი ფუთი (წინააღმდეგ წარსული წლის 225—250 მილიონი ფუთისა), რაიც აუცილებლად გამოიწვევს პურის არაწარმოებით მოხმარების ზრდას („სამოგონი“—პურის არაყი), ისე პურის კერძოდ გაყიდვის გაცხოველებას.

II

პურის დამზადების კამპანიის გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია ანგარიში გაუწიოთ იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას მოახდენენ პურის მოსავლის გასაღების (რეალიზაციის) მსვლელობაზე.

იმ ფაქტორების რიცხვს, რომლებიც ხელს შეუწყობენ პურის ბირჟაზე გატანას, თვით კარგი განმეორებით მოსავლის ფაქტის გარდა უნდა მივაკუთვნოთ:

ა) გლეხობის მიერ საკუთარ მეურნეობის შიგნი პურის მნიშვნელოვანი მარაგის დაგროვება 1925—26 წელში (პურის ბალანსის ზემოთხსენებული ცნობებით, გლეხობამ და წვრილმა ვაჭრებმა თავის პურის მარაგი ამ წელში გაადიდეს 135 მილიონ ფუთიდან 400 მილიონ ფუთამდე);

ბ) გადასახადების ერთგვარი ზრდა წარსულ წელთან შედარებით;

გ) საერთო საქონლის მასის ზრდა;

იმ ფაქტორთა რიცხვს კი, რომლებიც ხელს შეუშლიან კამპანიის მსვლელობას, ეკუთვნიან:

ა) დისპროპორცია სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობას შორის, რომელიც არ მოგვცემს საშუალებას, რომ მიმდინარე წელში გლეხის მეურნეობის პროდუქციას დაუპირდაპიროთ სამრეწველო საქონლის სათანადო რაოდენობა;

ბ) პირველ რიგში გლეხობის შეძლებული ნაწილის მისწრაფება თავისი პროდუქციის ბაზარზე გატანის შეჩერებისაკენ, რომელიც ეყრდნობა ამ ჯგუფის გლეხობაში დაგროვილი ფულის რაოდენობისა და შემოსავლის ზრდას;

გ) პურის რეზერვის უქონლობა, რომელიც საშუალებას მისცემდა სახელმწიფოს, რომ იგი თავისუფლად გაეტანა ბაზარზე საჭიროების დროს.

ამ ხელსაყრელ და არახელსაყრელ ფაქტორების ზეგავლენა, რომლებიც გვაიძულებენ მაქსიმუმამდე გავადიდოთ ექსპორტი კამპანიის პირველსავე პერიოდში, გვითვალისწინებს ისეთ შესაძლებლობას, რომ პურის დამზადების კამპანიის მსვლელობაში სახელმწიფო შეხვდება ისეთ ფაქტორებს, რომლებიც აძნელებენ და ართულებენ ამ მუშაობას (პურის რეალიზაციის შეჩერება გლეხობის მიერ, პურის ფასების სახელმწიფოსა ქალაქისათვის არახელსაყრელ, შედარებით მაღალ დონეზე დატოვების ცდა და სხ.).

მეორეს მხრით, აუცილებელია მიღებულ იქმნას მხედველობაში ცალკე რაიონებისათვის კარგი მოსავლისა და განსაზღვრული მომენტებში პურის ფასების ისეთი დაცემის შესაძლებლობაც, რომელიც ეკონომიურად და პოლიტიკურად არახელსაყრელი იქნებოდა როგორც გლეხობისათვის, ისე სახელმწიფოსათვის და ჩვენ იძულებულ გვყოფდა, რომ გვებრძოლა ასეთი მოვლენების წინააღმდეგ.

ამ დაბრკოლებათა გადალახვას პირველ რიგში განსაზღვრავს საერთო ეკონომიური პირობები, რომელშიაც გაიშლება პურის დამზადების კამპანია, ასე მაგ., სამრეწველო საქონლის რაოდენობითა და ბაზარზე გამოტანის ტემპით, ფულის სისტემის სიმტკიცით, სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების დაკლების ტემპით.

III

ძირითადი ამოცანა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე სდგას პურის დამზადების კამპანიაში, მდგომარეობს იმაში, რომ გლეხობისათვის უზრუნველყოფილ იქმნეს ზედმეტი პურის გასაღების შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომელიც ძირს არ უთხრის გლეხობის ინტერესებს მისი მეურნეობის, ნათესის და სხ. შემდგომი გაფართოების საქმეში, და იმავე დროს უზრუნველყოფს მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებას ინდუსტრიალიზაციის გზაზე, ხელს შეუწყობს ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტებში ქონების დაგროვებას და გამოიწვევს ექსპორტის მომგებიანობას, როგორც აუცილებელ საფუძველს ჩვენი მეურნეობის,—კერძოდ გლეხის მეურნეობის მოწყობილობის და ნედლეულის იმპორტისა.

ეს მოითხოვს ბრძოლას როგორც პურის ფასების გადაჭარბებულად დაცემის, ისე ამ ფასების განსაზღვრულ დონის ზევით აწევის წინააღმდეგ.

ამ ამოცანის წარმატებითი გადაწყვეტა მოითხოვს, რომ საბჭოთა სახელმწიფომ არა მარტო დაიცვას, არამედ შეძლებისდაგვარად გააფართოვოს თავისი პოზიციები პურის ბაზარზე შეუკავშირებელ კერძო დამმზადებლისა და შუამავლის ხარჯზე.

კერძოდ აუცილებელია, რომ დამმზადებელმა ორგანოებმა ბაზარზე უზრუნველჰყონ თავისთვის ყოველ შემთხვევაში მთელი საქონლის პურის დამზადების 70 პროც., განსაკუთრებით ხორბლისა და ჭვავისა.

აუცილებელია, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებმა და კოოპერაციამ შინაური ბაზრის მომარაგების საქმეში შერჩეს უკიდურეს შემთხვევაში ისეთივე როლი, რომელიც მათ ჰქონდათ წარსულ წელში, ე. ი. შერჩეთ შინაური ბაზრის მომარაგება 60 პროცენტის რაოდენობით და ეცადონ თავის როლის გაფართოებას ამ ფარგლის გარეშეც.

IV

ზემოთ აღნიშნულ გარემოებებთან და დასახულ საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანებთან დაკავშირებით საჭიროა მიღებულ იქნეს მთელი რიგი ღონისძიებათა.

ფასების სფეროში

1. საჭიროა მიღწეულ იქნეს ფასების ისეთი დონე, რომელიც

ა) ხელს შეუწყობს საგლეხო სასოფლო მეურნეობის განვითარებას, ზიანს არ მიაყენებს რეალურ სამუშაო ხელფასს და უზრუნველყოფს წარმოებების მომგებიანობას;

ბ) უზრუნველყოფს ჩერვონეცის სიმტკიცეს;

გ) მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ქალაქის და სოფლის ბალანსის შეთანაწორებას, რაც აუცილებელია მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

2. უნდა მიღწეულ იქნეს ნორმალური შეფარდება შემოდგომის და გაზაფხულის ფასებს შორის და აგრეთვე რაიონების ფასების ნორმალური შეფარდება. საჭიროა მიღწეულ იქნეს აგრეთვე პურის და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასების სწორი შეფარდება.

3. ფასების სასურველ პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად, ეკონომიურ და საკრედიტო-ფინანსიურ ხასიათის ღონისძიებათა გარდა, გატარებულ უნდა იქნეს აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიულ პურის დამმზადებელ ორგანოების ბაზარზე შეთანხმებული გამოსვლის მეთოდი.

დამზადების ორგანიზაციის სფეროში

1. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დამამზადებელ აპარატის სისწორით აგებას, რასაც საფუძვლად უნდა დაედვას ცეკას 6 აპრილის პლენუმის დადგენილება პურის დამამზადებელ აპარატის რეორგანიზაციის შესახებ. საჭიროა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობის შეთანხმება.

2. უნდა მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები მაღალ ზედნადებ ხარჯების შესამცირებლად. წარსულმა კამპანიამ დაგვანახვა, რომ პურით ვაჭრობაში ზედნადები ხარჯები მეტად მაღალია, რაც აიხსნება აპარატის არა რაციონალური აგებით. არა საწარმოო ხარჯების არსებობით და აგრეთვე გადაზიდვის სიძვირით. ამიტომ, მომავალ კამპანიის დროს აუცილებლად საჭიროა დამმზადებლებისაგან დამოკიდებულ ზედნადები ხარჯების შემცირება 15 პროცენტით მაინც აპარატის რაციონალიზაციის, მუშაობის მეთოდების გაუმჯობესების, ყოველივე არა საწარმოო ხარჯების შემცირების საშუალებით და სხვ. ამასთანავე მიღებულ უნდა იქნეს ზომები იმ ხარჯების შესამცირებლად, რომელნიც არ არიან დამოკიდებულნი პურის დამმზადებლებისაგან.

3. ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყოთ კოოპერაციის როლის და გავლენის ზრდას პურის დამზადების საქმეში. კოოპერატიულ გაერთიანებებს უნდა დაევალოთ თვალყური ადევნონ, რომ ოპერაციები შეფარდებულ იქნენ მთავრობის დირექტივებთან, კერძოდ, ფასების პოლიტიკის სფეროში.

მომარაგების სფეროში

რადგან პურის დამზადების კამპანიის გეგმიანი მსვლელობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს პურის საკმაო რაოდენობით და გეგმაშეწონილად მიწოდება უმნიშვნელოვანეს რაიონებისათვის, საჭიროდ ჩაითვალოს:

1. ძირითად მომხმარებელ რაიონებისათვის პურის მიწოდების უზრუნველყოფა დამმზადებლებთან გენერალური ხელშეკრულების დადების გზით.

2. კამპანიის პირველ ნახევარში სამანევრო მარაგის შექმნა ძირითად სამომხმარებლო რაიონებში.

3. ფრთხილი პოლიტიკის წარმოება პურის უცხოეთის ბაზარზე გატანის საკითხში. აქ საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნეს შინაური ბაზრის მდგომარეობა და პურის დამზადების კამპანიის მსვლელობა.

4. გარდა იმ ზეგავლენისა, რომელსაც გეგმის გარეშე წარმოებულ დამზადებაზე ახდენს გეგმიან დამზადებათა პოლიტიკა, საჭიროა ენერგიული ზომები, რათა გეგმის გარეშე წარმოებული დამზადება ნაწილობრივ მოვაქციოთ სახელმწიფოს პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ, პირველ რიგში სახელმწიფო ბანკის იმ პოლიტიკის გზით, რომელიც გათვალისწინებულია ცეკას დადგენილებაში ა.-წ. 6 აპრილის თარიღით.

საქონლის მიწოდების დარგში

პლენუმი ავალებს პოლიტბიუროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამრეწველო საქონლის მოქნილ და სწრაფ მიწოდების მოწყობას, რაც მთავარ პირობას წარმოადგენს პურის დამამზადებელი კამპანიის ჩასატარებლად.

თანხების მიწოდების დარგში

თანხების მიწოდების საქმეში ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის დაკისრებულ ხელმძღვანელობა უნდა გადაიქცეს პურის დასამზადებელი კამპანიის მომწესრიგებელ მთავარ ბერკეტად.

პურის დამამზადებლებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იმდენი საბრუნავი თანხა, რამდენიც აუცილებელია დასამზადებელი პროგრამის სავსებით შესასრულებლად.

მაგრამ სახელმწიფო თანხების რაც შეიძლება ნაკლები დროით შეჩერების მიზნით საჭიროა მიღებულ იქნეს ყოველგვარი ღონისძიებები პურის დამამზადებელი ორგანიზაციების თანხების ბრუნვის ასაჩქარებლად და სიმძიმის ცენტრის გადასატანად საქონლის გირაოს ქვეშ გატანილ სესხზე და საბლანკო კრედიტზე. ამავე დროს მაქსიმალურად შემცირებული უნდა იქნეს მიზნობრივი სესხები.

ვინაიდან მთავარ დამამზადებელ ორგანიზაციებს არ ჰყოფნით საბრუნავი თანხები, პურის დასამზადებელი კამპანიის დაწყებისათვის ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქნენ საკმარისი მიზნობრივი სესხებით.

თანხების მიწოდების სისტემა შემდეგნაირად უნდა იქნეს მოწყობილი:

1. სახელმწიფო ბანკმა უნდა უზრუნველჰყოს გირაოს ქვეშ გასაცემი სესხი იმ რაოდენობით, რამდენ პურსაც იძლევიან გირაოს ქვეშ,—ამ პირობით, რომ დამზადება სწარმოებდეს დაწესებულ ფასების ფარგლებში, და არ უნდა იწვევდეს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგობას.

2. სისტემა უნდა განირჩეოდეს სათანადო მოქნილობით, რომელიც დამზადების და რეალიზაციის მიმდინარეობასა და აგრეთვე, ცალკე რაიონებში გლეხობის მიერ მოწოდებულ პურის რაოდენობასთან შეფარდებით, შესაძლებელს გახდის სახელმწიფოსათვის მისაღებ ფასებში ბაზარზე გამოტანილ პურის მაქსიმუმის შესყიდვას.

ამასთან ერთად პურის დამზადებაზე სახელმწიფო თანხების ნაკლები დროის შეჩერების მიზნით უნდა

1. მიღებულ იქნეს ზომები პურის დამამზადებელ და პურით მოვაჭრე ორგანიზაციებში—პურის შემყიდველების, რაც შეიძლება მეტი თანხების მოსაზიდათ.

2. მიზანშეწონილ მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული პურის დამამზადებელთა სალაროების არსებული რიცხვი, და აგრეთვე მათ მიერ კონტრ-აგენტებზე გასაცემი ავანსები.

გეგმის გარეშე პურის ბრუნვისათვის თანხების გაცემა უნდა სწარმოებდეს

ა) სახელმწიფო ბანკის მიერ თავის გეგმის გარეშე დამზადების მიხედვით.

ბ) ცენტრალიზაციაქმნილი კრედიტების ასიგნობათა გაღებით, როგორც მომხმარებელი, ისე ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებლად მწარმოებელ რაიონებისათვის.

ექსპორტის დარგში

სახალხო მეურნეობის განვითარების და კერძოთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საერთო ამოცანა მოითხოვს 1926—27 წლის კარგი მოსავლის გამოყენებას იმ მიზნით, რომ გაფართოებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი, როგორც რაოდენობის ისე ღირებულების მხრივ.

პურის მსოფლიო ბაზარზე შექმნილი საერთო მდგომარეობა ქმნის დაბრკოლებებს საკვები კულტურების (ქვავი, ქერი და სხვა) გადიდებული პროდუქციის საკმაო რაოდენობით მოსათავსებლად. საჭიროა ვეცადოთ გავადიდოთ სასურსათო კულტურების როლი ჩვენი ექსპორტის შემადგენლობაში იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი ექსპორტის მაქსიმალური მოცულობა და მისი ღირებულება.

აქვს რა თანდათან მეტი მნიშვნელობა ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის საკვებ პროდუქტებს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უნდა დაევალოს მიიღოს ზომები ჩვენი საკვები კულტურის უცხოეთში გასასაღებლად. ჩვენი პურის უცხოეთ ბაზარზე გატანის დროს საჭი-ხელსაყრელი ფასების პერიოდი მსოფლიო ბა-როა ვეცადოთ გამოვიყენოთ ყველაზე უფრო ზარზე, უნდა ვეცადოთ გავაფართოოთ კრედიტები პურის გაყიდვის დროს და შევიმუშავოთ ღონისძიებები პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. ვინაიდან მომავალი კამპანიის დროს ჩვენ შეგვხვდება კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე პურის გამტან ქვეყნებთან, სადაც წელს პურის კარგი მოსავალია მოსალოდნელი, საჭიროა ყურადღება მიექცეს ექსპორტისთვის საუკეთესო ღირსების პურის შერჩევას.

სარეზერვო ფონდი

იმ დაბრკოლებების მიზეზი, რომელნიც წინ უსწრებენ პურის დამამზადებელ კამპანიას არის ის, რომ სახელმწიფო პურის ბაზრის საკითხებს სწყვეტდა პურის ყოველგვარ რეზერვების გარეშე.

მეორე მხრივ, მხოლოდ პურის განსაზღვრულ მარაგის მქონე სახელმწიფოს შეუძლია მოიპოვოს პურის ბაზარზე თავისუფლად გამოსვლის, თავისუფალი მანევრების წარმოების, თავისი პოზიციების განმტკიცების, ფასებზე ზედმოქმედების და კერძო კაპიტალის განდევნის საშუალება.

მიმდინარე წლის კარგი მოსავალი ყოველ მხრივ გამოყენებული უნდა იქნეს პურის სახელმწიფო სარეზერვო ფონდის შესაქმნელად, რომელიც უნდა შეიცავდეს სასურსათო კულტურების მარაგს არა ნაკლებ 50 მილიონ ფუთის რაოდენობით.

ასეთი ფონდის შექმნის ამოცანა, განხილულ უნდა იქნეს, როგორც მომავალ პურის დასამზადებელ კამპანიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამოცანათაგანი.

ორი წლის კარგი მოსავალი აბსოლიუტურად აუცილებელს ხდის, რომ ასეთი ფონდის შექმნის საშუალებით თავი დავაზღვიოთ შემდეგი წლების მოუსავლობის შედეგებისაგან.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს მთავარი ამოცანების განხორციელებას დამზადების, მიწოდების და ექსპორტის დარგებში, როგორც ფინანსიურ-ეკონომიურ ხასიათის, ისე ადმინისტრატიული ხასიათის ღონისძიებებით. ბაზრის მოწესრიგების სიმძიმის ცენტრი მაინც უნდა დაეყრდნოს—ფინანსიურ-ეკონომიურ ღონისძიებათა მთელიან სისტემას—პურის დამამზადებელ ორგანიზაციების ოპერატიულ და სამეურნეო კომერციულ დამოუკიდებლობას.

ყველა ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება უნდა მიექცეს სათესლე ფონდის რეალური მარაგის მაქსიმალურ გადიდებას.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობისათვის

კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი)

გუშინ, საღამოს 7 საათზე რუსთაველის თეატრში შესდგა საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ა.-კ. საკონტროლო კომისიის, ამ.-კავკ. რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრ. კომიტეტების და ცენტრ. საკონტროლო კომისიების პლენუმების გაფართოებული კრება—დედა ქალაქთა კომიტეტების, რაიკომების, სამაზრო კომიტეტების მდივნების და სამაზრო აღმასკომთა თავმჯდომარეების მონაწილეობით თბილისის საერთო საქალაქო აქაქტივთან ერთად. ვრცელი მოხსენებით (რომელიც გაგრძელდა ოთხი საათი) საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. **ს. ორჯონიკიძე**, რომელსაც მთელი დარბაზი მქუხარე ტაშის ცემით მიეგება. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათამდე ამხანაგმა. კამათის დასასრულ ერთხმად მიღებულ იქნა ამხ. **კახიანის** მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, რომელიც იბეჭდება დღეს ჩვენი გაზეთის პირველ წერილათ.

პარტია ყოველთვის მართალია

პრაღა, 29 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო „რუდე პრავო" აცხადებს: „ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური მუშები მხარს უჭერენ რუსეთის კომუნისტებს, რომლებიც იცავენ პარტიის მთლიანობას. გაზეთი სწერს: „პარტია ყოველთვის მართალია".

ს. კ. პ. (ბ) სტატისტიკა

მოსკოვი, 30 ივლისი. ს. კ. პ. (ბ) ცეკას სტატისტიკურ განყოფილების ცნობების მიხედვით, 1926 წლის 1-ლ მაისისთვის პარტიაში ირიცხებოდა 31.009 უჯრედი და 2.365 საკანდიდატო ჯგუფი.

ამ რიცხვში არ შედიან სამხედრო კომუჯრედები და უცხოეთის საბჭოთა დაწესებულებების კომუჯრედები.

კომუნისტების საერთო რიცხვი 1-ლ მაისისთვის განისაზღვრებოდა 1.059.258 კაცით. ამათში 137.547 ქალია და 423.295 კანდიდატი.

ძირითად ორგანიზაციების ხელმძღვანელობა

თემკომების სისტემაზე გადასვლამ უკვე მოგვცა სათანადო პრაქტიკული შედეგებიც. ძირითად ორგანიზაციების მუშაობა გაცხოველდა, პარტიული აპარატი დაუახლოვდა მასას, დამყარდა უფრო მჭიდრო ურთიერთობა მაღლა მდგომ და დაბალი საფეხურის პარტორგანოებს შორის და მაშასადამე, გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, უჯრედებისა და თემკომების მუშაობას მაინც ახლავს ზოგიერთი ნაკლი.

ადგილებიდან მიღებულ მასალებისა და აგრეთვე სამაზრო კომიტეტების მიერ მოხდენილ გამოკვლევებიდან სჩანს, რომ უჯრედებში და თემკომებშიაც ჯერაც არ მოხერხდა (ზოგ ადგილებზე, რასაკვირველია,) გეგმიან მუშაობაზე გადასვლა. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ თემკომები ვერ არიან უზრუნველყოფილი სათანადო გამოცდილ პარტიულ ძალებით და გარდა ამისა, თემკომების უმეტეს ნაწილს არა ჰყავს ჯამაგირიანი მუშაკები, რაც ახდენს გავლენას მათ მუშაობაზე. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამაზრო კომიტეტების ხელმძღვანელობაც ვერ არის ყველგან სათანადოთ დაყენებული ინსტრუქტორთა რიცხვის სიმცირის გამო, ისინი ვერ სწვდებიან რამოდენიმე თვეობით ადგილებს და ამ რიგად უჯრედი ან თემკომი წერილობითი ინსტრუქციებით და ცირკულიარებით იკვებება. რასაკვირველია, მხოლოდ წერილობითი ხელმძღვანელობით მუშაობის წესიერად წარმოება, მით უმეტეს ისეთ უჯრედებში და თემკომებში, სადაც მომზადებულ ძალთა დიდი სიმცირეა, ძალიან ძნელი საქმეა.

ამ სიძნელეს ზოგან შემდეგნაირად დააღწიეს თავი (მაგალითად სენაკის მაზრაში). გაუქმებულ იქნა თემკომებში ჯამაგირიან მდივნების თანამდებობა, და სამაგიეროდ გადიდდა სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორების რიცხვი. როგორც ადგილობრივ მომუშავე ამხანაგები ამტკიცებენ, მაზრის ძირითად პარტორგანიზაციების მუშაობა ამ ღონისძიების გატარების შემდეგ, საგრძნობლად გაუმჯობესდა. ინსტრუქტორები მიმაგრებული არიან მაზრის განსაზღვრულ რაიონებზე. ისინი პერიოდულათ ათვალიერებენ თავის რაიონებს, ხელმძღვანელობენ მათ და ატარებენ ადგილობრივ ყოველგვარ კამპანიებს და სხვა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადგილობრივ ორგანიზაციების ხელმძღვანელების ეს წესი უფრო მიზანშეწონილია.

ამ გზით სამაზრო კომიტეტს საშუალება აქვს მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს ადგილებთან, შეისწავლოს და გამოარკვიოს მისი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და გამოასწოროს ის.

ვ. ბ.

რას აკეთებს ჩვენი ორგანიზაცია

(გურია).

მთელს მაზრაში დელეგატ ქალები ითვლება 600—ამათში 500 გლეხ-ქალია 40 მოსამსახურე და 60 დიასახლისი. სადელეგატო პუნქტები დაარსებულია 35 თემში; მეცადინეობა კრებებზე სწარმოებს თვეში ორხელ—მხოლოდ უკანასკნელ ივნისის თვეში დელეგატ ქალების მოთხოვნილებით მეცადინეობა შეჩერებული იქნა—აბრეშუმის პარკის მოწევის გამო.

კრებებზე დელეგატ ქალების 80% ესწრება.

მაზრკომის მიერ ჩატარებულ კამპანიებში დელეგატი ქალები ღებულობენ მხურვალე მონაწილეობას.

ამ ბოლო ხანებში მოწყობილი იქნა გლეხქალთა სათემო კრებები, სადაც წაკითხული იქნა მოხსენებები მეაბრეშუმეობის შესახებ.

კომკავშირიდან გამოყოფილია ქალიშვილთა შორის მომუშავე ორგანიზატორები, რომელთაც აქვთ კავშირი ქალთა განყოფილებასთან.

მაზრაში დაარსებულია ჭრაკერვის 13 სკოლა, სადაც სწავლობენ ღარიბი გლეხის ქალიშვილები. აგრეთვე ჩამოყალიბებულია გლეხქალთა 3 კუთხე სადაც მეცადინეობენ გლეხი ქალები.

ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად მიღებულია ზომები: საავადმყოფოში ქალებს ეთმობა ორი უფასო ადგილი, გახსნილია საბავშვო სახლი და ბაღი, სადაც მომვლელებად და მზრუნველებად ინიშნებიან უმთავრესად ქალები და სხვა.

ჟურნალ-გაზეთები ქალთა შორის ნაკლებად ვრცელდება, სამაგიეროდ უშვებენ კედლის გაზეთებს, სადაც ადგილობრივად მონაწილეობას ღებულობს 35 ქალი, რომლებიც ამუშავებენ სადელეგატო კრებების მუშაობას.

ალი-უსუფ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

უპარტიოთა ფართო კონფერენცია

ფოთი, 30 ივლისი. ფოთში პირველად შესდგა უპარტიო მუშა და მოსამსახურეთა ფართო კონფერენცია. დაესწრო 146 დელეგატი.

წითელარმიელების კონფერენცია

ქუთაისი, 30 ივლისი. დამთავრდა ქუთაისის გარნიზონის უპარტიო წითელარმიელთა მე-7-ე კონფერენცია.

მალარია

პედაგოგიური ტეხნიკუმი

ქუთაისი, 30 ივლისი. მიმდინარე წელში პედაგოგიური ტეხნიკუმი დაამთავრა 40 კაცმა. მომავალ სასწავლო წლის დაწყებისას ელიან მოწაფეთა დიდ მოზღვავებას. ტეხნიკუმში მისაღებ განცხადებებს უკვე იღებენ.

მანუფაქტურა

ოზურგეთი, 30 ივლისი. რაიონის ერთიან მომხმარებელმა საზოგადოებამ მიიღო საგლეხო მანუფაქტურა 600 მანეთის რაოდენობით. გზაზეა შემდეგი პარტია 10,000 მანეთისა; მოთხოვნილება აკმაყოფილდება 80—90%-ით.

სიმიდის ფასების დაცემა

ახალ-სენაკი, 30 ივლისი. აბაშის და სენაკის ბაზრებზე დიდძალი სიმინდის შემოტანის გამო, ფასი დაეცა. ფუთი სიმიდი ფასობს 70 კაპ.-იდან 1 მანეთამდე. მიწოდება მოთხოვნილებას აჭარბებს 80 პროცენტით.

მანუფაქტურა

ახალ-სენაკი, 30 ივლისი. სამაზრო აღმასკომის სავაჭრო სექციამ შემოიტანა დიდძალი სხვადასხვა მანუფაქტურა, რომელიც სავაჭრო სექციის განყოფილებებს შორის გაანაწილა.

წყალდიდობა

ახალ-სენაკი, 30 ივლისი. ადიდდენ მდინარეები რიონი და ცხენისწყალი, რომელთაც გადალეკეს სიმინდის ნათესები, სამი დღე ყანებში წყალ ისდგას.

ახალ-აბაშის თემში გაფუჭებულ იქნა 360 დესიატინამდე სიმინდის ნათესი. სუჯუნის თემში განადგურებულია 100 დესიატინამდე სიმიდის ყანა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები

თელავი, 30 ივლისი. დირინგის სამკელი მანქანები (ძნების შემკვრელი), რომელიც ტრაქტორების ძალით მოქმედებს, საუკეთესოდ მუშაობენ შილდის რაიონში, და აღტაცებაში მოჰყავთ ახლო-მახლო მოსახლე გლეხობა.

აგრონომიული თათბირი სამაზრო აღმასკომთან

თელავი, 30 ივლისი. სამაზრო აღმასკომთან შესდგა აგრონომიული თათბირი. განხილულ იქნა 5 წლის საპერსპექტივო გეგმა აღმასკომის კუთვნილ ზვრების აღსადგენად.

აღმასკომს სულ 53 დესიატინა ვენახი აქვს. წასულ წელში, ფილოქსერის მიუხედავად 15,000 ვედრო მოვიდა. მომავალ წლიდან გადაწყვეტილია 15 დესეტინა მიწის გადაბრუნება.

გლეხკომების ხელახალი გადარჩევა

ახალქალაქი, 30 ივლისი. წინასწარი ცნობების მიხედვით გლეხკომში არჩეულ იქნა 344 გლეხი, ამათში 196 ღარიბ-ღატაკია, დანარჩენები საშუალო შეძლების მქონენი. პარტიულები აირჩიეს 44, ქალები 10.

წერილები

მასწავლებელ ნიკოს ავკაცობა

(ს. ყანდაურა, სიღნ. მ.)

„მღვდელი იყო, კაცად არავინ აგდებდა, ანაფორა გაიხადა, მაგრამ ამით ფასი მაინც არ დაედებია",ასე ამბობენ ყანდაურელი გლეხები მასწავლებელ ნიკო ფხალაძეზე. საბუთიც აქვთ, რომ სთქვან. აბა სად გაგონილა, რომ ჭკუათმყოფელმა კაცმა ისეთი რამ ჩაიდინოს, რასაც ფხალაძე სჩადის.

მოგეხსენებათ მევენახეობისათვის სეტყვა თავზარდამცემია. ამიტომ ყანდაურელ გლეხებმა საერთო ძალით შეიძინეს შუშხუნები ამ საშიშროების წინააღმდეგ. ნიკომ, რომელსაც ეს შუშხუნები ებარა, ისე გამოიყენა ისინი, როგორც თვითონ სურდა.

ნაწილით ივრის წყალში ქვა-ქვაზე [illegible], ნაწილი კი ძველი, მღვდლობის ჩვეულებისამებრ ახალ წელიწადის შეხვედრას მოანდომა. ისე გაქონდა ნიკოს ეზოში გუგუნ-გუგუნი ყანდაურელ გლეხების ნაღვლარით შეძენილ შუშხუნებს, რომ ვერდენის ბრძოლა წარმოგიდგებოდათ.

გლეხებმა ამაზე ერთი კი წაიწუწუნეს, მაგრამ მალე ყველაფერი დავიწყებას მიეცა. სამაგიეროთ არ დავიწყნია თავის ხელობა ნიკო ფხალაძეს. ამას წინათ ნიკო და საბჭოს სამეურნეო სექციის თავმჯდომარე ღვინით გალეშილები ბარბაც-ბარბაცით მოვიდნენ ყანდაურის დუქნებთან.

„შესდექ, მიმართა ნიკომ მხედრიული კილოთი სამეურნეო სექციის თავმჯდომარეს, როცა ისინი დუქანს გაუსწორდნენ, აქ უნდა გავმართოთ პოსტი, ხალხიც ბლომადაა, ადგილიც მეტად მოხდენილია, ვინც შინ იქნება, ის ისვრის შუშხუნებს"-ო.

ამის გამგონე გლეხებმა ერთი აურ-ზაური შექმნეს. ვინ რას გაიძახოდა და ვინ რას. აბა, ნიკოც ხომ პირში ბურთს არ ჩაიჩრიდა. მოსდგა და იქ შეგროვილ გლეხებს გინებით მკვდარი და ცოცხალი არ დაუყენა.

გლეხებმა უფრო მეტი ჭკუა იხმარეს. მასწავლებელ ნიკოს ამგვარ თავხედობას საერთო დაცინვით უპასუხეს და ჩხუბსა და აურ-ზაურს მოერიდნენ. ნიკო კი დადის სოფელ-სოფელ და იკვეხნის, ვაჟკაცობას და ლომტარიელობას.

ყველაფერს დასასრული აქვს ამ ქვეყანაზე, მაგრამ ბოლო არ უჩანს ფხალაძის „მოღვაწეობას". რამდენჯერ იყო მოთავსებული მისი ავკაცობის შესახებ წერილები გაზეთებში, მაგრამ თავს არავინ იტკივებს. რა უნდა ასწავლოს ასეთ მასწავლებელმა ყანდაურელ გლეხებს?

მეთვალყურე.

რკინისგზის სადგური ახალციხეში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

სამი თვეა, ახალციხეში დაარსდა რკინისგზის ქალაქის სადგური. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა სადგური კარგად მოუწყვიათ.

სადგური არა თუ დეფიციტიანია, პირიქით, ივნისში წმინდა მოგება 155 მან. დარჩა. რკინისგზის ბილეთები იყიდება სადგურში საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებში და მიიღება და იგზავნება აგრეთვე ავეჯი და საქონელი.

როცა ქალ. ახალციხეში არ იყო სადგური, ახალციხიდან მიმავალი მგზავრები ბორჯომში ყიდულობდენ ბილეთებს. მე მრავალი არა სასურველი სურათი მინახავს. ბორჯომის რკინისგზის სადგურში. მაგალითად: ახალციხიდან მიდის ისეთი მგზავრი, რომელსაც რკინისგზა სრულიად არ უნახავს. ამ მგზავრს საკმაოდ დიდი ავეჯი აქვს და ვერ მოუხერხებია რიგში დგომა და თბილისისათვის ბილეთის აღება, იგი ერთს სხვა უცხო პირს აძლევს ფულს და ეხვეწება, რომ მასაც აუღოს ბილეთი. მატარებლის წასვლა ახლოვდება. მგზავრი ყოყმანობს, ფიქრობს და აქეთ-იქით დაეძებს ამ პიროვნებას, რომელსაც ფული მისცა ბილეთის ასაღებათ, მაგრამ ამაოდ იგი [illegible]. მგზავრი რჩება და სხვა მატარებელს უცდის, რომ მეორეთ აიღოს ბილეთი და გაემგზავროს თბილისში.

ახალციხის სადგური რომ დაარსდა, ჩვენ უსაზღვრო სიხარული ვიგრძენით — რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ ადრე თუ გვიან მესხეთს რკინისგზაც ეღირსებოდა, რაზედაც არაერთხელ უთქვამთ მოხსენების დროს მთავრობის წევრებს.

სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით რკინისგზა კი არა—აგერ მესამე თვეა ვერ ვღირსეთ სამგზავრო და საბარგო ავტომობილების წესიერ მიმოსვლას ბორჯომ-ახალციხე, აბასთუმანი, ახალქალაქის შარა გზებზე.

ახალციხის ქალაქის სადგურს უნდა მიეცეს საჭირო სამგზავრო და საბარგო ავტომობილები წესიერი მიმოსვლის მოსაწყობათ, რომელიც უფრო გაიეფებს ბილეთების ფასს ვიდრე „ზაკავტომპრომტორგი", რომელიც ახალციხიდან-ბორჯომამდე (48 ვერ. მანძილზე) ახდევინებს მგზავრებს 5 მან.

საჭიროა ავეჯი, საქონელი გადმოტანილ იქნეს ბორჯომიდან ახალციხეში საბარგო ავტომობილებით და არა ფურგუნებით. ფურგუნს ორი-სამი დღე აგვიანდება გზაზე და ყაჩაღების თავდასხმიდანაც არ არის დაზღვეული. ავტომობილი კი იმავე დღეს იქნება ახალციხეში, რა დროსაც წამოვა იგი ბორჯომიდან და დიდი შიშიც არ მოელის ბოროტგამზრახველების მხრივ.

კიდევ ერთი ფაქტიური შენიშვნა. ახალციხის ეპო, სამხედრო კოოპერატივი (ბოეცი) და სხვ. საბჭოთა დაწესებულებანი თურმე არ აგზავნიან თავიანთ საქონელს სადგურის საშუალებით და ასე კერძო პირებს უსქელებენ ჯიბეებს. საჭიროა ამასაც მიექცეს სათანადო ყურადღება.

ახალციხელი.

მუშათა ცხოვრება

როგორ მოიშორა პეტრემ ცოლი *

(პატარა პელეტონისებური)

მუშა პეტრე უდარდელიძე დაფიქრებული ზის რესტორანში, ჭიქას ჭიქაზე სცლის და რაღაც ნერვიანობა ეტყობა.

— როგორ მოვიშორო ის უნამუსო თავიდან?—ჰფიქრობს იგი:—ხათაბალაა სწორედ, მოიგონეს რაღაც კანონი, დაავადებული და გაჭირვებული ცოლი თუ გაუშვი, მესამედი შენი ჯამაგირისა უნდა მისცე ყოველთვიურადაო! რადა? რისთვის უნდა მივსცე? თორმეტი წელიწადი ჩემი ცოლი იყო, ახლა აღარ არის; აღარ მინდა მისი ცოლობა. წავიდეს, სხვა ქმარი იშოვოს, მე ხომ არ ვუშლი?.. აბა სადაური კანონია, ვეყრები, ჩემი ცოლი აღარ არის და მესამედი ჩემი ჯამაგირისა კი უნდა მივსცე? მერე ვინღა წამყვება? ხომ დავრჩი უცოლოდ! ნეტა ადამიანს მაინც გავდეს ის ჩიტების საფრთხობელა, მომკვდარია გვერდში და აღარ მშორდება, ხათაბალაა, ფუ! ფუ!.. რაღა ჩემი ქეთუშა და რაღა ის; ქეთუშას თუნდა ჩემს სიცოცხლეს მივსცემდი, იმიტომ რომ მიყვარს, ვგიჟდები მისთვის, მაგრამ იმას რაში მივსცე, რომ არც მიყვარს და არც რაიმე საერთო მინდა მქონდეს მასთან.

რა ვუყოთ, რომ ოდესღაც მიყვარდა და თავს ვევლებოდი, ახლა აღარ მიყვარს, ბასტა!—სთქვა თავისთვის პეტრემ და რამოდენიმე წუთით დაფიქრდა. მერე სახე გაუბრწყინდა—„მზად არის!"—წამოიძახა და შინისკენ გაემართა.

სახლში მისვლისთანავე ცოლს მგელივით შეუბღვირა, მაგიდიდან გრაფინი აიღო, ჭიქაში წყალი გადმოასხა და დიდხანს იყურებოდა წყალში.

—ეს რა არის?!—უცებ დაიღრიალა მან და ჭიქა კუთხეში ისროლა:—მე რამდენჯერ მითქვამს, რომ აუდუღარ წყალს ნუ მასმევ მეთქი! გინდა ხოლერა დამემართოს და მოვკვდე!

— არა, პეტრეჯან, დედა არ მომიკვდება, წყალი ადუღებულია!—ნაზად ეუბნება ცოლი.

— რომ იფიცავს კიდეც ეს უნამუსო! დიდი ხანია შენ ჩემი სიკვდილი გინდა, მაგრამ, იცოდე არ მოვკვდები შენს ჯინზე!—დაუყვირა პეტრემ და საფეთქელში მაგარი სილა სტკიცა, მერე ხელი წაჰკრა, ტახტზე მიაწყვიტა და გარედ გამოვარდა.

—- ეს კარგი ხერხი მოვიგონე! იძახის კმაყოფილი პეტრე,—ყოველ დღე ვცემ, სახარჯო ფულებს არ მივცემ სიმშილით მოვკლავ, და მაშინაც არ დამანებებს თავს! იმდენს ვუთაქებ, რომ წავიდეს, მომშორდეს და, რაკი თავისით წავა, მაშინ ხომ აღარაფერი ეკუთვნის ჩემგან და სასამართლოც ვერაფერს გადამახდევინებს მის სასარგებლოდ.—ასე ჰფიქრობდა პეტრე, ასე ფიქრობენ სხვანიც, მაგრამ სამართალი ასე უკანონოდ არ არჩევს საქმეს. ის ჯერ იძიებს, თუ სად „მარხია ძაღლის თავი", მერე საქმეს არჩევს და ღირსეული მსჯავრიც გამოაქვს პეტრესთანა ხალხისთვის.

პეტრემ ცოლი მოიშორა უმიზეზოდ „საყვარლის„ გულისთვის, მაგრამ სასამართლომ მის პირველ ცოლს მოუსაჯა მაინც მისი ჯამაგირის მესამედი, როგორც უმწეოს და პეტრეს ხელში დაავადმყოფებულს.

მუშა ნიკო ას—ლი.

როგორი მუშაობაა ბამბის ქარხანაში

კომინტერნის სახელობის ბამბის ქარხანაში მუშაობს 48 მუშა-მოსამსახურე—მათ შორის 23 ქალია და ორი მოწაფე. მუშა-მოსამსახურეების ხელფასი შემდეგია: მინიმუმი უდრის 42 მან. საშუალო 90 მანეთს და მაქსიმუმი 180 მან;

მუშებს თავის დროზე ეძლევათ სპეც-ტანსაცმლები; მტვრიან ალაგას მომუშავეთ ორი „კრუჟკა" რძე, უფასო ჩაი, თვეში აბანოს ორი უფასო ბილეთები; მოწყობილი აქვთ სასადილო

ქარხანა სისტემატიურად სუფთავდება, რადგანაც ბამბის დამუშავების დროს დგება მტვერი; მოწყობილია მუშებისთვის სუფთად კუბებში ადუღებული ნაყინი წყალი.

შვებულება ეძლევათ წელიწადში ერთი თვით. შვებულება უკვე კარგა ხანია რაც დაიწყო და მიმდინარეობს ნორმალურად, შვებულების დროს მუშებს ერთი დღიდან მეორე დღემდე ეძლევათ საშვებულებო ხელფასი.

კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში მუშების ნაწილი უკვე გაგზავნილია.

ქარხნის ტეხნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება შენობას იგი ვერ არის შესაფერი. ჰაერი არ სუფთავდება ვენტილიატორების უქონლობის გამო; მისი მოწყობაც შეუძლებელია.

ნედლი მასალა ქარხანას საყოფი აქვს და ხელს არ უშლის მუშაობას.

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ბამბის ქარხნის მუშებს დაუმუშავებიათ 6.932 ფ. ბამბა და 2.625 ფუთი ძაფი. ქარხნის მანქანები ახლად შეკეთებულია.

მუშა ვ. სალუქვაძე.

ჩვენი მუშების ჯანმრთელობას საშიშროება მოელის

შეიძლება თუ არა მთელი პლეხანოვის გამზირი სავსეა მეძავი ქალებით, რომლებიც გამვლელ-გამომვლელებს „ეპატიჟებიან" და მოსვენებას არ აძლევენ. ხშირად ისმის მოქალაქეების საყვედური მილიციის უმოქმედობაზე, მაგრამ მილიცია აქ არაფერ შუაშია. მილიციას არა აქვს უფლება რაიმე ზომები მიიღოს მარტო იმაზე, რომ ქალი მეძაობას ეწევა. ეს გარემოება მეძავ ქალებსაც კარგად სცოდნიათ და პირიქით, მილიციის თანამშრომლებს ემუქრებიან პროკურორის სახელით: თქვენ ნება არა გაქვთ, ჩვენ დაგვიჭიროთ, ხვალვე პროკურორთან წავალთო და სხვა.

კანონიერ ფარგლებში მილიცია, რა თქმა უნდა, იღებს ყოველგვარ ზომებს: ხშირად იჭერს ქუჩებში, ეზოებში უწესრიგობისათვის კავალერითურთ და შესაფერ მსჯავრსაც სდებს ადმინისტრატიული წესით. მაგრამ ეს საქმეს არ შველის და მოქალაქეები, და მუშები და გლეხები ხდებიან ავად ვენერიული ავადმყოფობით. ამას წინათ წითელარმიელმა ამხ. მარტინ ფილატოვმა პლეხანოვის გამზირზე დაიჭირა ახალგაზრდა მეძავი ქალი ბელოკობილევსკაია და, მილიციას რომ არ მოესწრო, ხელით დახრჩობას უპირებდა. კომისარიატში კი გამოირკვა ბელოკობილევსკაიას ექვსი წითელარმიელი გაუხდია ავად ვენერიული ავადმყოფობით, მათ შორის ამხ. ფილატოვიც.

ქალი შემოწმებული იქნა ექიმის მიერ და უკვე მოთავსებულია გამასწორებელ სახლში წითელარმიელების გადამდები სენით შეპყრობისათვის.

ვინ იცის რამდენი მუშა და წითელარმიელი იქნება გაუბედურებული ამხ. ფილატოვისებურად.

საჭიროა დროზე იქნეს რაიმე ზომები მიღებული თორემ მეძავი ქალები დღითი დღე სწამლავენ მშრომელ ხალხს.

მუშკორი დ. გორდაძე.

მუშათა ქრონიკა

საპნის და ზეთის სახდელ ქარხანაში

— **მოწაფეების გამოცდისათვის.** საპნის სადუღებელ ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას გამოჰყოს მცოდნე პირები.

— **ჯამაგირის დანიშვნა.** საპნის სადუღებელ ქარხკომმა, ქართული დრამწრის ხელმძღვანელ ამხ. **გულიევს** დაუნიშნა თვეში 15 მანეთი.

— **თანხის გადადება.** სამუსიკო წრის ხელმძღვანელმა სთხოვა საპნის სადუღებელ ქარხკომს გაიღოს თანხა მუსიკალურ წრის საჭიროებისათვის.

— **სპეც-ტანსაცმელების საკითხი.** ვინაიდან მუშებს არ მიუღიათ სპეც-ტანსაცმელები, ქიმიკოსთა ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას დაჩქარებით მოაგვაროს ეს საკითხი.

— **საზაფხულო კლუბის გახსნა.** 19 ივლისს, ქიმიკოსთა ქარხკომმა გახსნა საზაფხულო კლუბი. კლუბში უკრავდა სასულე ორკესტრი.

— **ქარხკომის სალაროში.** ექვსი თვის განმავლობაში ზეთის სახდელ ქარხკომის სალაროში შემოსულა 2 პროცენტიანი ანარიცხები 1200 მანეთის რაოდენობით.

— **კულტ-ფონდის შემოსავალი.** ზეთის სახდელ ქარხნის კულტ- კომისიის მიერ მოწყობილ ლექციისა და კონცერტებიდან შემოსულა 900 მანეთი.

ტყავ-ტრესტის ქარხანაში

— **კოლხელშეკრულების საკითხი.** ტყავ-ტრესტის ქარხკომში კოლხელშეკრულებების რამოდენიმე მუხლები შეიცვალა, მუშების სასარგებლოდ.

— **აბანოს მოწყობა.** ტყავ-ტრესტის ელექტრო-სადგურში ამ მოკლე ხანში მოეწყობა მუშებისათვის აბანო.

— **სამთვიანი კურსები.** ამ მოკლე ხანში, ტყავ-ტრესტის კულტ-კომისია გახსნის წერაკითხვის უცოდინართათვის სამთვიან კურსებს.

კამოს სახელობის ქარხკომში

— **მოხსენება.** კამოს სახ. საქარხნო სკოლის კომიტეტის სხდომაზე, ამხ. კოპაიძემ გააკეთა მოხსენება ტანთვარჯიშობის მუშაობის წრის შესახებ. კრებამ მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

— **სპეც-ტანსაცმელების შესახებ.** კამოს სახ. ქარხკომმა გამოჰყო კომისიები, რომელთაც დაავალა მოაგვაროს სპეც-ტანსაცმელების საკითხი.

— **ქარხნის სამრეცხაოში.** ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას კამოს სახ. ქარხნის სამრეცხაოში მოაწყოს ვეჯის დასადგმელი და იატაკზე დააგოს რეიკები.

— **მუშკორების მუშაობის გამოცოცხლება.** ტყავ-ტრესტის კულტ-კომისიამ დაადგინა მიექცეს ყურადღება, რათა მუშკორები ჩაებან კედლის გაზეთის მუშაობაში.

— **ჟურნალ-გაზეთების გამოწერა.** ტყავ-ტრესტის ქარხნის კულტ-კომისიამ დაადგინა, ქარხანაში ჩატარდეს კამპანიები, რათა მოწესრიგდეს ჟურნალ-გაზეთების გამოწერის საქმე.

პროფკავშირებში

ცირკულიარულად

ყველა პროფკავშირების ცეკას გამგეობას

ძვირფასო ამხანაგებო.

მომავალ 1926—27 სასწავლო წლის მოახლოვების გამო, საჭიროა პროფკავშირებმა ამ თავითვე აწარმოონ მუშაობა კავშირების წევრთა შვილების სასწავლებლებში თავის დროზე გასაგზავნად.

პროფკავშირების საზაფხულო კულტმუშაობის საორიენტაციო გეგმის იმ მუხლების განსახორციელებლად, რომლებიც ეხება სასკოლო საკითხებს, საჭიროა სასწრაფოთ გატარდეს ქვემო-აღნიშნული ღონისძიებები, რომ ადგილი არ ექნეს იმ დაბრკოლებებს და ნაკლს, რომლებიც შემჩნეული იყო გასულ წელში:

ფართოდ უნდა ეცნობოს საკავშირო მასას სასწავლებლებში მისაღები პირობები, განცხადებათა შეტანის ვადა, საჭირო საბუთების წარმოდგენა და სხვა.

გამოყოფილ უნდა იქნეს წარმომადგენლები მოწაფეთა მიმღებ კომისიებში, რომ შესაძლებელი იქნეს მიღების დროს პირველ რიგში კავშირების წევრთა ინტერესების დაცვა.

თბილისში ყველა შრომის სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან გამოიყოფა კომისიები, რომლებშიაც შევლენ აღმასკომის და პროფსაბჭოს წარმომადგენლები და სკოლის გამგე. განცხადებები როგორც შრომის სკოლებში, ისე ბაღებში მიიღება 15 აგვისტოდან—30 აგვისტომდე. განცხადებებთან ერთად საჭიროა აუცილებლად წარდგენილ იქნეს მოწმობა წლოვანობის შესახებ (მიღებული „მმაჩ"-ის განყოფილებიდგან და არა ადგილკომისაგან, როგორც ეს გასულ წელში ხდებოდა). მოწმობა მშობლების სოციალური მდგომარეობის შესახებ, მიღებული ფაბქარხადგილკომისაგან, რომელშიც ვრცლად უნდა იქნეს მოყვანილი ცნობები მუშაა თუ მოსამსახურე მისაღები პირის მშობელი, რომელი კავშირის წევრია, კავშირის წიგნაკის №., რამდენს უდრის თვიური ხელფასი.

უფროს ჯგუფებში გადასასვლელად ამ საბუთების გარდა საჭიროა აგრეთვე მოწმობა, მიღებული განათლების შესახებ იმ სკოლიდან, რომელშიაც მოწაფეს უსწავლია.

საბავშვო ბაღებში ბავშვები მიიღებიან არა უმცირესს 3 წლისა და არა უდიდეს 5 წლის ჰასაკისა.

იმ მიზნით, რომ სასწავლებელში გაგზავნის შესახებ ქვემდებარე აქტიურ კულტმუშავეებს მიეცეს შესაფერი ახსნა-განმარტებები და დირექტივები, კულტგანყოფილება ა.-წ. 4 აგვისტოს საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში იწვევს კულტკომისიების კონფერენციას.

გევალებათ აცნობოთ ყველა ადგილებს ამის შესახებ და მოიწვიოთ ყველა კომისიების წევრები. სავალდებულოა კავშირების კულტგანყოფილებების გამგეთა დასწრებაც.

სკოლებთან არსებულ მიმღებ კომისიებში წარმომადგენლების გასაგზავნად უკანასკნელი თათბირის მიერ გამოყოფილმა სასკოლო კომისიამ გამოიმუშავა ცხრილი, რომელიც აქვეა დართული, იმის აღნიშვნით, თუ რომელმა კავშირმა რომელ სკოლებში ან ბაღებში უნდა გაგზავნოს წარმომადგენლები. წარმომადგენლები უნდა გამოიყოს საქ. პროფსაბჭოს სახელით, რაც შეიძლება ავტორიტეტული და გამოცდილი მუშაკებისაგან როგორც კულტგანყოფილებების გამგეების, ისე მოზრდილ ფაბქარხკომების და ადგილკომების შემადგენლობიდან. თითო სკოლაში უნდა გამოიყოს აუცილებლად თითო წარმომადგენელი.

გევალიბათ სასწრაფოდ წარმოადგინოთ განყოფილებაში წარმომადგენელთა სიები გვარის და სახელის. სამსახურის ადგილის და ბინის სწორი მისამართით და იმის ჩვენებით, თუ ვინ რომელ სკოლაშია მივლინებული. სიები უნდა წარმოადგინოთ არა უგვიანეს 30 აგვისტოსა.

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების გამგე მელიძე.

მდივანი ხელაძე.

წითელ ჯარში

სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადის გაგრძელება მოსწავლეთათვის

მოსწავლეებს, რომლებსაც ეხებათ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევა, უგრძელდებათ გაწვევის ვადა განათლების დასრულებამდე. გაწვევის ვადის გაგრძელების უფლება მინიჭებული აქვთ გამწვევ კომისიებს. გაწვევა გადაიდება იმ ვადით, რამდენიც საჭიროა მოსწავლესთვის სასწავლებლის კურსის დასამთავრებლად, გამოსაშვებ მუშაობის ჩასაბარებლად და პრაქტიკულ მუშაობის ასასრულებლად.

მოსწავლეები, რომელნიც სარგებლობენ ვადის გაგრძელების შეღავათით, თუ გავიდნენ სასწავლებლიდან თავის სურვილით, ან გამორიცხულ იქნენ კურსის დამთავრებამდე, ჰკარგავენ შეღავათის უფლებას და ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ უახლოეს გაწვევაზე. გაწვევის გაგრძელების უფლება ზემოხსენებულ მოსწავლეებს ენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ ხუთი თვით ადრე გაწვევამდის შევლენ ერთ-ერთ სასწავლებელში, რომელიც აძლევს გაწვევის ვადის გაგრძელების უფლებას.

მოსწავლეებს, რომლებმაც დაამთავრეს სასწავლებლები გაწვევის წელში და აქვთ სათანადო ორგანიზაციებიდან მივლინება უმაღლეს სასწავლებელში, უგრძელდებათ გაწვევის ვადა. მხოლოდ ეს მოქალაქენი ვალდებულნი არიან არა უგვიანეს გაწვევის წლის სექტემბრის 15-სა წარადგინონ სათანადო გამწვევ კომისიებში მოწმობა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ. თუ აღნიშნულ დრომდე მოწმობა არ იქნება წარდგენილი, ისინი გაწვეული იქნებიან სამსახურში საერთო წესით.

ის ახალგაზრდები, რომელთაც ეხებათ გაწვევა და სწავლობენ საზღვარ გარეთის სასწავლებლებში სარგებლობენ გაწვევის ვადის გაგრძელებით იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი მივლინებული არიან სასწავლებლად საზღვარგარეთ სათანადო სახელმწიფოებრივ და პროფესიონალურ ორგანოების მიერ.

ი. ხ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და წითელიარმიელის მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის თანახმად, მიმდინარე წელს გადასახადი გაწერილ იქნება გლეხის მეურნეობის შემოსავლის კვალობაზე მანეთებში. ამის და მიხედვით წითელარმიელის მეურნეობას მიეცემა შესაფერი შეღავათი.

შეღავათების მიღების წესი წითელარმიელთათვის ძალიან გაადვილებულია: ჯარის ნაწილებს დაეგზავნათ შესაფერი მოწმობები, რომლებიც შევსების შემდეგ გადაგზავნილ უნდა იქმნენ სოფლად შეღავათების მისაღებად. ადგილებზე დაგზავნილია აგრეთვე მოწმობები ცვალებად წითელარმიელებისათვის.

ახალი კანონის ძალით, წითელარმიელების და სამხედრო მსახურთა მეურნეობანი სარგებლობენ შემდეგი შეღავათებით: ყოველი სამხედრო მსახური ითვლება მჭამელად, თუმცა იგი არ იმყოფება სახლში. ამითი მცირდება შემოსავლის ჯამი ოჯახის წევრზე და მეურნეობის გადასახადიც კლებულობს. უნცროს მეთაურთა მეურნეობა სრულიად განთავისუფლებულ იქნებიან ყოველგვარ გადასახადიდან იმ შემთხვევაში, თუ მათი შემოსავალი არ აღემატება იმ რაიონისათვის დაწესებულ საგადასახადო მინიმუმს.

შეღავათები მიეცემა იმ წითელ არმიელების მეურნეებს, რომელნიც გაწვეულ იქნებიან სამხედრო სამსახურში მიმდინარე წლის შემოდგომაზე, და აგრეთვე გაზაფხულზე უვადო შვებულებაში დათხოვნილთ.

ცხენოსან ნაწილებში ჩარიცხულ ცვალებადელების ცხენები, თუ კი ისინი სამოსწავლო შეკრებაზე ცხადდებიან თავისი ცხენებით, განთავისუფლებულ არიან გადასახადიდან.

აღნიშნულ შეღავათების გარდა წითელარმიელების მეურნეობანი სარგებლობენ ყველა იმ შეღავათებითაც, რომლებიც დაწესებულია საერთოდ სასოფლო მეურნეობისათვის.

ელ. ზ.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

გავაცხოველოთ მამხილებელი მუშაობა

მომჭირნეობის რეჟიმის წარმატებით გატარებისათვის ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს ბოროტმოქმედების, უყაირათობის და დაუდევრობის ჩამდენთა დაუზოგავი და ყოველმხრივი მხილება. ეს უნდა ხდებოდეს მიუხედავათ იმისა, ვინ ან რა თანამდებობის პირი იქნება შემჩნეული ამგვარ საქციელში.

სინამდვილეში ეს ყველგან და ყოველთვის ასე არ ხდება. მომჭირნეობის კამპანიის დაწყების პირველ ხანებში ერთნაირი გამოფხიზლება ამ მხრივ მართლაც იყო, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს აქა-იქ ერთგვარ მოდუნებას აქვს ადგილი.

ბოროტმოქმედებას ამჩნევენ, დაუდევრობის მოწმე არიან, მაგრამ თავს იმდენათ არ იწუხებენ დამნაშავეს სამხილებლათ: ან ერიდებათ მისი, ან ეშინიათ, ან ენათესავებიან მას და სხვა. საზოგადო საქმის ინტერესები კი გვერდზე რჩება.

მომჭირნეობის რეჟიმი ერთი და ორი დღის ამოცანათ არაა აღიარებული. არა ერთხელ ყოფილა ხაზგასმით აღნიშნული პრესაში და პასუხისმგებელ მუშაკებისაგანაც, რომ მომჭირნეობის რეჟიმი შემოღებულია, როგორც ხანგრძლივი და სერიოზული ამოცანა.

ცხადია ამიტომ, რომ ყოვლად დაუშვებელია დაუდევრობის თუ სხვა სახის დანაშაულის მამხილებელი კამპანიის რამდენადმე მაინც შენელება. პირიქით, ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გავაფართოოთ და, რაც დრო მიდის, უფრო ორგანიზაციულად ვაწარმოოთ.

მართალია ამ შემთხვევაში ზოგჯერ ადგილი აქვს დემაგოგიას ან აშკარა ცილისწამებასაც, მაგრამ პრესა ამაში ერკვევა, ის იშვიათად თუ დაუშვებს, რომ ვინმე უდანაშაულოთ იქნეს შეურაცყოფილი.

ამრიგად ერთხელ კიდევ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მომჭირნეობის რეჟიმის წარმატებითი ჩასატარებლად საჭიროა გაჩაღებულ იქნას მამხილებელი მუშაობა. საჭიროა საზოგადოებრივ აზრის წინაშე ყურით გამოვიყვანოთ ყველა ავის მქნელი და ჩამდენი, ვინ და რა თანამდებობის პირიც არ უნდა იყოს ის.

ნ. ზ—ძე.

პროფკავშირები და მომჭირნეობისათვის ბრძოლა

(რეზოლიუცია მიღებული საქართველოს რესპუბლიკის სატარიფო თათბირზე

1. სატარიფო—თათბირი საჭიროდ სცნობს, რათა პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის ჩატარებაში და დაეხმარონ სახელმწიფოს ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში მუშაობის რაციონალურად დაყენების საქმეში.

2. მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის ჩატარებაში კავშირების მონაწილეობა უნდა გამოიხატებოდეს არა სამეურნეო ორგანოების მიერ შექმნილ მომჭირნეობის კომისიებში ცალკე წარმომადგენლების გაგზავნით, არამედ მომჭირნეობის საკითხების გარშემო საწარმოო და ეკონომთათბირებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლაში ფართო მასების ჩაბმით; მუშაობა ამ მიმართულებით უნდა იქნეს გაძლიერებული, რათა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებს აქტიური დახმარება აღმოეჩინოს მომჭირნეობის რეჟიმის პოლიტიკის ჩატარების საქმეში;მაგრამ ამავე დროს, კავშირებმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ მომჭირნეობის რეჟიმი პრაქტიკაში არ დამახინჯდეს და ამით არ გააუარესოს შრომის პირობები და მუშების მდგომარეობა.

3. თათბირი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ სამეურნეო ორგანოებმა მომჭირნეობის რეჟიმი გაიგეს, როგორც მარტო შტატების შემცირება, თათბირი არ ეწინააღმდეგება რა მიზანშეწონილ შტატების შემცირების ჩატარებას და დასძენს, რომ ეს უნდა მოხდეს არა ეფექტისათვის, არამედ ზედმეტი ხარჯების შემცირების მიზნით. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს საქმის რაციონალურად დაყენებას და სხვა ზედნადებ ხარჯების მოწესრიგებას და არა შტატების შემცირებას.

4. თათბირს დაუშვებლად მიაჩნია ზოგიერთ სამეურნეო მუშაკების მისწრაფება—ჩატარდეს მომჭირნეობა მუშა-მოსამსახურეებისათვის შრომის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლების შეკვეცის გზით: ხელფასის შემცირება, გამომუშავების ნორმების გადიდება, თანრიგების მასიური გადასინჯვა მათი დაკლების მიზნით და სპეცტანისამოსისა და მავნე სამუშაოზე ცხიმოვან ნივთიერების მიცემის შეწყვეტა.

5. მიუღებლად იქნას აგრეთვე მიღებული მოზარდთა ჯავშნის და შეგირდობის შემცირება, ვინაიდან ქვეყნის აღორძინებული მეურნეობა, რისთვისაც ტარდება თვით ეს მომჭირნეობის კამპანია, მოითხოვს კვალიფიციურ მუშა-ხელს.

მომჭირნეობის რეჟიმი არ შეიძლება აგრეთვე ჩატარებულ იქნეს შრომის დაცვის ხარჯზე (შრომის სანიტარულ-ტეხნიკურ-ჰიგიენური პირობები, სასადილოები და დასასვენებელი სახლები) პირიქით მომჭირნეობის მიზნით—მეტ ნაყოფიერ შრომის უზრუნველყოფისათვის უნდა გაძლიერდეს მუშაობა ამ მიმართულებით და გაჯანსაღდეს.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

უნდა შევასწავლოთ

უკვე საკმაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში სარევიზიო კომისიების მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ სოფლის საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც სამეურნეო მუშაობას ეწევიან.

ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებას წარმოადგენენ, რასაკვირველია, კოოპერატივებიც. მოსკოვის გაზ. „ბედნოტა" (№ 2466, 24 ივლისი—26 წ) ამის შესახებ შემდეგს სწერს:

„უმეტეს შემთხვევაში სარევიზიო კომისიის წევრები თოხზე მომუშავე გლეხები არიან. მათ თავიანთ მუშაობის დასაწყისში არ იციან როგორ უნდა აწარმოონ სარევიზიო მუშაობა და მით უფრო ვერც იმაში ერკვევიან, თუ რაზე შეიძლება მომჭირნეობა კოოპერაციაში.

კიდევ კარგი, თუ კოოპერატივში პატიოსანი ხალხი ზის, თორემ ისიც ხდება, რომ სარევიზიო კომისიის გამოუცდელობით, კოოპერატორები აფუჩეჩებენ თავიანთ ცოდვებს. ასეთი მაგალითი იყო როსტოვის მომხმარებელ საზოგადოებაში, სადაც ნოქარი ძალიან დიდხანს ფარავდა გაფლანგვას და ამასობაში თავისთვის სახლი აიშენა".

გაზეთს მოჰყავს სხვა კიდევ ამისდაგვარი მაგალითები და დასასრულ ასკვნის:

„რომ ეს ასე არ ხდებოდეს, უნდა შევასწავლოთ სარევიზიო კომისიებს მუშაობა. ველსკის სარაიონო კავშირმა ამ მხრივ სასარგებლო მაგალითი გვიჩვენა. 13 ივნისს მან მოიწვია სარევიზიო კომისიის წევრთა თათბირი. კავშირის ინსტრუქტორი რვა საათის განმავლობაში ესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს რევიზია. თათბირმა გაარჩია წესდება და იმსჯელა სოფლად მომჭირნეობის გატარების შესახებ. ასეთი თათბირის შემდეგ სარევიზიო კომისიის წევრებმა ბევრი რამ შეითვისეს და სარევიზიო მუშაობა მათთვის უფრო გასაგები გახდა".

ჩვენი ღვინოები რუსეთის ბაზარზე

ვენახების სივრცით და ღვინოების ხარისხით მთელ საბჭოთა კავშირში უპირველესი ადგილი საქართველოს უჭირავს. მევენახეობას და მეღვინეობას სათავეში უდგანან ჩვენი სახალხო მამულები; სახალხო მამულების ტრესტის ვენახები და საუკეთესოდ მოწყობილი ღვინის სარდაფები ყველას ყურადღებას იპყრობს; გლეხობა იქ დიდ მისაბაძ მაგალითს ხედავს. მამულების ტრესტის გამგეობა სისტიკათ ავალებს მამულებში მომუშავეებს დაეხმარონ გლეხებს და ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ მევენახეობასა და მეღვინეობაში.

ღვინის გასაღების საქმეს სახალხო მამულების გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს; მამულებში მიღებულ ღვინოების გარდა, ტრესტის გამგეობა სცდილობს გლეხების ღვინოებსაც მოუპოვოს ფართო ბაზარი.

ჩვენი ღვინოების საუკეთესო და ფართო ბაზარი არის საბჭოთა კავშირი, სახელდობრ რუსეთი; დიდი ქალაქებიდან ყველაზე მეტ ღვინოს ხარჯავს მოსკოვი; მოსკოვში არის ღვინის აუარებელი საწყობები, მაღაზიები; მოსკოვიდან ღვინოები რუსეთის სხვა ადგილებშიაც ბლომათ გააქვთ. ამისათვის არის, რომ მეღვინეობის ქვეყნებიდან ბევრი იტანება მოსკოვის ბაზარს ღვინოების გასასაღებლათ.

ჩვენი ღვინოების გასაღება მოსკოვის ბაზარზე წინათ არ იყო შესაფერისად მოწყობილი და შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა; მუშტარს იშოვიდენ და აქედან უგზავნიდენ ღვინოებს, მაგრამ ამნაირის წესით ნაწარმოებისათვის ბაზრის მოპოვება ძნელია.

სახალხო მამულების ტრესტმა საკმაოდ მტკიცე პოზიციები დაიჭირა მოსკოვის ბაზარზე: მას უკვე აქვს მოსკოვში საუკეთესო ალაგზე სხვადასხვა საუკეთესო ღვინოების საწყობი და ადგილობრივათ სწარმოებს ბოთლებში ღვინოების ჩამოსხმა.

საქართველოს სახალხო მამულების ტრესტის გამგეობა რუსეთის ბაზარზე თვითონ აწოდებს საუკეთესო ხარისხის ღვინოებს: ტრესტის გამგეობის უპირველეს მიზანს შეადგენს სწორედ ის მიაწოდოს მომხმარებელს, რასაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ბუნებრივი პირობები იძლევიან. ამგვარათ ჩვენი ღვინოები უსათუოდ დაიპყრობენ რუსეთის ბაზარზე შესაფერის ალაგს. ტრესტის გამგეობა თანდათან გააფართოვებს ღვინის გასაღების საქმეს რუსეთის სხვა უდიდეს ქალაქებშიაც.

ბ. ქ.

სახ. მამულების ტრესტში

ნამყენი და საძირეები

სახალხო მამულების ტრესტის გამგეობამ დაათვალიერა სახალხო მამულები ქართლში „სკრა" და „მერეთი". მამულებში დამზადებულია ხეხილის დიდძალი ნამყენი და საძირეები; ხეხილის მოსავალს კარგი პირი უჩანს. გამგეობამ მოიწონა ნამუშევარი, საგაისოდ ბევრად მეტი დამზადდება ხეხილის ნამყენი.

ტრესტის ღვინოები მოსკოვის ბაზარზე

მოსკოვში უკვე გახსნილია სახალხო მამულების ტრესტის ღვინის საწყობი და მაღაზია. რუსეთის ბაზრის გამოსაცნობად ტრესტმა მოსკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში მიავლინა ხელკინეიძის ინსპექტორი.

ღვინის დასამუშავებელი მანქანები

სახალხო მამულების ტრესტმა თბილისის და წინანდალის ღვინის სარდაფებისათვის შეიძინა გაუმჯობესებული პასტერიზატორები; პასტერიზატორები ადგილობრივმა მუშებმა უკვე აამუშავეს. მუშებმა უკვე შეისწავლს ამ რთული აპარატის ხმარება.

ვენახების და სანერგეების მდგომარეობა

სახალხო მამულების ვენახები და სანერგეები გამგეობის განკარგულებით დაათვალიერა მევენახეობის ინსპექტორმა. ვენახები და სანერგეები ყველგან რიგიანად არის დამუშავებული. წამლობა წელს წვიმების გამო უფრო მეტჯერ დარჩა საჭირო. მოსავალი საღი იქნება. ნამყენი ვაზი დიდძალია დამზადებული.

შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის

შრომის კომისარიატის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენს, თავისი სანიტარულ და ტეხნიკურ სექციების საშუალებით, გამოარკვიოს შრომის პირობების მავნე მხარეები წარმოებაში და გამოიმუშაოს სათანადო ზომები შრომის პირობების გასაჯანსაღებლად და მუშების ტრავმატიზმის (დაშავების) ასაცილებლად წარმოებაში.

ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო შრომის პირობების ზედმიწევნით გამოკვლევა მეცნიერულ-ლაბორატორიული საშუალებებით, რისთვისაც შრომის კომისარიატმა უკვე გადადგა შესაფერი ნაბიჯები: შეიძინა სხვადასხვა იარაღები.

შრომის კომისარიატი ფიქრობს დაუკავშიროს ეს მუშაობა პროფესიონალურ სნეულებათა პოლი-კლინიკას, რომლის გახსნა განზრახულია მოკლე ხანში.

ამჟამად შრომის კომისარიატის ლაბორატორია, იმ მცირე საშუალებებით და იარაღებით, რომელიც მას მოეპოვება, უკვე აწარმოებს გამოკვლევებს წარმოებებში. გამოკვლეულია შრომის პირობები ტალახით და გოგირდის წყალით სამკურნალოში. გამოკვლევის დროს პირველად იქნა, ჩვენში, ხმარებული ინგლისელ ფიზოლოგის პროფ. ხილის ახალი ჰიგიენური მეთოდი.

ეხლა ლაბორატორია შეუდგა თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში ნიკოტინის რაოდენობის გამოკვლევას; ამგვარსავე გამოკვლევას მოახდენს ლაბორატორიის პერსონალი, აფხაზეთის თამბაქოს მრეწველობაშიაც.

გარდა ამისა ლაბორატორია ამზადებს იარაღებს ქსანის კრამიტის ქარხანაში და სპილენძის სატკეც ქარხანაში ნახშირ-ჟანგის გამოსაკვლევად. გამოკვლევების შედეგების მიხედვით იქნება გამომუშავებული შესაფერი ზომები შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

სატყეო მრეწველობა

150 ათასი მანეთი აჭ. ტყეების საექსპლოატაციოდ

აჭარისტანის ტყეების საექსპლოატაციოთ გადადებულია 150 ათასი მანეთი. ეს თანხა ტყის მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის შემდეგნაირად არის განაწილებული: ხე-ტყის სახერხი ქარხნის საბრუნავ თანხების გასაძლიერებლად—15 ათასი მანეთი, საკასრე ქარხნის საბრუნავ თანხების გასაძლიერებლად—30 ათასი მანეთი, ფანერის ქარხნის საბრუნავ საშუალებების გასაძლიერებლად, ხელახლა მოსაწყობად, მანქანების შესაძენად და დასადგმელად—105 ათასი მანეთი.

რაჭის ტყეების ექსპლოატაცია

ამჟამად რაჭის სატყეო აგარაკებში და ხეტყის ქარხნებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. რაჭის სამაზრო აღმასკომს გარდა ადგილობრივი ქარხნებისა, ხე-ტყის სახერხი ქარხანა აქვს ქუთაისში, სადაც მუშავდება რაჭის სატყეო აგარაკებიდან ტივებით ჩამოტანილი ხე-ტყე. ამჟამად ყოველდღიურად ქუთაისში მოდის რამოდენიმე ტივი.—საშუალოდ ყოველ კვირაში ჩამოდის 30—35 ტივი. ხოლო ქარხანა ყოველ კვირაში ამუშავებს 180 მერქანს ანუ ყოველდღიურად 1000 კუბიკურ ვერშოკს. თვით მაზრაში მთავარი მუშაობა სწარმოებს სადმულის სატყეო აგარაკში, საიდანაც მერქანები მოაქვთ რიონის პირად. აქედან კი ტივებად შეკრული ხეები ჩამოაქვთ ქუთაისში.

ლუხუნის სატყეო აგარაკიდან—ხე-ტყის რიონამდე ჩამოცურება ხდება მდ. ლუხუნზე, რომელიც რიონს ერთვის სოფელ ნესის მახლობლად.

ჩვენი მრეწველობა

ინვალიდების თამბაქოს ფაბრიკა ქუთაისში

ქუთაისის ინვალიდთა კავშირის ფაბრიკა უკანასკნელ ხანებში მუშაობს დრო გამოშვებით. მიზეზი ამისა ის არის, რომ ფაბრიკას აღარ მოეპოვება ბობინები, რომლის რაოდენობა ისე განსაზღვრულია, რომ ორ კვირას თუ იკმარებს. ფაბრიკის გამგეობამ ბობინები ვერ იშოვა ვერც თბილისში და ვერც ბათომში. თამბაქოთი ქარხანა უზრუნველყოფილია 3 თვის განმავლობაში. ფაბრიკა მარტო მესამე ხარისხის პაპიროსს ამზადებს ყოველდღიურად 60.000 ცალს. ქუთაისის სამაზრო გლეხკომის კოლოფების ქარხნისაგან ფაბრიკამ შეიძინა 5 ათასი მანეთის პაპიროსები ჩასაწყობი კოლოფი.

ოზურგეთის ტყავის ქარხანა

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა გააფართოვოს ტყავეულობის ქარხანა, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაცემული აქვს კომუნალურ განყოფილებას. ფაბრიკა ამჟამად 60%-ით აკმაყოფილებს ადგილობრივ ბაზრის საჭიროებას. აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს ქარხანა იმდენად გააფართოვოს, რომ სავსებით დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოთხოვნილება. ამ მიზნით სამაზრო აღმასკომმა, შუამდგომლობა აღძრა ქარხნის საბრუნავ თანხების გასაძლიერებლად მიეცეს ქარხანას გძელვადიანი სესხის სახით 10 ათასი მანეთის დახმარება.

დავეხმაროთ გაფიცულ მემაღაროელებს

ინგლისელი მემაღაროელები გულითად მადლობას მიუძღვნიან საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს გამოგზავნილ დახმარებისათვის. მოგიწოდებთ თქვენ კვლავ დაგვეხმაროთ, რაც შეიძლება ჩქარა, რადგან მთავრობა და მაღაროს მეპატრონენი ცდილობენ სიმშილით გვაიძულონ მოვიხაროთ ქედი.

სმიტი, რიჩარდსონი, კუკი

(დეპეშა საკავშირო პროფსაბჭოს სახელზე).

—:—

„ინგლისის მემაღაროელები იბრძვიან არა მარტო საკუთარ ინტერესებისათვის, არამედ მთელი ევროპის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის".

(ინგლის—საბჭოთა გაერთიანებული კომიტეტის მოწოდებიდან).

—:—

ამხანაგებო! თვითეული თქვენგანის მიერ შემოწირული კაპიკი რისხვაა მაღაროს მეპატრონეთათვის, ჩვენთვის კი სიმხნევე და სიმაგრე ბრძოლისათვის. ნუ დაიშურავთ დახმარებას!.....



ამ სურათის ჰონორარი შემაქვს გაფიცულ მემაღაროელების დამხმარე ფონდში.

მხატვ. დონი—(ნაცვლიშვილი).

—:—

ამხანაგ „ხოზიკა"-ს გამოძახების თანახმად შეგვაქვს ინგლისის მემაღაროელთა დამხმარე ფონდში ხუთ-ხუთი მანეთი და ვიწვევთ ყველა „ახალგზელებს" გადმოგზავნონ თავისი წვლილი კომუნისტის რედაქციაში.

ლ. კუპრაშვილი.
კ. სულაქველიძე.

პატიმრები ეხმარებიან გაფიცულ მემაღაროელებს

სპეციალურ დანიშნულების იზოლიატორში (ყოფ. მეტეხი) კულტკომისიის ხელმძღვანელობით შესდგა პატიმართა საერთო კრება.

კრებაზე პატიმართა წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება ინგლისის მაღაროს მუშების გაფიცვის შესახებ და გააცნო დამსწრე პატიმრებს ის მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან გაფიცულები; მან მოუწოდა პატიმრებს დახმარებოდენ გაფიცულებს, კრება ამ მოწოდებას მხურვალე თანაგრძნობით შეხვდა.

კამპანიის ჩასატარებლად არჩეულ იქნა სპეციალური კომისია თვით პატიმრებისაგან.

კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. მას განზრახული აქვს ფასიანი კინოს მოწყობა იზოლიატორში ამ კინოს მთელი შემოსავალი გადაეგზავნება გაფიცულებს. გარდა ამისა, პატიმართ სურთ ურთი-ერთ შორის მოაწყონ შემოწირულებათა შეგროვება ამავე მიზნით. პატიმრებს განზრახვა აქვთ ქალაქის რომელიმე საკრებულოში მოაწყონ ამერიკული აუქციონი, სადაც გათამაშებულ იქნება პატიმრების ნაწარმოებნი (სხვათა შორის პურისაგან გაკეთებული მე-

პატიმართა შორის გაფიცულთა დახმარების ტეხის მოდელი).

48.000 მან. საქ. მუშებისაგან

ინგლისის სამთა-მადნო მუშების დასახმარებლად საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში 30 ივლისამდე შემოვიდა 48.000 მანეთი. ეს თანხა შეგროვებულია საქ. პროფკავშირების წევრთა შორის. აღნიშნული თანხა პროფსაბჭომ გადაგზავნა მოსკოვში საკავშირო პროფკავშირთა საბჭოში ინგლისში გადასაგზავნად.

სატყეო მრეწველობის მუშაკთა ყრილობა

მეხუთე დღე

კამათი მოხსენებების გარშემო

30 ივლისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი სატყეო მრეწველობის ტრესტის მოქმედების გარშემო. ადგილობრივი მუშაკები აღნიშნავდენ, რომ ტრესტი ვერ აძლევს საკმაო თანხებს ადგილობრივ ხე-ტყის დასამზადებლად და საერთოდ სატყეო წარმოების ნორმალურ მუშაობის საწარმოებლად. ამავე დროს ტრესტის მუშაკნი საყვედურს გამოსთქვამდენ, რომ სატყეო რაიონები დიდი მადის გამო არ კმაყოფილდებიან ტრესტის მიერ გაღებულ თანხებითო. საერთოდ კამათიდან გამოირკვა, რომ ადგილებს ნაკლები წარმოდგენა აქვთ ტრესტის ნამდვილ მდგომარეობაზე,—და პირიქით—არც ტრესტს აქვს საკმარისი ცნობები თავისი რაიონების მუშაობის შესახებ.

კამათმა და აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ცხადჰყო აგრეთვე, რომ ტრესტის წარმომადგენლებს ერთი მხრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციებსა და შრომის დაცვის ორგანოებს შორის მეორეს მხრივ ადგილი აქვს დიდ გაუგებრობას და უთანხმოებას. პროფკავშირების წარმომადგენლებს მოჰყავდათ მრავალი მაგალითები ადგილებზე შრომის კანონმდებლობის, სოციალური დაზღვევის ნორმების, დარღვევის და მუშათა ცხოვრების უვარგისი პირობების შესახებ სამუშაოებზე ან სხვა. პროფკავშირთა წარმომადგენლების საპასუხოთ ტრესტის და მისი რაიონების მუშაკები აცხადებდენ, რომ კავშირები მათ ურდგენდენ ყოვლად მიუღებელ მოთხოვნილებებს.

კამათის დროს ბევრი ითქვა აგრეთვე ხეტყის დასამზადებელი ოპერაციების ნაკლულოვანებებზე, ტრესტის კომერციული საქმიანობის გაუმჯობესების საჭიროებაზე და სხვა.

კამათის დროს გამოთქმულ შენიშვნებს და მოსაზრებებს თავის საბოლოო სიტყვაში დასკვნა გაუკეთა ტრესტის გამგე—ამხ. **ნ. კიკნაძემ**. იგი ვრცლად შეეხო ყრილობაზე წამოჭრილ საკითხებს და გამოსთქვა მტკიცე იმედი, რომ ყველა შემჩნეული ნაკლულოვანებანი,აგრეთვე ამჟამად არსებული გაუგებრობანი და უთანხმოებანი აღმოფხვრილი იქნებიან ყველა იმ უწყებების და ორგანიზაციების საერთო ღონისძიების საშუალებით, რომელიც დაინტერესებულნი არიან ჩვენი სატყეო მრეწველობის განვითარებით და აყვავებით.

ტრესტის საწარმოო პროგრამა 1926-27 წლისათვის

(მომხსენებელი ამხ. ჩხეიძე)

გუშინ საღამოს სხდომაზე ამხ. ჩხეიძემ ყრილობას გააცნო ტრესტის საწარმოო პროგრამა და საფინანსო ხარჯთაღრიცხვა 1926-27 წლისათვის. ამ ხარჯთაღრიცხვით განზრახულია 1926-27 წლისათვის ხე-ტყის დასამზადებელ ოპერაციებზე დაიხარჯოს 7.200.000 მანეთი. საერთო-საადმინისტრაციო ხარჯებისათვის გათვალისწინებულია—315.000 მანეთი; სავაჭრო ხარჯები განსაზღვრულია 328.000 მანეთით; გადასახადები და პროცენტები კაპიტალზე შეადგენენ—325 ათას მანეთს.

1926-27 წლის საწარმოო პროგრამაში შეტანილია მთელი რიგი სააღმშენებლო სამუშაოები. პროგრამით განზრახულია ხე-ტყის სახერხი ქარხნების აგება-მოწყობა—მცხეთაში, ბაღდათში, ფოთში; განზრახულია აგრეთვე ახალი საკასრე ქარხნის აგება ახმეტაში.

ყველა ამ სააღმშენებლო სამუშაოებზე განზრახულია დაიხარჯოს 2.372.000 მანეთი. 1926—27 წლისათვის ტრესტის მოგებად ნავარაუდევია 740.000 მანეთი.

გზატკეცილები

გზატკეცილის გაყვანა თუშეთში

გზატკეცილების სამმართველომ თუშეთში გაგზავნა ტეხნიკური კომისია ინჟ. **ჩხეიძის** ხელმძღვანელობით. კომისიას დავალებული აქვს მოახდინოს მთიან თუშეთში მიმავალი ბილიკების გამოკვლევა და შეადგინოს გზატკეცილის გაყვანის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. თუშეთში გზატკეცილის გაყვანა გადაწყვეტილია საქართველოს ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით. უკანასკნელ დრომდე თუშეთი მოკლებულია სრულიად უბრალოდ მოწყობილ გზას. თუშეთის მთებში და საძოვრებზე მიმავალი ბილიკები ძალიან სახიფათო და საშიშია მოგზაურობისათვის. ყოველწლიურად თუშეთის ბილიკებზე იღუპება—ნაპრალებში სცვივა დიდძალი ცხვრის ფარა, ცხენები და ზოგიერთ შემთხვევაში მწყემსები. უგზოობის გამო სრულიად უსარგებლო და გამოუყენებელია თუშეთის მეტად მდიდარი საძოვრები, რომლის სივრცე 40 ათას დესეტინას აღემატება. თუშეთის გზატკეცილის გაყვანას დიდი მნიშვნელობა აქვს კიდევ იმ მხრივ, რომ გზატკეცილის გაყვანის შემდეგ შესაძლებელი გახდება ექსპლოატაცია ტყეების და მადნეულობის, რომლითაც ეს კუთხე უხვათ არის დაჯილდოვებული.

ხიდები

ახლად გაყვანილ ახალციხის გზატკეცილზე დიდი ხიდის ბურჯების ამოყვანა უკვე დამთავრებულია. აჭარისტანის ვაჭრობა - მრეწველობის საპაიო ამხანაზე სოფელ ამბროლაურთან (რაჭის მადის ფერმების დამზადება და აწყობა უკვე დაამთავრა და მოკლე ხანში გაიგზავნება ადგილზე. ხიდის სიგრძე უდრის 10 საჟენს. ხიდის აგება (მხოლოდ მუშაობა, მასალის ღირებულების გამოკლებით) დაჯდა 6 ათასი მანეთი.

ამჟამად მიმდინარეობს აგრეთვე მუშაობა დიდი ხიდის ასაგებად მდ. რიონზე სოფელ ამბროლაურთან (რაჭის მაზრა). ქვის ბუსკების ამოყვანა უკვე დამთავრებულია. ხიდი ხის მასალისაგან კეთდება. სიგრძე ხიდისა უდრის—40 საჟენს. ხიდის ასაგები თანხა—65 ათასი გობის თუჯის ჩამომსხმელმა ქარხანამ ხიდის აგება დამთავრდება ნოემბრის შუა რიცხვებში.

ბათომ - ახალციხის გზატკეცილი

ივლისის შუა რიცხვებში 5 რკინის ხიდის კაპიტალური რემონტი გაკეთდა. ახალციხის გზატკეცილის სხვადასხვა პუნქტებში. გზატკეცილი მოტკეპნილია ბათომიდან 5 ვერსის მანძილზე. 45-თე ვერსზე ბათომიდან შენდება ჯებირი გზატკეცილის დასაცავად მდ. აჭარისწყალისაგან; გაწმენდილია აგრეთვე გოდერძის საუღელტეხილო უბანი მიწის ზვავებისაგან. ამჟამად გზატკეცილი მთელი 118 ვერსის მანძილზე სავსებით წესიერ მდგომარეობაშია.

სესხი კოოპერატივებს
რომელ კოოპერატივებს და რამდენი მიეცა სესხი

საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს კოოპერატიულ საბჭოს მიერ წარდგენილი გეგმა სახელმწიფო გრძელვადიან სესხის განაწილებისა.

ამ გეგმით, ცეკავშირში შემავალ კოოპერატივებს სულ მიეცემათ 85.786 მან. ეს თანხა განაწილებულ იქნა იმ კოოპერატივთა შორის, რომელთაც შარშან არ მიუღიათ სესხი.

სესხის მიმღები კოოპერატივები განაწილებულნი არიან სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიან ისეთი კოოპერატივები, რომელთა ბალანსები ლიკვიდურია; მეორეში მოქცეულნი არიან ისეთი კოოპერატივები, რომელნიც დაარსდენ ამა თუ იმ რაიონში, იქ წინად არსებული და ლიკვიდაცია ქმნილ კოოპერატივის ნაცვლად; მესამეში კი შედიან სუსტი კოოპერატივები, რომლებიც მოითხოვენ გაჯანსაღებას.

პირველ ჯგუფში შედიან შემდეგი კოოპერატივები და მათ შორის სესხი განაწილებულია ამგვარად: ალბულაღის კოოპერატივს—1.800 მან., დიღომის—500 მან., წავკისის—600 მან., გომის—1.800 მან., კავთის ხევის—700 მ., ზემო-ალვანის—1.600 მან., ზინობიანის—1.700 მან., ქვემო მაჩხანის—1.700 მან., ანაგის—1.000 მან., გურჯაანის—5.000 მან., [illegible]—1.000 მან., ბაშკიჩეთის—1.700 მან., სარვანის—2.000 მან., ალასტანის—500 მან., ბარალეთის—[illegible] მან., ბოგდანოვკის—500 მან., წყალტუბოს—1.000 მან., კარზახის—500 მან., ეშტიის—500 მან., შეიტნარის—2.000 მან., ორპირის—1.200 მან., სვირის—1.000 მან., ამბლოლაურის—1.000 მან., [illegible]—2.400 მან., ჯუმათის—4.000 მან., ზემო-თავხურეთის—1.000 მან., [illegible]—1.000 მან., კიწის—1.000 მან., [illegible]—1.000 მან., ახალ ხიბულის—3.100 მან., [illegible]—3.100 მან., ახუთის—1.000 მან., [illegible]—2.900 მან., სულ 49.400 მან.

მეორე ჯგუფში შედიან შემდეგი კოოპერატივები და მათ შორის სესხი ასეა განაწილებული: მეჯვრისხევის—2.000 მან., ფხვენის —[illegible]—1.900 მან., ტყვიავის—1.000 მან., სულ [illegible] მან.

მესამე ჯგუფის [illegible]: ბაღდათის და მას მიცემული აქვს [illegible]—2.336 მან., [illegible]—1.000 მან., [illegible]—1.000 მან., ახალ-სოფლის—1.000 მან., გორის—5.600 მან., ზესტაფონის—2.000 მან., [illegible]—1.500 მან., ამაღლების—1.500 მან., [illegible]—1.500 მან., ლანჩხუთის—1.500 მან., [illegible]—1.000 მან., ხეთის—2.000 მან., დუშეთის—2.650 მან., ოზურგეთის—2.000 მან. და ზემო სვანეთის—2.000 მან. სულ 27.386 მან.

სესხის მიღებისას თითეულ კოოპერატივს საქკავშირს უნდა წარუდგინოს მოხსენება თავის ორგანიზაციის მდგომარეობის და საქმიანობის შესახებ.

ექსკურსიებში
ბორჯომ-ბაკურიანში

დღეს საღამოს სრულ 5 საათზე ბორჯომში მიდის სპეციალური საექსკურსიო მატარებელი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ ბორჯომის ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 350 კაცი.

ექსკურსიის ხელმძღვანელად და ლექტორად მოწვეულია პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი.

კვირას ექსკურსანტები ჩავლენ ბაკურიანში, საღამოს კი დაბრუნდებიან ბორჯომში, საიდაც დარჩებიან თბილისში გამომგზავრებამდე.

მცხეთაში

მასიური ექსკურსია 500—600 კაცის შემადგენლობით მცხეთაში მიემგზავრება კვირას დილის 8 საათზე 55 წუთზე სპეციალური მატარებლით.

ექსკურსიას გაყვება პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ მოწვეული პროფ. ხიზანიშვილი.

ექსკურსანტები მცხეთაში და მის შიდამოებში დარჩებიან საღამომდე.

ბათომში

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი აწყობს ჯგუფურ ექსკურსიას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 60 კაცი.

ექსკურსანტები მიემგზავრებიან დღეს საღამოს.

ექსკურსიის ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. სადოვსკი.

კოჯორში

ექსკურსანტების ერთი ჯგუფი კვირა დილით მიემგზავრება კოჯორში. ექსკურსიას აწყობს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი.

ჭიათურაში

რკინისგზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტი აწყობს რკინისგზელთა ექსკურსიას ჭიათურაში.

ექსკურსიის მიზანია ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის გაცნობა.

სამხედრო გზაზე

ექსკურსანტების ცალკე ჯგუფები მიემგზავრებიან საქართველოს სამხედრო გზაზე.

შემდეგი მასიური ექსკურსიები გაიმართება 15 აგვისტოს.

ნაწლავების გადამუშავება

თბილისის ალმასკომს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული „ზაკუტილსირიე"-სთან, რომლის ძალით ქალაქის სასაკლაოზე დარჩენილ ნაწლავების დამუშავებას და რეალიზაციას აწარმოებდა სააქციო საზ-ბა „ზაკუტილსირიე".

ხელშეკრულების ვადის გათავების გამო, „ზაკუტილსირიე"-მ შუამდგომლობა აღძრა თბილისის ალმასკომის წინაშე, რომ ისევ მას გადაეცეს დასამუშავებლად და სარეალიზაციოთ ნაწლავები; თბილისის ალმასკომმა ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან თვითონ მას სურს მოაწყოს ნაწლავების დამუშავება და რეალიზაცია.

ეს საკითხი განსახილველად და დასკვნისათვის გადაეცა საქართველოს საგეგმო კომისიას. საგეგმო კომისიის სამრეწველო - სამშენებლო სექციამ ამ დავის გადასაწყვეტად გამონახა კომპრომისული წინადადება, რომლის ძალით ნაწლავები დასამუშავებლად და სარეალიზაციოდ უნდა გადაეცეს „ზაკუტილსირიე"-ს, ხოლო ამ უკანასკნელმა აქციონერად უნდა მიიღოს თბილისის ალმასკომი, რომ ეს უკანასკნელიც მონაწილეობას იღებდეს ნაწლავების გადამუშავებასა და გასაღებაში.

კომუნალური აღმშენებლობა
თელავის მაზრაში

ამას წინეთ შინ. საქ. სახ. კომისარიატის კომუნალურმა განყოფილებამ თელავის მაზრაში მიავლინა ინჟ. აბაშიძე შრომითი საგზაო ბეგარის ჩასატარებლად.

თელავის ალმასკომის დავალებით, გარდა შრომითი საგზაო ბეგარის ჩატარებისა, ამხ. აბაშიძეს მოუხდენია სხვა სამაზრო მნიშვნელობის გზების დათვალიერება-შემოწმება და სხვა.

გარდა ამისა შედგენილია გეგმა და ხარჯთაღრიცხვა სოფ. შრომაში სარეკტიფიკაციო ქარხნის ასაგებათ, თელავის სასაკლაოს გასაფართოებლათ, ქალაქის ქუჩების გასამშვენიერებლათ და სხ.

გადაწყვეტილია გზების შეკეთება თელავ-ნაფარეული-ალვანის მიმართულებით და თელავი-ახმეტის მიმართულებით. ამჟამად აგებენ ხიდს უჯარმის ხევში სოფ. ახალსოფელთან. ხიდის აგება ჯდება 4.250 მან.

ინჟ. აბაშიძის მეთაურობით მოხდა აგრეთვე მაზრაში არსებულ სასოფლო წყალსადენების დათვალიერებაც.

წიგნების ბაზარზე

ამიერ - კავკასიის შინა - ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა წიგნების ბაზრის მოწესრიგების საკითხი.

თათბირზე გამოირკვა, რომ საგამომცემლო პროგრამების შემცირების და ამიერ-კავკასიაში საჭირო სახელმძღვანელოების რუსეთიდან შემოტანის მოწესრიგების მიზნით, ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია, თუ როგორი და რამდენი სახელმძღვანელოებია საჭირო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის.

თბილისის წიგნის ბაზარი ამჟამად მოუწესრიგებელია. სახელმძღვანელოების შემოტანა რუსეთიდან სწარმოებს უგეგმოთ, ეს სახელმძღვანელოები არ არის შეფარდებული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სკოლების მოთხოვნილებებთან.

ეს აიხსნება იმით, რომ აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატებს აქამდე არ წარუდგენიათ არც რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის თბილისის განყოფილებაში და არც ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში ცნობები მათთვის საჭირო სახელმძღვანელოების შესახებ.

შინა - ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილ სპეციალურ კომისიას დავალებული ჰქონდა ამ საკითხის მოგვარება, მაგრამ ვინაიდან რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებმა დააგვიანეს გეგმის წარდგენა, კომისიამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი გააკეთა.

დასასვენებელ სახლებში
ვის შეუძლია დაისვენოს

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ და რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველომ თავის დროზე განუმარტა ყველა პროფკავშირებს და სამაზრო პროფბიუროებს, რომ დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი უნდა ყოფილიყვნენ დასასვენებლად მხოლოდ მუშა-მოსამსახურეები გარდა წაღვერის და მცხეთის დასასვენებელი სახლებისა, სადაც მათთან ერთად შეიძლებოდა ბავშვიანი ქალების გაგზავნაც. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები სამ წელზე მეტის არ არიან. სინამდვილეში კი დასასვენებელ სახლებში როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს მიჰყავთ ბავშვები არა მარტო სამ წლამდე, არამედ 5 და 10 წლამდე, ხოლო იყო შემთხვევა, რომელსაც დამსვენებელმა თან მოიყვანა შვილიშვილი და ერთ შემთხვევაში დედ-მამა.

ცხადია, რომ ასეთ დამსვენებელს, რომელიც ნათესავებით მიდის დასასვენებელ სახლში, ეს უკანასკნელი არ მიიღებს და ამიტომ ის იძულებულია უკან გაბრუნდეს, რაც ერთის მხრივ იწვევს უკმაყოფილებას, მეორეს მხრივ კი მიუღწეველი რჩება დასასვენებელი სახლის მიერ დასახული მიზანი, ვინაიდან დამსვენებელი კარგავს უფლებას ისარგებლოს დასასვენებელი სახლით.

ყოველგვარი გაუგებრობის და არა ნორმალობის თავიდან აცილების მიზნით სოციალური დაზღვევის სამმართველომ და პროფსაბჭომ წინადადება მისცა ადგილებს, რომ მეტი ყურადღება მიექცეს მუშა-მოსამსახურეების დასასვენებელ სახლებში გაგზავნის საკითხს და განუმარტოს მუშა-მოსამსახურეებს, რომ ვინც არ შეასრულებს დასასვენებელ სახლებში მიღების წესებს, დაუყონებლივ უკანვე იქნება გამოგზავნილი.

ძვირფასი კულტურები

აფხაზეთის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს გაავრცელოს [illegible] მცენარის—რამის (ჩინური ჭინჭარის) კულტურა. ამ მიზნით სწარმოებს მდინარე [illegible] წყლის გაწვრივ მდებარე ჭაობიანი ადგილების შრობა. ეს ადგილები, რომლის საერთო სივრცე 1000 დესეტინას აღემატება, ამოშრობის შემდეგ გადაეცემა ადგილობრივ გლეხებს. რამის და ახალზელანდიური [illegible].

[illegible] მცენარეების კულტურა

ახალშენის საბჭოთა მამულმა მოაწყო დიდი ყვავილნარი ოთხი განყოფილებით სხვადასხვა [illegible] მცენარეების კულტურისათვის. [illegible] ახალშენის ყვავილნარში დამზადებულ იქნა მაღალი ჯიშიანი ვარდის ბუჩქის 4.300 ნამყენი.

ბათომიდან მოსული ცნობებით მწვანე კონცხის ყვავილნარებში ვარდის ბუჩქებს, მიხაკის მცენარეებს და მაგნოლიის ხეებს გაუჩნდათ [illegible], რომელიც საშინლად, აფუჭებს ყვავილებს და ფოთლებს.

მანდარინის სანერგეები

[illegible] საბჭოთა მამულმა ჩაქვში მაისს-ივნისში დაამზადა 6.000 მანდარინის ნამყენი. ამჟამად საბჭოთა მამული აწყობს დეკორატიულ მცენარეთა სანერგეს.

ქრონიკა

ამხ. ლაკობას ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნესტორ ლაკობა.

„კომეტა № 3"

გუშინ თბილისში მოფრინდა სააქციო საზ-ბა „უკრვოზდუხპუტ"-ის ჰაეროპლანი „კომეტა" № 3, რომელმაც ჩამოიყვანა აღნიშნული საზოგადოების დირექტორი ამხ. იუნგმეისტერი და საჰაერო ხაზის კავკასიის კვანძის უფროსი ამხ. გიევსკი.

„კომეტა" № 3 მართავს მფრინავი ამხ. ბუობი და მექანიკოსი ამხ. მატროხოვი.

მათი ჩამოსვლა დაკავშირებულია საჰაერო ხაზის მოწყობასთან ბაქო თეირანს შორის.

ქაღალდის ქარხნის საკითხი

ს. მ. უ. საბჭომ დაასრულა ქაღალდის ქარხნის პროექტის შედგენა.

არსებობს სხვადასხვა ვარიანტი ქაღალდის ქარხნის ასაგებად.

ს. მ. უ. საბჭო ამჟამად აწარმოებს მუშაობას სათანადო ადგილის ასარჩევად, რის შემდეგ მიღებული იქნება ზომები პროექტის ცხოვრებაში განსახორციელებლად.

ამხ. კაპილიანსკის გამგზავრება

ამხ. კაპილიანსკი, რომელიც მოსკოვიდან ჩამოვიდა ცენტრის მოსაწყობი ქარხნის ადგილის შესარჩევად, გუშინ გაემგზავრა კავთისხევში.

ამხ. კაპილიანსკი გაეცნობა, თუ რამდენ ხელის შემწყობი პირობებია კავთისხევში ცემენტის წარმოებისათვის.

შენობები საფოსტო დაწესებულებებისათვის

ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველომ შეიმუშავა გეგმა ამიერ-კავკასიაში მთელ რიგ ახალ შენობების აგებისა საოლქო სამმართველოს კანტორების და განყოფილებებისათვის; ამასთანავე გეგმით გათვალისწინებულია მთელ რიგ, არსებულ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების გადაკეთება.

თბილისის ტელეგრაფი ახალ ბინაზე

ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველომ გადასწყვიტა თბილისის ტელეგრაფი სამხედრო ქუჩიდან, გადაიტანოს თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ კანტორის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტზე). იქვე გადაიტანენ რადიო განყოფილებასაც.

ტელეგრაფის ახალ ბინაზე გადატანის შემდეგ სამხედრო ქუჩაზე განთავისუფლებული შენობა მთლიანად დაეთმობა ტელეფონის სადგურს.

თბილისი—ოდესა

ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველომ თბილის-ოდესას შორის პირდაპირი სატელეგრაფო ხაზის გაყვანის გეგმა გამოიმუშავა.

თბილისის ალმასკომში

— **საბურთალოს გადახალისება.** ალმასკომის პრეზიდიუმს გადაწყვეტილი აქვს ზაფხულში მუშაობის დამთავრების შემდეგ შეუდგეს საბურთალოს გადახალისებას; საბურთალოს გაღმა-გამოღმა მხარე შეერთებული იქნება ხიდებით, ვერის ხიდიდან გაყვანილი იქნება ტრამვაის ახალი ხაზი, მოწყობილი იქნება წყალსადენი, კანალიზაცია და დაიწყება მუშაობა ტყის მოსაშენებლათ.

— **ქვაფენილი.** პლეხანოვის პროსპექტზე ქვაფენილის დაგება დამთავრდება აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

სხვადასხვა

— **დასასვენებელ სახლებში გაგზავნა.** 1 აგვისტოს დამზღვევი სალარო ახტალასა და წყალტუბოში გზავნის ავათმყოფთა ახალ ჯგუფს.

ჩაუბარებელი დეპეშები

29 ივლისისათვის ტელეგრაფის სამმართველოში დარჩა ჩაუბარებელი დეპეშები:

როსტოვიდან — დონუგოლს, მოსკოვიდან—სიმფონიას, ჩიკაგოდან — მენასოვს, სოხუმიდან — ლუკაშვილს, კარანლუგიდან — დავიდოვს, გორიდან — ელიაშვილს, მოსკოვიდან—რუხაძეს, სიღნაღიდან—ნიკოლაშვილს ზუგდიდიდან—კობახიძეს, მესტიიდან — კირიმლიშვილს, ბაქოდან — სულხანოვს, ქუთაისიდან—ლორთქიფანიძეს.

შემთხვევები
შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა დავით ბახტაძე, რომელმაც სახალხო სასამართლოს მორიგ კამერას მისცა ცრუ ჩვენება. ბახტაძე სამართალშია მიცემული.

ასეთივე ცრუ ჩვენების მიცემისათვის დაპატიმრებულია კონსტანტინე ლოლაძე.

— **ორიგინალური ანდერძი.** ზაჰესზე მომუშავე გაბო ხმიარაშვილი დაიკარგა უკვალოდ, მას დაუტოვებია ბარათი, რომელშიაც სწერს: „ამხანაგებო, მე არ ვიცი სად ვიქნები, მშვიდობით".

— **ქურდი შვილი.** 26 ივლისს, შვილმა გაქურდა შუშინის ქ. მცხოვრები ღიულენ ნაბიკიხი, წაღებულია 300 მან. ღირებული სხვადასხვა ოქროულობა.

— **გვამის პოვნა.** 29 ივლისს, მე-7-ე სამილიციო უბანში აღმოჩენილია მტკვრის პირად გამორიყული უცნობი ქალის გვამი.

— **ცეცხლის გაჩენა.** 29 ივლისს, მადათოვის კუნძულზე ცეცხლი გაუჩნდა საჩიგიანცის ფეხსაცმელების სახელოსნოს, ცეცხლი ჩააქრო ცეცხლის-მქრობელმა რაზმმა.

— **თავდასხმა.** 29 ივლისს, ს. გრდანთან ორი შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა თბილისიდან მიმავალ გლეხებს და წაართვეს მათ 150 მან. ერთი ბოროტმოქმედი შეპყრობილია, იგი აღმოჩნდა გრიშა არჩვაძე.

ხელოვნების ქრონიკა

— **ჟურ. „მნათობი".** გამოვიდა და ურიგდება ხელის მომწერლებს ივნის-ივლისის—მეშვიდე (27) ნომერი. შინაარსი: **გ. ტაბიძე**—კოსმიური ორკესტრი, ლექსი; **კონ. ლორთქიფანიძე**—ხავსი, მოთხრობა; **ლევ. მეტრეველი**—დარღვეული მიწა, მოთხრობა; **მიხ. ზანდუკელი**—გრ. ორბელიანის გამოუქვეყნებელი ლექსები; **ვ. მალაქიშვილი**—სამნი, რომანი (დასასრული); **მიხ. ჯავახიშვილი**—ხუთის ამბავი, მოთხრობა; **უპტონ სინკლერი**—მეფე ნახშირი, რომანი (დასასრული); **ყარიბი**—რევოლუცია და ხელოვნება (გაგრძელება); **შ. დუდუჩავა**—ისევ ფორმალისტური პოეტიკის შესახებ;; **ს. ხუნდაძე**—ეროვნული პრობლემის გარშემო; **ს. ქავთარაძე**—საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; **ბიბლიოგრაფია**—მიხ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელო".

—**„ქართული მწერლობა".** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ საქ. მწერალთა კავშირის ჟურნალი „ქართული მწერლობა" შემდეგი შინაარსით: პროზა—**ნიკო ლორთქიფანიძე**—ეპისკოპოზი ნადირობაზე; **შალვა დადიანი**—ჯადო; **ვ. ბარნოვი**—ნანატრი ნადირი; **სტეფან კასრაძე**—გვართ-სამხილავი, **ლეო ქიაჩელი**—უცნაური მოთხრობები; **ლ. მეტრეველი**—ცხოვრების რადიო; ლექსები—**ს. აბაშელი**—წერილი ნოე ჩხიკვაძეს; **ვალერიან გაფრინდაშვილი**—აუქციონი; **რაჟდენ გვეტაძე**—მერკვილაძის დები; **ნ. ზომლეთელი**—რიფის ბედი; **იასამანი**—ზაფხულში; **კ. ლორთქიფანიძე**—ექსი სიმღერა; **ლ. მაჭავარიანი**—1. გრიგოლ ვეშაპელს, 2. დაცვენილი ხსოვნები; **ი. მოსაშვილი**—დაბრუნებული დარები; **კოლაუ ნადირაძე**—გაზაფხული ტფილისში; **ვ. ჟურული**—ლილი; **ვ. რუხაძე** ქალაქის სამკაული; **ს. ფაშალიშვილი**—სიტყვა ჩემს საუკუნეს; **ნოე ჩხიკვაძე**—ორი ლექსი; **ნ. ჩაჩავა**—პოემიდან: „ყაჩაღები ქალაქს გადასცდენ"; **ს. ჩიქოვანი**—მყინვარი; **გ. ცეცხლაძე**—სპარსული ნოხი, ყალიონი და იალღუზი; **გ. ქუჩიშვილი**—ლექსები: წერილები—**ნ. საქარელი**—ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრიობა; **განი**—დასაყრდნობი წერტილი: **აკაკი პაპავა**—ფრაგმენტი; **ვან-დეიკ**—ნიკო სულხანიშვილი; **კ. დონაძე**—ვარლამ ჩერქეზიშვილი; **ბ. გორდეზიანი**—გრიგოლ ვეშაპელი; **პ. საყვარელიძე**—ფერეიდანის ქართველები; **ტიციან ტაბიძე**—ნატა ვაჩნაძე; **კარლ რადეკი**—უნიადაგონი; **ა. ვორონსკი**—კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიისათვის; დოკუმენტები—**გიორგი ლეონიძე**—აკაკისა და ივანე მაჩაბლის მიწერ-მოწერა.

— **მწერალთა კავშირის ალმანახი.** სექტემბერში გამოვა მწერალთა კავშირის დიდ ტანიანი ალმანახი; ალმანახის პასუხისმგებელი რედაქტორი იქნება ტიციან ტაბიძე. სარედაქციო კოლეგიაში შევლენ ჟურნალ „ქართული მწერლობის" სარედაქციო კოლეგიის წევრნი.

— **შუამდგომლობა.** მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა უცხოეთში სწავლის დასამთავრებლად გასაგზავნ სტიპენდიანტთა შორის ერთი ადგილი დაეთმოს მწერალთა კავშირის კანდიდატს.

— **ნ. ზომლეთელის წიგნი.** სახელმწიფო გამომცემლობა უკვე შეუდგა ბეჭდვას და მოკლე ხანში გამოვა ნ. ზომლეთელის რჩეულ ლექსების კრებული.

— **კონცერტი.** დღეს, 31 ივლისს, პლეხანოვის სახელობის კლუბში, ნაძალადევში, მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდი გამართავს დიდ სახალხო კონცერტს.

საგეგმო კომისიაში
საშემოსავლო გადასახადის შესახებ

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო ძირითადი გადასახადისაგან საშემოსავლო დაბეგვრაზე გადასვლა, რომელსაც საფუძვლად უდევს პროგრესული განაკვეთები.

ვინაიდან უდიდესი ნაწილი გადამხდელთა საშემოსავლო გადასახადით იბეგრება, ამისათვის საჭიროდ და მიზანშეწონილად იქნა ცნობილი პროგრესიული საშემოსავლო წლიური გადასახადით დაბეგვრის შემოღება 1926—27 საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიის 5 ზოლად დაყოფა საჭიროდ იქნა ცნობილი.

გარდა ამისა პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო საშემოსავლო გადასახადის დებულებაში იმ შესწორებათა შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს ხელოსნთა და შინა-მრეწველთა შეღავათებს.

შემცირება ყველა კატეგორიის გადამხდელთათვის არადასაბეგრ მინიმუმისა მისაღებად ჩაითვალა.

ქუთაისის ელსადგური

ს. მ. უ. საბჭოს საქმიანობის მორიგ ამოცანათ სდგას ქუთაისში ჰიდრო-სადგურის დაჩქარებით აგების საკითხი.

გუშინ ს. მ. უ. საბჭომ მოსკოვიდან მიიღო დეპეშა ქუთაისის ჰიდრო-სადგურის პროექტის ხუთი ეგზემპლიარის გადაგზავნის შესახებ.

ს. მ. უ. საბჭომ პროექტი უკვე გადაგზავნა დანიშნულებისამებრ.

მაუდის ქარხანა

მაუდის ქარხნის პროექტი დამტკიცებულ იქნა ცენტრის მიერ.

პროექტი შედგენილია პროფ. **სუვოროვის** მიერ.

მიღებულია ზომები ქარხნისათვის საჭირო მანქანების შესაძენად.

ამჟამად ინტენსიური მუშაობა სწარმოებს აგრეთვე საჭირო მასალების შესაძენად.

ს. მ. უ. საბჭო ამ ახლო ხანში შეუდგება შენობების საძირკვლის ჩაყრას.

ერბო-ყველის ქარხანა

ადგილობრივ ახალ წარმოებების პროექტის შესადგენათ სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო 7.000 მანეთი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალა სათანადო პროექტების შედგენა.

პირველ რიგში აგებული იქნება ერბო-ყველის დასამზადებელი ქარხნები ყაზბეგსა და ახალ-ქალაქის რაიონში.

ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია ქარხნების ასაგებ ადგილების პირობების შესასწავლად. ეს მუშაობა კომისიის მიერ უკვე ჩატარებულია ყაზბეგში. გუშინ კომისია გაემგზავრა ახალ-ქალაქის მაზრაში.

ეკონომიურ საბჭოში
სესხი სახმელვაჭრობას

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო სახმელვაჭრობისათვის, მისი წარმოების გასაფართოებლად, 100.000 მან. კრედიტის მიცემა საკრედიტო დაწესებულებათა საშუალებით.

მე-4 კვარტალის საკრედიტო გეგმა

წინადადება მიეცა რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოებს ამიერიდან თავისი საკრედიტო მოთხოვნილებები წარუდგინონ ხოლმე ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ბანკებს ერთი კვარტალით ადრე მაინც.

ა.-კ. საძოვრების მომწესრიგებელი ცენტრის დაარსება

ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო ა.-კ. საძოვრების მეურნეობისათვის საერთო სახელმძღვანელო - მომწესრიგებელი ცენტრის დაარსება.

გარდა ამისა საჭიროდ იქნა ცნობილი რათა საძოვრების სარგებლობის საკითხის მოწესრიგების მიზნით იმართებოდეს ხოლმე ყოველწლიურად თათბირი საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მიწსახკომების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სოფ. ტყვიავის ხილის საწყობი

ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ დაარსებულ კომისიის დასკვნა სოფ. ტყვიაში ხილის საწყობის შენობას დამთავრების შესახებ.

წინადადება მიეცა „ბაღ - ბოსტან-კავშირს" ზემოაღნიშნული შენობის დასამთავრებლად გაიღოს 7.800 მან. კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის გადადებულ თანხიდან გრძელვადიანი სესხის სახით, ხოლო დანარჩენი 2.086 მან. კი თავის საკუთარ საშუალებიდან.

ბორჯომის ბოთლების ახალი ფორმის შესახებ

წინადადება მიეცა ბორჯომის კომბინატს შეაჩეროს ახალი ფორმის ბოთლების დამზადება.

მაუდის ქარხნის საამშენებლო კომიტეტის შემადგენლობა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა თბილისის მაუდის ქარხნის საამშენებლო კომიტეტის შემადგენლობა შემდეგი სახით: ამხ. ქიქინაძე (თავმჯდომარე), ავაქოვი (მოადგილე), ინჟ. ვაწაძე და ფეიქართა პროფკავშირის ერთი წარმომადგენელი.

ბორჯომის მინერალური წყლების მმართველობა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს მიერ წარმოდგენილი დებულება ბორჯომის მინერალური წყლის მმართველობის შესახებ.

ჟურნალი „ეკონომისტი"-ს ახალი რედაქტორი

ჟურნალ „ეკონომისტი"-ს პასუხისმგებელ რედაქტორად ამხ. ს. ჩიხლაძის ნაცვლად დაინიშნა ამხ. ვ. ავაქოვი.

ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობა

ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის განვითარების საკითხის გამომრკვეველი კომისიის თავმჯდომარედ, ამხ. ს. ჯუღელის შვებულებაში წასვლის გამო, დაინიშნა გ. მგალობლიშვილი, ხოლო კომისიის წევრად ამხ. ა. ეუჩიკაშვილის ნაცვლად ამხ. გ. ქიქინაძე.

სახ. კომისართა საბჭოში
ქარხანა „თემზა"-ს შესახებ

ელექტრო - მექანიკური ქარხანა — „თემზა" მთელი თავისი აქტივით და პასივით გადაეცა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს.

სახ.-სამ. კულტურების სავალდებულო დაზღვევა

სახკომსაბჭომ მოიწონა, საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, 1926—27 საოპერაციო წელს აღმოსავლეთ საქართველოში მსხვილფეხა საქონლის და სასოფლო - სამეურნეო კულტურების სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შემოღების პროექტი.

სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შემოღება

— საქართველოს საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, სახკომსაბჭომ მოიწონა შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების პროექტი 1926—27 საოპერაციო წლიდან ქალაქებში და სოფლებში სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შემოღების შესახებ.

ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის ხარჯები

სახკომსაბჭოს დადგენილებით წინადადება მიეცა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის 1926—27 ხარჯები შეიტანოს თავის 1926—27 წლის ბიუჯეტში.

საშტატო კომისიას დაევალა სასწრაფო წესით განიხილოს [illegible] ორგანიზაციის 1926—27 საბიუჯეტო წლის [illegible].

საქონლის ჭირის წინააღმდეგ

სახკომსაბჭომ აცნობა აფხაზეთის სახკომსაბჭოს, რომ საქონლის ჭირის საწინააღმდეგო ბრძოლის საწარმოებლად საჭირო 4.000 მან. უნდა იქნეს გაღებული აფხაზეთის სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან.

სკოლის შენობის აგება სოფ. ზინობიანში

თელავის მაზრის სოფ. ზინობიანში გადმოსახლებულ ქართველ უდინთა სკოლის შენობის ასაგებად საჭირო თანხა, საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, განისაზღვრება 7.557 მანეთით.

წინადადება მიეცა თელავის სამაზრო ალმასკომს აღნიშნული თანხა შეიტანოს თავის 1926—27 წლის ბიუჯეტში.

ბღერის მოსაწყობად

რესპუბლიკის ზოგიერთ შორეულ კუთხეებში უკანასკნელ ხანებში გაჩნდა ბღერი.

აღნიშნული სენი განსაკუთრებით გავრცელებულია სამხრეთ - ოსეთში და მთიულეთში. უკანასკნელი ცნობებით, ავათმყოფთა რიცხვი ჯერ-ჯერობით 600-მდე აღწევს, მაგრამ ბღერი როგორც გადამდები ავათმყოფობა ჩქარა გავრცელდება, თუ მიღებული არ იქნა გადამჭრელი ზომები.

ჯანსახკომმა დაადგინა ჩაატაროს ეპიდემიასთან საბრძოლველი კამპანია მთელ რესპუბლიკაში.

ბღერთან ბრძოლის მეთოდების გამოსამუშავებლად გადაწყვეტილია განსაკუთრებული თათბირის მოწვევა.

ეროვნულ უმც. საბჭოში

— **წიგნები სკოლებისათვის.** განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რომელ ენაზე რამდენი წიგნი იქნება საჭირო მომავალი სამოსწავლო წლიდან.

— **შეკითხვების დაგზავნა.** ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ დაუგზავნა ყველა მაზრებს მიწერილობა მოაწოდონ მას ცნობები იმის შესახებ, თუ სად რამდენი მასწავლებელია საჭირო.

— **მასწავლებლები თურქულ სკოლებისათვის.** ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ თხოვნით მიმართა აზერბეიჯანის განსახკომს გამოგზავნოს მასწავლებლები თურქულ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისათვის.

ჭლექთან ბრძოლა
ტუბერკულიოზის დისპანსერი ქუთაისში

ჯანმრთელობის კომისარიატმა ქუთაისში თავის ხარჯზე გახსნა ტუბერკულიოზის დისპანსერი, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1ივლისიდან. დისპანსერი სრულიად უფასოდ იღებს ყველა მოქალაქეებს (დაზღვეულს და არა დაზღვეულს), ვინც კი არის შეპყრობილი ტუბერკულიოზით (ფილტვების), აძლევს საექიმო დახმარებას, როგორც სპეციალისტ ექიმების რჩევით, ისე წამლებითაც.

რათა ყველას გაუადვილდეს დისპანსერში ექიმობა, ავადმყოფების მიღება სწარმოებს ყოველ დღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 7 საათამდე. დისპანსერთან არსებობს ღამის სანატორიუმი ფილტვების დაწყებითი კატარით შეპყრობილ მუშა-მოსამსახურეებისათვის. სანატორიუმში მოწყობილია საბანაო ოთახი, სასადილო, წითელი კუთხე სხვადასხვა გასართობებით. მოეწყობა კინო, ლექციების კითხვა სანიტგანათლების შესახებ და სხვა. ბავშვთა სანატორიუმში მიიღებიან 6—12 წლამდე სუსტი ბავშვები. დისპანსერთან არსებობს მოწყალე დების ინსტიტუტი. დისპანსერში მუშაობს 31 კაცი, მათ შორის 4 ექიმია.

ბარიტის წარმოება
ბარიტის ახალი წისქვილი ქუთაისში

ქუთაისის სამაზრო ალმასკომმა ბარიტის ახალი წისქვილის ასაგებად სამთამადნო ქიმიურ კომბინატს დაუთმო კახიანოურში მდებარე 25 ქცევა საფონდო მიწა. წისქვილის ასაგებათ წინასწარი მუშაობა უკვე დაიწყო. წისქვილთან მოეწყობა სხვადასხვა ხალებავების ქარხანა. ეს ქარხანა უნდა აეგოთ ძირულის რაიონში, მაგრამ სპეციალურმა კომისიამ უფრო მიზანშეწონილად სცნო მისი აგება ქუთაისში, ვინაიდან მრავლათ მოიპოვება საჭირო ნედლი მასალა.

ქარხნის აგებას უხელმძღვანელებს სპეციალურად მოწვეული პირნი. აგება ჯდება 20.000 მან.

ქუთაისის ბარიტის წისქვილი

ქუთაისის ბარიტის წისქვილში მუშაობა სწარმოებს ორ წყებად. წისქვილში იფქვება ყოველდღიურად 1.200 ფუთი ბარიტი. მუშაობს 25 მუდმივი მუშა. წისქვილში ახლახან შეიძინეს ბარიტის სალეწი მანქანა (მსხვილა), სწარმოებს მუშაობა საქაჩავის დასადგმელად და წყლის დენის მოსაწყობად. წისქვილში გაკეთდა საშრობი ღუმელი, რომელიც წარმოებას მუშა ხელზე 80 პროც. და სათბობ მასალაზე 15 პრ. ეკონომიას აძლევს.

ქუთაისის ამბები
წით.-არმიელთა უპარტიო კონფერენცია

27 ივლისს დამთავრდა ქუთ. გარნიზონის მე-7-დე უპარტიო წითელარმიელთა კონფერენცია. კონფერენციამ სამი დღის განუწყვეტლივ მუშაობით დაკვირვებით მოისმინა ყველა დღიურ წესრიგში დასმული საკითხები და მის ირგვლივ მომავალი მუშაობის საწარმოებლად გამოიტანეს სათანადო პრაქტიკული დადგენილებანი.

ბინა ქუთ.ვენერიალურ დისპანსერისათვის

ქუთაისის სამაზრო ალმასკომმა ვენერიალურ დისპანსერს ყოფილ სასტუმრო „გრანდ ოტელი"-დან დაუთმო 34 ოთახი.ახალი ბინის საფუძვლიანად შეკეთებას აწარმოებს ალმასკომი. შეკეთება დათავდება აგვისტოს 1 რიცხვებში და შემდეგ დისპანსერი გადავა ახალ ბინაზე. ახალ ბინაზე დისპანსერი კიდევ უფრო გააფართოებს და გააძლიერებს მუშაობას სხვადასხვა განყოფილებების მოწყობით. დისპანსერში ამ ჟამად არის მხოლოდ 30 საწოლი, რაც მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ პირველ ოქტომბრიდან საწოლების რიცხვი უნდა გადიდდეს 75-დი.

დეზინტერია

ქალაქში ამ ბოლო დროს გავრცელებულია დეზინტერია, ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, ივნისის თვესთან შედარებით დაავადებულთა რიცხვი გაიზარდა ერთი სამად, ამის გამო ჯან. გან. გამოაკრა ქუჩებში განცხადებები მოსახლეობის მიერ გამაფრთხილებელი ზომების მიღების შესახებ.

თათბირი

ქუთაისის ჯან. ინსპექციამ 29 ივლისს მოიწვია ქუთაისში მომუშავე ექიმთა თათბირი დისპანსერში მუშაობის გასაცნობად, ვრცელი მოხსენება გააკეთა ექიმმა ერ. ლოსაბერიძემ.

სამისამართო ბიურო

ქუთაისში დღემდი არ იყო სამისამართო მაგიდა. ამიტომ სამალმასკომმა დაარსა სამისამართო ბიურო ქალაქის მილიციასთან. ამ ჟამად ბიურო აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას მოსახლეობის სულადობის, სქესობრივ შემადგენლობის და მისამართების გამოსარკვევად.

თესლეულობით სავაჭრო

ქუთაისის სამალმასკომმა დაამთავრა ქალაქის ბაღის პირდაპირ ფარდულის აგება. ფარდულში ალმასკომმი აწყობს თესლეულების, ნედლეულების და ყვავილების სავაჭროს, რომ ამით საშუალება მისცეს გლეხებს დაკლებულ ფასებში შეიძინონ კარგი ხარისხის თესლეულობა.

ხორცის ბაზარზე
ცხვრის ხორცის გაძვირება

თბილისის ბაზარზე ცხვრის ხორცი კვლავ გაძვირდა .უკანასკნელად გირვანქა ცხვრის ხორცის ფასმა დაიწია 35 კაპეიკამდე და ეხლა კი იგი ფასობს 38 კაპ.

ფასის გადიდება აიხსნება იმ გარემოებით, რომ პურის თიბვა-ლეწვის სეზონის დადგომის გამო მთაში მყოფი მეცხვარეები დაბრუნდენ შინ და მათ დრო აღარ რჩებათ საქონლის ბაზარზე შემოსარეკად. ამის გამო ბაზარი განიცდის დიდ ნაკლებობას ცხვრის ხორცის მხრივ.

ასეთი მდგომარეობა „მწყემსი"-ს გამსაღებელ პუნქტის ცნობით შესაძლებელია გაგრძელდეს ერთი თვის განმავლობაში, შემდეგ ცხვრის მორეკა ბაზარზე ისევ იმატებს და ფასიც დაიკლებს.

8.550.000 მ. საუღელ. ხაზის ელექტროფიკაციისათვის

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველომ გზათა-მიმოსვლის კომისარიატიდან მიიღო შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული ხუთ წლიანი საპერსპექტივო გეგმა საბჭოთა კავშირის რკინის გზების ელექტროფიკაციისა.

გეგმაში შედის ამიერ-კავკასიის რკ. გზების სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციაც ხაშურიდან—ზესტაფონამდე. ამ საქმისათვის 1925—26 წელს გაიცემა საბოლოო პროექტის შესადგენათ 50.000 მან. 1926—27 წელს მუშაობისათვის 1.000.000 მ., 1927—28 წელს 3.000.000 მან. და 1928—29 წელს—4.500.000 მანეთი, სულ კი—8.550.000 მანეთი.

თუ საქმეს ფინანსიური დაბრკოლებები არ გადაეღობება, საუღელტეხილო ხაზის ელექტროფიკაციის დრო შესაძლებელია შემცირდეს ორი წლით.

რკინის გზებზე
გამომგონებელთა ბიუროში

გამოგონებათა და გამოგონებულის გაუმჯობესების ბიუროს უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა წარმოდგენილ გამოგონებათა მთელი რიგი.

მუშა ამხ. კუპრანოვმა წარმოადგინა მის მიერ გამოგონილი ხელსაწყო, რომელიც საგრძნობლად აადვილებს მუშაობას. მანვე წარმოადგინა პროექტი ღია ვაგონებისა (პლატფორმები), რომლის ძერი წარმოადგენს ორ ფერდობს. მასზე დატვირთული ქვა-ნახშირის, მარგანეცის და სხვა ასეთი ტვირთების გადმოსატვირთავად საჭირო არ არის ფიზიკური შრომის დახარჯვა. აღნიშნულ ვაგონის გვერდები გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე არსებულის.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე უკვე გამოგონებულ მანქანა ხელ-საწყოების პრაქტიკულად გამოყენების საკითხი. გამოირკვა, რომ ხელოსან ამხ. ვალუმოვის მიერ გამოგონილი ისრის საკეტები უკვე დაკვეთილია მატერიალური დარგის მიერ ნიმუშის სახით 20 ცალი.

ხაშურის საყუდის მემანქანის ამხ. ჩეკნავეროვის მიერ გამოგონებულ ორთქლმავალის სამჯაგ სარქველისათვის მოწყობილობის მოწყობა გადაწყვეტილია მატარებელზე.

ბათუმის საყუდის ორთქმავალის ხელოსნის ამხ. გორკოვენკოს მიერ დამუხრუჭების დასაჩქარებლად გამოგონილი მუხრუჭები, გადაწყვეტილ იქნა დამზადდეს და გამოიცადოს. მის მიერვე გამოგონილი მოწყობილობა, რომელიც იძლევა ორთქლის დიდ ეკონომიას მატარებლის დამუხრუჭების დროს, მოწონებულ და გადაწყვეტილ იქნა მისი ნახაზებისა და აღწერილობის დამზადება, რათა სხვა გზებმაც გამოიყენონ.

სხდომამ აგრეთვე გამოიტანა დადგენილება იმ პირთა დაჯილდოვების შესახებ, რომელთა გამოგონება მიღებული იქნა.

ფოილოს ხიდის გახსნა

ფოილოს ხიდი საბოლოოდ მუდმივი მოძრაობისათვის გაიხსნება რვა აგვისტოს.

სასამართლო
გ. ფილაძის საქმე

მეორე და მესამე სხდომაზე [illegible] ბრალდებულის შვილები: ვალია, **ნიკოლოზ** და **სამსონ**, რომლებიც იმეორებენ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს.

მოწმე **სეფე ლორთქიფანიძე** (ბრალდებულის სიძე) ახასიათებს მას, როგორც ზნედაცემულ ადამიანს.

მოწმემ გააცნო სასამართლოს ბრალდებულის ცხოვრების ზოგიერთი მხარეები.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

იურიდიული დახმარება
როგორ მოვიქცე
კითხვა

1925 წლის 20 სექტემბრიდან ვმუშაობდი მტვირთველ მუშად „ზაკპოგრუზში" თბილისის საქონლის სადგურში დღიურად, სადაც ვიმუშავე 7 თვე განუწყვეტლივ და ამ 7 თვის განმავლობაში არ მისარგებლია შვებულებით. სამუშაოდან მომხსნეს 6 მარტს 1926 წელს ვითომდა შტატის შემცირების გამო. არ მიმიღია „ზაკპოგრუზიდან" დათხოვნის დროს გაუფრთხილებლობისა გასასვლელი ჯილდო.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას მეკუთვნოდა თუ არა 7 თვის ნამუშევარი დღიურ მუშას შვებულება და თუ მეკუთვნოდა, რომ არ მისარგებლია როგორ მოვიქცე? მასთან მეკუთვნოდა თუ არა დათხოვნის შემდეგ გასასვლელი ჯილდო და თუ მეკუთვნოდა როგორ მოვიქცე?

ა.-წ. 15 მარტიდან დავიწყე მუშაობა თბილისის საბაჟოს განყოფილებაში იმავე თანამდებობაზე, სადაც ვიხდიდი დაზღვევისას ჯამაგირის 20 პროც. რაოდენობით, რომელსაც გვიქვითავდა „ზაკპოგრუზის" საქართველოს განყოფილება. იმ რიცხვებში დაზღვეული აღარ ვარ, რის გამო დამეკარგა ის 20 პროც.

ამაზედაც გთხოვთ განმარტებას, ვის შოვთხოვო ჩემი გადახდილი 20 პროც. თვეინახევრის განმავლობაში კავშირის წევრი წიგნაკი № 4446.

ბ. ტურფაგორელი.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ის და განსავითარებლად ამ.-კავ. შრომის სახკომატის მიერ გამოცემული დადგენილება № 70-ისა 1923 წ. 15 ოქტომბრიდან ყველა დარგის მუშა-მოსამსახურით, რომელთაც დაქირავებით უმუშავნიათ წამოწყება-დაწესებულებებში ან კერძო პირთან განუწყვეტლივ ხუთნახევარ თვის განმავლობაში (ამ შემთხვევაში თქვენც) აქვთ უფლება მიიღონ მორიგი შვებულება არა ნაკლებ ორი კვირის ხანგრძლივობით და თუ კი თქვენ ასეთი არ მიგიღიათ, მაშინ თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ საკომპენსაციო ჯილდო (იხ. შრ. კანონთა კოდექს. მუხ. 68).

გასასვლელი ჯილდოს მიცემა სამსახურიდან დათხოვნისას [illegible] მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მას (დათხოვნილს) დროზე არ მიეცა ამის შესახებ წინასწარი გაფრთხილება. (იხ. შრომის კან. კოდ. მუხ. 47-ის შენიშვნა მესამე).

სოციალური დაზღვევის წესებიც ვრცელდება თქვენზე სრულიად. დასაზღვევი ახარიცხები უნდა გაიღოს დამქირავებელმა (იხ. შრ. კან. კოდ. მუხ. 175), და არა მუშა-მოსამსახურემ და თუ თქვენ დამქირავებელი ასეთს (უკანონოდ) გახდევინებდათ, გაქვთ უფლება მოითხოვოთ მისი დაბრუნება სასამართლოს წესით. ყველა ზემოაღნიშნული საკითხი გირჩევთ დასვათ ადგილობრივ შემთანხმებელ საკონფლიქტო კომისიაში.

პარტიული კალენდარი

შაბათს, 31 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქ. რემედასის შენობაში შესდგება რემედასის ც. კ. და ტ. კ. პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა:

ჩოდრიშვილი, იმედაძე, ბელიაევი, არაზაშვილი, მუმლაძე, ნაცვლიშვილი, ჯეჯაძე, მუშიშვილი, რუხაძე, ათაბეგოვი, ჯაიანი, გენელიძე, გუდავაძე, ქელიძე, კიზირია, ნუცუბიძე, ასრიბეგოვი, ალიხანოვი, შარაშენიძე და ხომერიკი.

ღრმად დამწუხრებულნი ქმარი ვლადიმერ გლახასძე ქორქია, შვილები: ანტონი, სონია, ნადია და გიორგი (ხუტური) აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ—მეგობართ, რომ კვირას ა-წ. 1 ივლისს, წმინდა-ნინოს სასაფლაოზე გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარის პირველის მეუღლის, მეორეთათვის საყვარელი დედის

ეფროსინე ნიკოლოზის ასული
ქორქიასი

3095

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ლუბა გიორგის ასული. შვილები ვალოდია, კოკი და ლიდა, რძალი ოლია, სიძე ბეგლარი გობეჩია და ქიონია ბობოხიძისა, აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს;

დეკანოზ კაპიტონ ლუკას ძე
გაწერელიას

გარდაცვალებას. გამოსვენების დღეთ დანიშნულია 1 აგვისტო, კვირას, დილის 10 საათზედ ს. მარტვილში. 3097

გულდამწვარნი მშობლები: დედა ნენე, მამა ვასილი, დები: ოლღა და მაკრინე, ძმები: ლუარსაბი და რამანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი დაუვიწყარი

თამრიკო ვასილის ასული
ნაცვლიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ვერის ნიკოლოზის ეკლესიიდან დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს საღამოს 5 საათზე. ქვ. 3099 1—1

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

ზოლე

ნ. 1446 0—24

ჰენი პორტენ სურათში
„ძველი კანონი"
პრესა აღტაცებით შეხვდა ამ სურათს

სათავგადასავლო სურათი
„რობინ გუდ"
დადგმის უკანასკნელი დღეები
მთავარ როლში დუგლას ფერბენქსი

კონრად ვეიდტ და ლიანა გაიდ სურათში
„ლედი გამილტონ"
2 სერია ერთად

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

გაზ. „კომუნისტი"-ს
მთავარი კანტორა წინადადებას აძლევს ჭიათურის გამგე გოგელიას, ზუგდიდის კონტრაგენტ რუდის და სამტრედიის კონტრაგენტ მ. წულაიას გამოცხადდენ მთავარ კანტორაში აგვისტოს 5-ძდე ანგარიშების შესადარებლად და გასასწორებლად.
0—1 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

გაზეთ
„კომუნისტის", „მუშა"-ს და „ახალი სოფლის"
რწმუნებულათ ქ. ხაშურში და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში ინიშნება
მათე გოგუაძე
რომელთანაც შეიძლება ზემოაღნიშნულ გაზეთებზე ხელის მოწერის მიღება.
გაზ. „კომუნისტი" „მუშა" და „ახალი სოფლის" მთავარი კანტორა

გაზ. „კომუნისტი"-ს რწმუნებულათ
შორაპნის მაზრაში
ინიშნება
გიორგი გოგელია
რომელთანაც შეიძლება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე", „მუშაზე" და „ახალი სოფელზე"
0—3 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

გაზ. „კომუნისტი"-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

გაზ. „კომუნისტი"-ს ქუთაისის კანტორა
აცხადებს იმ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომელთაც ძველი თვეების დავალიანება არ გადაუხდიათ, რომ ანგარიშის უკანასკნელ გასწორების ვადათ დანიშნულია 15 აგვისტო, —რის შემდეგ, — გადაუხდელი გაზეთის საფასურის ასაღებათ მიღებული იქნება განსაკუთრებული ზომები.
ნ. 1624 რწმუნებული ტყაბლაძე

ალმასკომის ჯან. განყ. დაზღვ. ქვე-განყოფილების ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტი
ამით სთხოვს იმ პირთ, ვისაც შემოტანილი აქვს განცხადებები ინსტიტუტში რაიმე თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ და აგრეთვე იმათაც, ვისაც ჯერ კიდევ არ შემოუტანია ასეთები პირადათ გამოცხადდნენ ინსტიტუტის ბინაზე (ყ. ანდრეევის ქ. № 30) ა-წ. 12 და 13 აგვისტოს დღეებში დილის 10 საათიდან შუადღის 12 საათამდე და თან იქონიონ ყველა დამატებითი საბუთები უწინდელ სამსახურის შესახებ.
3092 ინსტიტუტის დირექტორი—ექ. ზანდუკელი.

გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს
და „ახალი სოფლი"-ს
მთავარი კანტორების
რწმუნებული გურიაში
აცხადებს ამავე გაზეთების მკითხველთა საყურადღებოთ:, რომ ზემოთ დასახელებულ გაზეთებზე ხელის მოწერა აგვისტოს—თვის მიიღება შემდეგ ადგილებში:
1. ქ. **ოზურგეთში**—გაერთიანებულ კანტორაში, გურიის პროსპ. № 85.
2. სადგურ **საჯევახოდან** სადგურ **ოზურგეთამდე** ჩართვით **რკინის გზის მუშა მოსამსახურეთათვის ადგილკომებთან.**
3. ქ. **ლანჩხუთში** და მისი რაიონისათვის—**გრიშა ხოფერიასთან** (ფოსტაში ქ. ლანჩხუთში).
4. **ჯუმათში**—და მისი რაიონისათვის მოქ. **სანდრო ნიკოლაიშვილთან** (ფოსტაში სად. ჯუმათი).
5. სად. **ნატანებში**—ნატანების და მისი რაიონისათვის მოქ. **სამსონ ქინქლაძესთან** (ს. ნატანებში).
6. დაბა **ჩოხატაურისა**—და მისი რაიონებისათვის 1. „ეპოში"—მოქ. **მირიან გიორგაძესთან** და 2. ბაზარში—**ივლიანე ჯინჭარაძესთან.**
7. **ნაგომარისა** და მისი რაიონებისათვის მოქ. **ხონია თავართქილაძესთან** (ცენტ. სამკითხველოში).
8. **ხიდისთავისა**—და მისი რაიონისათვის მოქ. **კახიანე კალანდაძესთან** (სამკითხველო).
9. **ბუქნარის თემისათვის** ტატიანა კოტრიკაძესთან.
10. **ბახვის თემისათვის** მოქ. ნიკო შონიასთან (ფოსტა).
11. **ცხემლის ხიდზე** მოქ. ივანე კობიძესთან (სამკითხველო).
12. **შემოქმედში**—თამარა ვაშალომიძესთან. (სამკ.).
13. **ლიხაური** — კალისტე გორდელაძესთან (თემ. ალმასკომ.).

გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს და „ახალი სოფლი"-ს რწმუნებული ოზურგეთში ცეცხლაძე
4—3 ნ. 1601

წალენჯიხა-ჩხოროწყუს უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ხ. მალაშხია
ამით აცხადებს, რომ 7 აგვისტოს ა. წ. 10 საათზე დანიშნულია ს. ფახულანში **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება მოძრავი ქონება ფახულანის მთლიანი მომხმარებელი კოოპერატივისა: წუღები, ტომრები, თეფშები, ლამპის შუშები და სხვებიც დასაკმაყოფილებლად ვალისა საერთო საკავშირო სინდიკატის ქუთაისის სააგენტოსი 725 მან. 35 კაპ. ვაჭრობა დაიწყება აღნიშნული თანხიდან.
ნ. 1624

ექიმი
მეზრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის
სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—3

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბომონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 3—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1275, ალექსი პილაძის სახელზე, ჩ. გ. 3096

დავკარგე პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი, გაცემული სოფ. სხვავის თემგლეხკომის მიერ მარკოზ არსენისძე კაციტაძეს სახელზე, ჩ. გ. 3090

დავკარგე ანგარიში გაცემული 1-ლი ხე-ტყის ქარხნის მიერ ალმასკომის კეთილ მომწყობ განყოფილებისათვის № 7304 20 ივლისს, 1738. და 83 კ. ჩ. გ, 3090 **ალ. დემეტრაშვილი.**

დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული თბილისის მთავარ მილიციის სამმართველოდ ტრიფონ რომანის ძე კორძაიას სახელზე, ჩ. გ. 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი ზინა დიმიტრის ასული გოგოლაძეს სახელზე, ჩ. გ. 3098

ექიმი **შ უ ხ მ ა ნ ი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

საქართველოს [illegible] ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68